გაზეთი „ქართული სიტყვა“ ინტერნეტში www.qartulisityva.ge

გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

№48 (312)

ქართული სიტყვა

ფასი 1 ლარი

9 – 15 დეკემბერი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

კიევის ყოფილი მერის ქართული ვნებანი

>>> მე-2-3 გვ.

რა ამოძრავებს და ვინ დგას ლეონიდ ჩერნოვეცკის უკან

„ეს ადამიანი ყოფილი ხელისუფლებისთვის, რომლის გარკვეულ ჯგუფებად დაშლაც მიდის, შეიძლება, ერთგვარი ფინანსური გამტარი იყოს, თან ეს ადამიანი, როგორც ვიცი, ქობულეთში ცხოვრობს და ქობულეთის მაჟორიტარობას აპირებს... ყველა არჩევნებზე აჭარის ხმები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ავტონომიურ რესპუბლიკაში 200 ათას ამომრჩეველზე მეტია, ეს კი, საერთო ხმების, მინიმუმ, 20 პროცენტია. კიევის ყოფილმა მერმა მხოლოდ აჭარის ხმებზე რომ იმუშაოს, პარლამენტში გარკვეული სეგმენტის დაკავებას მოახერხებს, ანუ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ბრძოლა აჭარის ხმებისთვის მიდის.“

>>> მე-4 გვ.

დავით ნარმანიას საარჩევნო პროგრამის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი შესრულებულია

დედაქალაქის მერის ერთწლიანი საქმიანობის ანგარიში

>>> მე-10 გვ.

„ერთი კადრი მაინც დამიდეთ, სადაც მე და „ნაცმოძრაობა“ ვსიამტკბილოთ!“

ზაზა ხატიაშვილი „ოცნებასთან“ დავას ევროპარლამენტში იწყებს

>>> მე-12 გვ.

„თამგაძეზე აქციზის გაზრდა მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული ფულია!“

სოლომონ პავლიაშვილი „ოცნების“ ძლიერ და სუსტ რგოლებს ასახელებს

„ზურა ტყვიით არის მოკლული!“

250 მილიონი დოლარის საიდუმლო – რა დოკუმენტები წაიღო ჟვანიამ, სიკვდილის წინ, აშშ-ში

>>> მე-14-15 გვ.

>>> მე-8-9 გვ.

„ოცნებაში“ მაჟორიტარობის კანდიდატებზე შესაძლოა, პრაიმერიზი ჩატარდეს

ზვიად კვაჭანტირაძე: „უმრავლესობის ლიდერი კი ვარ, მაგრამ ყველა არასწორი გამონათქვამის „გამპრავებლად“ ნუ გამომიყვანთ!“

2 | № 48 (312) | 9 – 15 დეკემბერი 2015

ქართული იტუკი

ᲚᲘᲢᲣᲙᲘᲡ. ᲒᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სკანდალური ექსკლუზივი

კიევის ყოფილი მერის ქართული ვნებანი

ქართულ პოლიტიკაში უცნაური სიახლეა – კიევის ყოფილი მერი ლეონიდ ჩერნოვეცკი, რომელიც ქობულეთში ცხოვრობს, პოლიტიკურ პარტიას – „ბედნიერი საქართველოსთვის“ ხსნის და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასაც გეგმავს. ამასთან, უკრაინელი მილიონერი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი პარლამენტში მოხვდება, პენსიას 400-დან 500 ლარამდე გაზრდის. რატომ უჩნდებათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სხვა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის სურვილი და ყველაფერ ამის უკან სპეცსამსახურები ხომ არ დგანან? – ამ შეკითხვებით „ქართულმა სიტყვამ“ უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკს, უსაფრთხოების ექსპერტ კონსტანტინე ფორჩხიძეს მიმართა, რომელთან სკანდალური ინტერვიუების ციკლიც ჩვენს გაზეთში წელიწადზე მეტია, ქვეყნდება. ქართველი სპეცსამსახურელი ამბობს, რომ პოლიტიკაში ოლიგარქიული, ანუ დიდი ფულის გამოჩენა კარგი არაა, მით უმეტეს, კიევის ყოფილი მერის შემთხვევაში, რომელზეც ვერ ვიტყვით, რომ საქართველოსა და ქართველ ხალხზე გული შესტკივა. მაშ, რა ამოძრავებს ჩერნოვეცკის? – ამის თაობაზე კონსტანტინე ფორჩხიძეს თავისი ვერსია აქვს, ანუ არ გამორიცხავს, რომ ყველაფერი ეს, ირიბად, შესაძლოა, უკრაინაში დისლოცირებულ „ნაცმოძრაობის“ ფრთასთან იყოს კავშირში. გარდა ამისა, 91-ე ინტერვიუში ქართველი სპეცსამსახურელი რამდენიმე დღის წინ, სუს-ის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას ეხება, რა დროსაც „აი-სი-ს“-თან კავშირის ბრალდებით, რამდენიმე ადამიანი დააკავეს და განმარტავს, რომ მსგავსი ოპერაციების აფიშირება, მინიმუმ, იმიტომ არ შეიძლება, რომ ეს იგივე „ისლამურ სახელმწიფოსთვის“ შესაძლოა, გარკვეული გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს...

– მიხეილ სააკაშვილი, ასე ვთქვათ, უკრაინელი პოლიტიკოსი გახდა, კიევის ყოფილი მერი კი – ქართველი. ბატონო კონსტანტინე, ეს რას ნიშნავს და, საერთოდ, საქმე რასთან გვაქვს?

– რასთან გვაქვს და, – არანორმალურ მოვლენასთან.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ასეთი ადამიანები ბევრი საფრთხის მატარებლები არიან.

– სახელდობრ?

– ყველაფერ ამაზე ნათელ მაგალითს საქართველოს კანონმდებლობა იძლევა, მხედველობაში მაქვს საარჩევნო კოდექსი, რომელიც გარკვეულ ცენზს აწესებს, ანუ პოლიტიკურ საქმიანობას არეგულირებს – პარტია რომ ჩამოაყალიბო, საამისოდ შესაბამისი მხარდაჭერისა და გავლენის გარდა, საქართველოს მოქალაქეობა და ფინანსებიც არის საჭირო.

– კიევის ყოფილ მერს ფინანსების ნაკლებობა ნამდვილად არ უნდა აწუხებდეს – მილიონერია...

– ვანო, თუ გახსოვთ, პოლიტიკაში მილიონერთა მოსვლაზე ადრეც გვისაუბრია და გვითქვამს, რომ ეს შესაძლოა, რუსული პროექტი იყოს, ანუ ქართულ პოლიტიკაში მოსვლა ე.წ. შემოვლითი გზებით ხდება. თავის დროზე ისიც ვთქვი, რომ ასეთი პიროვნებები ნელ-ნელა გამოჩნდებოდნენ და ასეც ხდება. იმის თქმა, თუ ვინ დგას კიევის ყოფილი მერის უკან, ძალიან რთულია.

– აკი, რუსული სცენარიაო?

– რუსული სცენარი ზოგადად ვახსენე, მაგრამ ვინაიდან ამჯერად საქმე კიევის ყოფილ მერთან გვაქვს, კიდევ უფრო მეტი შეკითხვა ჩნდება.

– რა შეკითხვები?

– თუკი გავითვალისწინებთ, რომ უკრაინაში ძალიან დიდი ქართული ანკლავია, ამ ადამიანსა და ჩვენი ყოფილი ხელისუფლების ლიდერებს შორის შესაძლოა, გარკვეული კავშირი არსებობდეს.

– ანუ, საქმე შესაძლოა ე.წ. ჩენჯთან გვაქვს?

– დიახ, არაა გამორიცხული. ეს ადამიანი ყოფილი ხელისუფლებისთვის, რომლის გარკვეულ ჯგუფებად დაშლაც მიდის, შეიძლება, ერთგვარი ფინანსური გამტარი იყოს. სხვათა შორის, ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ გოკა გაბაშვილისა და მისი ძმის ჩანაწერი გავრცელდა. ერთი სიტყვით, ის პროცესი მიდის, რომელიც „ნაცმოძრაობის“ სააკაშვილისგან გამიჯვნას უკავშირდება და ამ დროს ახალი ძალის, უფრო სწორად, ადამიანის გამოჩენა, რომლის ბეგრაუნდიც უკრაინასთან ასოცირდება, ძალიან საინტერესოა.

– გარდა იმისა, რომ კიევის ყოფილი მერი ქობულეთის მაჟორიტარობას აპირებს, აცხადებს, რომ თუკი მისი პარტია, რომელსაც „ბედნიერი საქართველოსთვის“ დაარქვა, საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებს, პენსიას 400-500 ლარამდე გაზრდის...

– ასეთი დაპირებები ადრეც მოგვისმენია, მაგალითად, ცხონებული პატარკაციშვილისგან. მოკლედ, ყველაფერი ეს ერთი და იგივე სქემა და საშიშიც ამიტომაა, თუმცა ამ მოვლენას, მოდით, წმინდა კანონმდებლობის თვალით შევხედოთ.

– კი ბატონო, მაგრამ ვიდრე კანონმდებლობაზე გადავალთ, პირდაპირ გკითხავთ: როცა უცხოტომელი ქართულ პოლიტიკაში შემოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ მის უკან, უეჭველი, სპეცსამსახური დგას?

– გავყვეთ და ყველაფერს ნათლად დავინახავთ. მოდით, ჯერ მოტივაცია გავარკვიოთ – ამ ადამიანს თუკი მზე და მთვარე საქართველოზე ამოსდის, შეუძლია, სიკეთე პარტიის გარეშეც გააკეთოს.

– როგორც ვიცი, ქობულეთში ბავშვთა თავშესაფარი ჰქონდა, მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებასთან გარკვეული პრობლემები შეექმნა...

– ეგ არ ვიცი, მაგრამ მილიონერია და ხომ შეუძლია, სხვა ბიზნესი გააკეთოს?

– ალბათ, შეუძლია, მაგრამ ამ ლოგიკით, ჩნდება შეკითხვა: მიშას მზე და მთვარე უკრაინაზე რატომ ამოსდის?

– მართალია, ეს სწორი ლოგიკაა, მაგრამ ყველაფერს ისე კი არ ვუყურებ, როგორც ექსპერტი, ან ჩასაფრებული ადამიანი, არამედ, ჩვენი კანონმდებლობით ვაფასებ და მაინტერესებს, მის ქართულ პოლიტიკურ ველზე დიდი ფინანსებით გამოჩენას რა მოტივაცია შეიძლება ჰქონდეს. წეღანაც გითხარით, რომ პოლიტიკაში დიდი ფინანსებით გამოჩენა ყოველთვის დიდ კითხვის ნიშანს აჩენს. ვნახოთ, რას გვეუბნება ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი – კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ და საარჩევნო კოდექსი. როგორც ვიცი, დიდი ხანი არაა, რაც კიევის ყოფილი მერი საქართველოს მოქალაქეა. იმისთვის, რომ საქართველოს წევრი გახდეს, საქართველოში ცხოვრების, სულ მცირე, 5-წლიანი ცენზი უნდა ჰქონდეს. შეიძლება, ეს ცენზი აქვს, მაგრამ მოსახლეობა არ იცნობს. ამიტომ, როგორც პარტიის თავმჯდომარემ, შეიძლება, ვიღაც „ტიპები“ დააფინანსოს, ანუ პოლიტიკურ არენაზე გამოაჩინოს და რაღაც დივიდენდები მიიღოს, ანუ ახალ პარლამენტში დასაყრდენი შეიქმნას. მოკლედ, აქედან ჩანს, რომ მისი მთავარი მოტივაცია საპარლამენტო მოტივაცია არაა. ამიტომ ვვარაუდობ, რომ კიევის ყოფილი მერი, შესაძლოა, უკრაინაში მყოფ „ნაცმოძრაობის“ ფრთასთან პირდაპირ კავშირშია, ანუ მისი ფინანსური გამტარია და ამ გზით საქართველოში ფულის შემოტანა ადვილად შეიძლება, თან ეს დაფინანსების რეგულარული წყარო იქნება. ისე, დასამალი არაა, რომ მომავალ არჩევნებში „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტურ პარტიებს ბევრი ფული დასჭირდებათ.

– მაშასადამე, კოტე ბატონო, ეჭვობთ, რომ სახეზეა „ნაცმოძრაობის“ რეანიმაციარეინკარნაცია?

– დიახ, რებრენდინგს ჰგავს, თუმცა ჯერ არ ვიცით, ახალ პარტიაში ვინ გამოჩნდება.

ეს ადამიანი, როგორც ვიცი, ქობულეთში ცხოვრობს და, ვანო, როგორც აღნიშნეთ, ქობულეთის მაჟორიტარობას აპირებს. ქართული კანონმდებლობით კი, პარტიის ტერიტორიალური პრინციპით შექმნა აკრძალულია, თან ყურადღება მიაქციეთ – აჭარაზეა ლაპარაკი. ყველა არჩევნებზე აჭარის ხმები კი, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ავტონომიურ რესპუბლიკაში 200 ათას ამომრჩეველზე მეტია, ეს კი, საერთო ხმების, მინიმუმ, 20 პროცენტია. კიევის ყოფილმა მერმა მხოლოდ აჭარის ხმებზე რომ იმუშაოს, პარლამენტში გარკვეული სეგმენტის დაკავებას მოახერხებს, ანუ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ბრძოლა აჭარის ხმებისთვის მიდის, თუმცა იმ ვერსიისკენ უფრო ვიხრები, რომ ყველაფერი ეს, ალბათ, მიხეილ სააკაშვილთან კავშირშია და არა – რუსეთთან, თუმცა ფარული რუსული კავშირები არც სააკაშვილისთვისაა უცხო, რაზეც ადრეც არაერთხელ გვისაუბრია, მაგრამ ამაზე დღევანდელი ხელისუფლება უყრუებს, რადგან რუსული ინტერესები ამ ხელისუფლებაშიც იკვეთება და, როგორც ჩანს, არ აწყობთ, რომ ყოფილი ხელისუფლების ფარული რუსული „კანალები“ ამოატივტივონ და დასავლეთისთვის ცნობილი გახადონ, რადგან ეს ქვეყნის პროდასავლურ განწყობას დაარტყამს.

– ასეა თუ ისე, ფაქტია: 2016 წლის არჩევნებში ისევ დიდი ფული იტრიალებს, არა?

– დიახ და ძალიან ცუდია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მაშინ, როცა პოლიტიკაში ოლიგარქიული, გნებავთ დიდი ფული შემოდის, ხალხის ინტერესები გვერდზე იწევს. ამიტომაც ვამბობ, რომ ყველაფერ ამით პარტოკრატიული მმართველობა იბადება, ანუ პოლიტიკაში თავის დამკვიდრება მას შეუძლია, ვისაც ძალიან ბევრი ფული აქვს. შესაბამისად, აქ ხალხის ინტერესებზე ლაპარაკი უკვე ზედმეტია, თორემ სხვა საქმე იქნებოდა, თუკი ხალხი მოითხოვდა, რომ კიევის ყოფილი მერი პოლიტიკაში ჩართულიყო. ამ ადამიანის ბეგრაუნდი ქართველ ხალხს კი არა, უკრაინას და ფულს უკავშირდება. პრობლემაც სწორედ ესაა.

– ისე, სწორედ მაშინ, როცა კიეველი მილიონერი ჩვენებურ პოლიტიკაში ფეხის მოკიდებას ცდილობს, ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობას ოფიციალურად ართმევს. თავის დროზე, როცა ამ თემაზე ლაპარაკი პირველად დაიწყო, მახსოვს, ბატონო კოტე, თქვით, მოქალაქეობის ჩამორთმევა სააკაშვილისთვის პასუხისგებისგან არიდება იქნებაო, თუმცა პოლიტიკური სპექტრი ასე არ ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, „ოცნებამ“, რომელიც პრეზიდენტ მარგველაშვილს დასანახად ვერ იტანს, შეაქო, კარგი ქენი, მიშას მოქალაქეობა რომ ჩამოართვიო...

– თანდათან ვრწმუნდები, რომ ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სააკაშვილის გასამართლება კი არა, საკაშვილის მიერ შექმნილი რეჟიმის თავის თავზე მორგება უნდა!

– ანუ?

გაგრძელება მე-3 გვ.

„ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲨᲚᲐᲪ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲢᲐᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲛ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲙᲐ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲫᲛᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲯᲕᲜᲐᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲑᲔᲒᲠᲐᲣᲜᲓᲘᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ“.

ᲮᲘᲠᲮᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

9 – 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 48 (312)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

– ვანო, არაერთხელ წამოვწიეთ ბევრი ისეთი თემა, რომელიც პირდაპირ სააკაშვილის შავ-ბნელ საქმიანობას უკავშირდება, მაგრამ დღემდე ერთი დეტალიც კი არ გარკვეულა, რადგან ამის პოლიტიკური ნება კი არა, ამ თემების მხარდაჭერაც არ არსებობს. ძალიან ბევრ ადამიანს ვხვდები, ვისაც „ოცნებაში“ დიდი გავლენა აქვს, მაგრამ ამ თემატიკას უყრუებენ და სააკაშვილის პასუხისმგებლობაზე არ ლაპარაკობენ. ამის ნათელი დადასტურებაა ახალი მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის განცხადება, რომელმაც გამაოგნა.

– შოთაძემ ასეთი რა თქვა?

– რა და, – სააკაშვილის სისხლის სამართლებრივი დევნა გაგრძელდებაო. შე მამაცხონებულო, კაცი საქართველოს მოქალაქე აღარაა და დევნა როგორღა გაგრძელდება? შოთაძემ ასეთი არგუმენტი მოიყვანა, აი, ჩვენს ქვეყანაში უცხოეთის მოქალაქეებს ხომ ვიჭერთ და მერე გადავცემთო. თქვენ შემოგევლეთ, უცხოეთს იმიტომ გადავცემთ, რომ ისინი უცხოეთის მოქალაქეები არიან, მაგრამ როგორ წარმოგიდგენიათ, სააკაშვილი უკრაინაში, ვთქვათ, ინტერპოლმა რომ დააკავოს, საქართველოს როგორ გადმოსცემენ, როცა საქართველოს მოქალაქე აღარაა, ან უკრაინაში რა საბაბით უნდა დააკავონ? ისიც ხომ ვნახეთ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები ვერ შექმნა და სწორედ ამიტომაც ინტერპოლმა ადეიშვილსა თუ კეზერაშვილს ძებნა მოუხსნა.

„ოცნებამ“ კარგად უნდა იცოდეს, რომ იმ 9-წლიანი დანაშაულებრივი სისტემის შექმნაში მთავარი დამნაშავე გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი ან, სულაც, ბაჩო ახალაია კი არა, მიხეილ სააკაშვილია! უგულავა, მერაბიშვილი თუ ახალაია მხოლოდ შემსრულებლები კი არა, იმ რეჟიმის მსხვერპლია! თუკი მიხეილ სააკაშვილი არ დაისჯება, რა მნიშვნელობა აქვს, ვანო მერაბიშვილი ციხეში იქნება თუ არა? ყოველ შემთხვევაში, ის 9-წლიანი რეჟიმი ჩემთვის პირდაპირ მიხეილ სააკაშვილთან ასოცირდება, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ მიშა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას აარიდოს. ადრე მეგონა, რომ ეს უნიათობით მოსდიოდათ, მაგრამ ასე არაა და სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მოხსნა შეგნებულად გადადგმული ნაბიჯია! ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვთქვი, ამ ეტაპზე, ანუ ვიდრე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება, სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მოხსნა, შეცდომა იქნება, რომელზეც პასუხი იმ ადამიანებს მოეთხოვებათ, ვინც ამას გააკეთებს-მეთქი. ისე არ გამიგოთ, რომ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტას მტკივნეულად აღვიქვამ, როგორ გეკადრებათ, მაგრამ ამაზე პასუხი უმაღლესმა მთავარსარდალმა უნდა აგოს!

– სააკაშვილი ამბობს, მოქალაქეობა მიზანმიმართულად შემიწყვიტეს, რადგან ჩემი განადგურება უნდათო. თქვენ კი, საპირისპიროს ამტკიცებთ...

– აბა, მიშა რას იტყვის?... ეს პროცესები პირდაპირ ჰააგის ტრიბუნალს უკავშირდება.

– სახელდობრ?

– ვიღაცებს, ალბათ, ჰგონიათ, რომ თუკი საქართველოს მოქალაქეობა აღარ ექნება, სააკაშვილს ჰააგაში პასუხისმგებლობას აარიდებენ, მაგრამ ასე არ იქნება...

– ერთი სიტყვით, ბატონო კოტე, ცალსახად აცხადებთ, რომ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა „ოცნების“ საბედისწერო შეცდომაა?

– დიახ, საბედისწერო, ან მიზანმიმართული შეცდომაა, თუმცა უფრო მიზანმიმართულობისკენ ვიხრები – „ოცნებას“, ალბათ, მიხეილ სააკაშვილიც ეხმარება, რომ ქართული პოლიტიკიდან „ნაცმოძრაობის“ ნელნელა ჩაჩოჩება მოხდეს. სხვანაირად, ვინ დამარწმუნებს, რომ უკრაინაში, სადაც სააკაშვილის გავლენა, პოროშენკოდან გამომდინარე, დიდია, არსებობდეს რაღაც საიტი, რომელიც მიშას საუბრის ჩანაწერებს აქვეყნებს. ეს მთავრობის გარეშე ხომ შეუძლებელია?

– როგორც სპეციალისტები ამბობენ, ინტერნეტის გაკონტროლება მარტივი არაა.

– უიმე, ძალიანაც მარტივია! მიხეილ სააკაშვილი ხელს რუსეთს ადებს, მაგრამ რუსეთში გოკა გაბაშვილისა და მისი ძმის საუბარი რაში აინტერესებთ? ეს, პირველ რიგში, მიშას აინტერესებს და ამით რევანშს ანხორციელებს, ანუ თავისიანებს ეუბნება, თუკი „ნაცმოძრაობის“ სათავეში მე არ ვიქნები და ისევ ლიდერად არ ჩამთვლით, ქვაქვაზე დაგდუღებიათო. სააკაშვილი სატელეფონო საუბრების გამოქვეყნების პოლიტიკას შეგნებულად ატარებს, არადა, უკრაინაში მიშას ამ საიტის დაბლოკვის საშუალება, ვიმეორებ, აქვს, მაგრამ ამას არ აკეთებს და იცით, რატომ? – იმიტომ, რომ ყველაფერ ამას მომხმარებელი საქართველოში ჰყავს და, როგორც ადრე ვთქვი, ამით პროდასავლური ქართველი ამომრჩევლის დასტრესვა ხდება. ასევე, გარკვეულ მორალურ და ფსიქოლოგიურ გავლენას გიგი უგულავასა თუ ვანო მერაბიშვილზეც ახდენს.

– ბატონო კოტე, არ გეჩვენებათ, რომ „ნაცმოძრაობამ“ უგულავა-მერაბიშვილი დაივიწყა?

– დიახ, ასეა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მერაბიშვილიც და უგულავაც მხოლოდ პოლიტიკური კი არა, გარკვეული ფინანსური რესურსის მატარებლები არიან. შედით, შსს-ში, კერძოდ, სუს-ში, სადაც თანამდებობებზე მერაბიშვილის კადრები არიან. რაღა შორს წავიდე, ისინი, ვინც თავის დროზე სამსახურიდან გამომიშვეს, დღესაც თანამდებობებზე არიან და თავს გადასარევად გრძნობენ! ეს კომფორმისტი „როჟები“ ყველა ხელისუფლებას კარგად ერგებიან!

– სხვათა შორის, ამ დღეებში, უმრავლესობის ლიდერებმა განაცხადეს, რომ 2016 წლის არჩევნებში, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ღიად დაბრუნდება. შესაბამისად, გაჩნდა მოსაზრება, „ოცნება“ რაღაცეებს გააფუჭებს, მერე, ივანიშვილს გადასარჩენად დაუძახებს, რადგან იცის, რომ ხალხი მას ენდობაო...

– ჯერ ერთი, „ოცნებამ“ უკვე ბევრი გააფუჭა. მეორეც, დიახ, ხალხი ბიძინა ივანიშვილს მაინც ენდობა. „ოცნება“ ცდილობს, ასეთი განცხადებებით ივანიშვილი აიძულოს, რომ პოლიტიკაში დაბრუნდეს, მაგრამ არ დაბრუნდება.

– რა იცით?

– თუ გახსოვთ, ივანიშვილმა თავის დროზე განაცხადა, პოლიტიკაში მაშინ დავბრუნდები, თუკი დავინახავ, რომ ქვეყანაში რამე ცუდი მოხდაო. შესაბამისად, მისი პოლიტიკაში დაბრუნება იმის აღიარება იქნება, რომ მის გარეშე ქვეყნის მმართველობა აბსოლუტურად უუნაროა. ივანიშვილი კი, ამ ნაბიჯს არ გადადგამს!

– ბატონო კონსტანტინე, წელან სუს-ი ახსენეთ, რომელმაც ამ დღეებში, სპეცოპერაცია ჩაატარა და „აი-სი-ს“-თან კავშირის გამო, რამდენი პიროვნება დააკავა...

– ეს აბსოლუტური არაპროფესიონალიზმის გამოვლინება იყო!

– ასე რატომ ამბობთ, დაასაბუთეთ!

– ამით „აი-სი-ს“-ის გამაღიზიანებელი კავშირი შექმნეს!

– კი, მაგრამ თუკი საქართველოს მოქალაქეებს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირი რეალურად ჰქონდათ?

– შეიძლება, ჰქონდათ, მაგრამ ამ ოპერაციის აფიშირება საჭირო ნამდვილად არ იყო.

– ანუ, ოპერაცია უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ამის შესახებ საზოგადოებას არაფერი გაეგო?

– დიახ, თუკი მტკიცებულებები არსებობდა, პიროვნებების აყვანა წყნარად შეიძლებოდა. არ ვიცი, ამ აფიშირებას რა ვუწოდო, მით უმეტეს, რომ ამით რუსეთს, რომელსაც საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის, პრაქტიკულად, სადავეები აქვს ჩაგდებული, კარტ-ბლანშს აძლევ, რომ „აი-სი-ს“-ის ფესვები საქართველოშიც ეძებოს. ეს ძალიან საშიში თამაშია!

სხვათა შორის, ეს ოპერაცია და ამ ოპერაციის დროს ამოღებული ატრიბუტიკა აზერბაიჯანში, კერძოდ, ნავდარანში ჩატარებულ ოპერაციას და იქ ამოღებულ ატრიბუტიკას ემთხვევა.

– ამით რის თქმას ცდილობთ?

– ნავდარანში ჩატარებულ სპეცოპერაციაში ფარულად რუსული სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ.

– ეს საიდან იცით?

– ალბათ, ვიცი და ამიტომ ვამბობ. გახსოვთ, შოთა კვირაია „გრანდიოზულ“ ოპერაციებს ტანკებით რომ ატარებდა? – აზერბაიჯანშიც, ერთ პატარა სოფელს ტექნიკით მიადგნენ, სადაც თითქოს „აი-სი-ს“-ის პლაკატები და დროშები იყო გამოფენილი. აზერბაიჯანული მედიის ცნობით, ეს სოფელი „აისისელთა“ კუნძული იყო, მაგრამ ვინც აზერბაიჯანს იცნობს, ეს სრულიად წარმოუდგენელია.

– რატომ?

– ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აზერბაიჯანში ავტორიტარული რეჟიმია. მეორეც, აზერბაიჯანის სპეცსამსახური ძალიან ძლიერია, რომელიც ყველაფერს აკონტროლებს და მესამეც, არსებობს კანონი, რომლითაც იმ მოქალაქეებს, რომლებიც აზერბაიჯანის მოქალაქეები არ არიან, რელიგიური საქმიანობა ეკრძალებათ. ასე რომ, ეს ოპერაცია აზერბაიჯანშიც ძალიან ხელოვნური ჩანდა. აზერბაიჯანსა და საქართველოში ჩატარებული სპეცოპერაციების კადრები აბსოლუტურად იდენტური იყო და ამიტომ, ჩნდება შეკითხვა: ყველაფერი ერთი ჯაჭვი ხომ არ არის? ყოველ შემთხვევაში, მე, როგორც პროფესიონალს, ეს შეკითხვა მიჩნდება.

– ვთქვათ, ერთი ჯაჭვია. მერე?

– მერე ის, რომ ყველაფერი მომავალზეა გათვლილი.

– ვერ ვხვდები, რას გულისხმობთ, ბატონო კოტე...

– თუკი აზერბაიჯანსა და საქართველოში „აი-სი-ს“-ის ფესვები გამოჩნდება, ამით რუსეთს კარტ-ბლანში მიეცემა, რათა ამ ქვეყნებში სპეცოპერაციები განახორციელოს. მოკლედ, ამით რუსეთი შეეცდება, რომ კავკასიაში ფეხი საბოლოოდ მოიკიდოს. სხვათა შორის, წინა ინტერვიუებში ვთქვი, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ერთიანი ფრონტი შეიქმნა და ასტანაში ხელი შესაბამის დოკუმენტსაც მოეწერა. საქართველოსა და აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესები სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, თორემ კიდევ ვიმეორებ: საჭიროებას არ წარმოადგენდა, რომ მსოფლიოსთვის დაენახვებინათ, აი, „აი-სი-ს“-ის ფესვები საქართველოშიც არისო.

– და თუკი ეს ფესვები არსებობს?

– ამისთვის სპეცსამსახური არსებობს!

– ჰოდა, აქტიურობს!

– ასეთი აქტიურობა არ შეიძლება, ანუ სპეცოპერაცია უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ამის აფიშირება საჭირო არ იყო! რა გარანტია გვაქვს, რომ ამის შემდეგ „აი-სი-ს“-ის ვიღაც „ტუპოი“ წევრს თავში რაღაც არ მოუვიდეს და საქართველოში რამე არ განახორციელოს, ანუ ამ ოპერაციის გამო, შური იძიოს?! მოკლედ, არ შეიძლება, ტერორიზმის პატარა საფრთხისგან უფრო დიდი საფრთხე შექმნა. კარგი, ეს ოთხი-ხუთი ადამიანი დააკავეს, მაგრამ ეგებ ეს ჯაჭვი უფრო დიდი იყო? ახლა კი, რა გამოვიდა? – ამ სპეცოპერაციით ეს ჯაჭვი გაწყვიტეს. ჯობდა, აქცენტი ფარულ ოპერატიულ მუშაობაზე გადაეტანათ და თუკი საქართველოში ნამდვილად არსებობს, „აი-სი-ს“-ის მთელი ქსელი გამოევლინათ. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ასეთი ოპერაციების დაგეგმვას სწორი ანალიზი უნდა და ჩანასახში ჩატარება არ შეიძლება, რადგან ამით, პრაქტიკულად, რუსული ფესვები გამაგრდა, ანუ კრემლი ოფიციალურად დეკლარირებს, რომ საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვის, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ „აი-სი-ს“-ის უკან სწორედ რუსული სპეცსამსახურები დგანან!

სხვათა შორის, „აი-სი-ს“-ის მებრძოლები ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე თავისუფლად დადიან – ბოლო ინფორმაციით, 1600 „აისისელმა“ ავღანეთის საზღვარი გადაკვეთა. როგორ წარმოგიდგენიათ, ერაყიდან ამდენი ქვეყანა ისე გაიარეს, რომ ერთმა სპეცსამსახურმაც ვერ შეამჩნია? როგორც ჩანს, ვიღაცები ამ პროცესის გლობალიზაციას ცდილობენ. ამ სქემაში, ჩემი აზრით, ავღანეთიც სწორედ ამიტომ გაჩნდა. ისე, ავღანეთი ყოველთვის რუსეთის ინტერესი იყო. პუტინს ისიც დეკლარირებული აქვს, რომ ჩრდილოეთ აფრიკა აინტერესებს, სადაც დასაყრდენი ყოველთვის ჰქონდა. მას შემდეგ, რაც „აი-სი-ს“-თან ბრძოლის საბაბით ახლო აღმოსავლეთში რუსეთი ფეხს მოიკიდებს, ამ დილემის წინაშე ევროპაც დადგება.

– რა დილემის?

– რა და, – რუსეთის.

ვანო, წინა ინტერვიუში აღვნიშნე, რომ რუსეთ-თურქეთის დღევანდელ ურთიერთობაში აზერბაიჯანი გამტარი, ანუ კომუნიკაციის ერთადერთი საშუალებაა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ბაქოში თურქეთის უმაღლესი თანამდებობის პირები ჩადიან – ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრი ჩავიდა, ახლა კი, პრემიერი, რომელიც ისე მიიღეს, როგორც პრემიერს კი არა, პრეზიდენტს ეკადრება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯი იყო. ასევე, საინტერესო განცხადება გააკეთა თურქეთის პრემიერმა, ჩვენ ორი სახელმწიფო, მაგრამ ერთი ერი ვართ და ჩემს სულიერ სამშობლოში ჩამოვედიო, ანუ თურქეთი აზერბაიჯანის რუსეთთან დაახლოებით შეშინებულია, რადგან ამით ძალიან ბევრ რამეს კარგავს. თურქეთის პრემიერმაც ხაზი იმიტომ გაუსვა, თურქები და აზერბაიჯანელები ერთი ერი ვართო. მოკლედ რომ ვთქვა, თურქეთის მხრიდან აზერბაიჯანის გადაბირება მიდის.

– ბატონო კოტე, ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ წელან ისევ თავდაცვის სამინისტრო და კადრები ახსენეთ. აკვიატება გაქვთ?

– ეს ჩემი აკვიატება არაა!

– აბა, რა არის?

– ყველაფერს კადრები განსაზღვრავენ – როცა იცი, რომ ადამიანების ბეგრაუნდი რუსულ ინტერესებს უკავშირდება, ის თანამდებობაზე არ უნდა დანიშნო.

– რომელ დანიშვნას გულისხმობთ?

– გენშტაბის უფროსის პირველ მოადგილედ ვინმე ბეგოიძე დანიშნეს, რომელზეც თავის დროზე საუბარი თავდაცვის მინისტრის ერთ-ერთ მოადგილესთან გვქონდა, რომელმაც გვიპასუხა, რა ვქნა, ფრანგებმა გვირჩიესო.

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

4 | № 48 (312) | 9 - 15 დეკემბერი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲔᲕᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

8 დეკემბერს, „რედისონში“, თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ ერთწლიანი საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა, რომელსაც, მედიის გარდა, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. „ერთი წლის განმავლობაში, ახალ გუნდთან ერთად, იმ საზოგადოებრივი დაკვეთის შესასრულებლად, რომელიც ასახულია ჩემს საარჩევნო პროგრამაში, არსებითი ნაბიჯები გადაიდგა“, – განაცხადა ბატონმა მერმა და თავიდანვე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისას თბილისის მთავრობამ უპირატესობა თითოეული მოქალაქისთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს თემებს მიანიჭა, როგორიცაა ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის განვითარება, გარემოს დაცვა, სკოლამდელი განათლება და ასე შემდეგ.

დავით ნარმანიას თქმით, 2015 წლის ბიუჯეტი პრიორიტეტების მიხედვით დაიგეგმა. შესაბამისად, თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში 1 853 000 ლარის დაფინანსება შემცირდა, ასევე, ბიუჯეტის ოპტიმიზაციისთვის, 2015 წელს, საქალაქო სამსახურებისა და რაიონული გამგეობების საპრემიო ფონდი განისაზღვრა 8 718 500 ლარით, რაც 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე (11 786 000 ლარი) 3 067 500 ლარით ნაკლებია.

თბილისის მერის სიტყვით გამოსვლისას გაირკვა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გაორმაგდა ჯანდაცვის მიზნობრივი პროგრამები. ამ მხრივ აღსანიშნავია **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც პირველად დაიწყო** და რომლის ფარგლებშიც შესული განცხადებების 95% დაკმაყოფილდა, ანუ 280 ბენეფიციარი, დაახლოებით, 110 000 ლარით დაფინანსდა.

„პირველად დაიწყო ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ლეიკემიის მქონე პაციენტებს სრული მკურნალობა უტარდებათ. პროგრამის ფარგლებშივე, დაკმაყოფილდა ყველა მოთხოვნა და თითოეულ ბენეფიციარს, დაახლოებით, 200 000 ლარი გამოეყო, – განაცხადა დავით ნარმანიამ და დასძინა, – **თბილისში მაცხოვრებლებისთვის ექიმის მიერ დასმული დიაგნოზი ცალსახა განაჩენს აღარ ნიშნავს, ვინაიდან თბილისის მერია, საყოველთაო დაზღვევის პროგრამასთან ერთად, მათი ოპერაციის, მედიკამენტების, ამბულატორიული მომსახურების, რადიოლოგიური კვლევების დაფინანსებასაც უზრუნველყოფს“.**

ამ მიმართულებით კი, ნარმანიას თქმით, ერთი წლის განმავლობაში, ანუ 2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის ნოემბრის ჩათვლით, 45 000-მდე მოქალაქისთვის 36 მილიონი ლარი გამოიყო.

სოციალური პროგრამებიდან აღსანიშნავია C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამაც, ანუ C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სწრაფი (მარტივი) ტესტირების მეთოდით, 560 მოსარგებლეს ჩაუტარდა და ამ კუთხით 51 ათასი ლარი დაიხარჯა.

საერთო ჯამში, გასული ერთი წლის განმავლობაში, თბილისის მერიამ, 4 ახალი სოციალური მომსახურების პროგრამა დაიწყო:

1. სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარიანი დახმარების პროგრამა (დაფინანსებული შემთხვევების რაოდენობა – 421. გადარიცხული თანხა – 210 500 ლარი).

2. სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შშმ პირების დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, დახმარება ორ ეტაპად – მაისსა და დეკემბერში, 400-400 ლარის ოდენობით ირიცხება. მიმდინარე ეტაპზე დახმარება 849 პირს გაეწია. გადარიცხულმა თანხამ კი, 339 600 ლარი შეადგინა.

3. სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების პროგრამა – პროგრამის ფარგლებში, დახმარება სამ ეტაპად – მაისში, აგვისტოსა და დეკემბერში, 300-300 ლარის ოდენობით ირიცხება. აგვისტოს ჩათვლით, დახმარება 811 პირს გაეწია. გადარიცხული თანხა კი, 471 000 ლარია.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტი კი, 400 000 ლარია.

4. უსინათლოთა გამცილებლით მომსახურების პროექტი, ბრაილისა და ბრტყელი შრიფტით საინფორმაციო-შემეცნებითი ჟურნალების გამოცემა, ჟესტური ენის სპეციალისტების მომზადების პროექტი და სხვა.

დავით ნარმანიას თქმით, არსებული პროგრამებით სარგებლობის წესები და ადმინისტრირება გამარტივდა. ასევე, გამარტივდა ნარკოდამოკიდებულ პირთა პროგრამაში ჩართვის მექანიზმები; გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამას კი, მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უნარ-ჩვევების დამკვიდრების ხელშეწყობის კომპონენტი დაემატა, ანუ სოციალური დახმარების რიგ პროგრამებში გაიზარდა ფულადი სარგებლის ოდენობა (სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ,,ახალშობილთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება“; 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება; ომის ვეტერანების დახმარება; სოციალურად დაუცველი ბავშვების უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში; სოციალურად დაუცველი ბავშვების უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში; სოციალურად დაუცველი ბავშვების უფასო სწავლება სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში). მთლიანობაში, აღნიშნული პროგრამების დაფინანსება 4,1 მილიონი ლარით გაიზარდა და 9,9 მილიონი ლარი შეადგინა.

როგორც ნარმანიამ აღნიშნა, ერთი კვირის განმავლობაში, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის, მერიის ბიუჯეტიდან, საშუალოდ, 400 000-დან 500 000 ლარამდე იხარჯება.

„გაიზარდა სასწრაფო დახმარების მომსახურების ხარისხი და ოპერატიულობაც:

ამოქმედდა ახალი რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც, სამედიცინო ბრიგადების მომსახურების ახალი რეგლამენტით სასწრაფოს ბრიგადა გამოძახების ადგილზე, მინიმუმ, 12-15 წუთით უფრო სწრაფად ცხადდება. ანაზღაურება გაეზარდათ ფილიალის მენეჯერებს, სამედიცინო ბრიგადებსა და მედდებს, რამაც გაზარდა დასაქმებულთა მოტივაცია და შესაბამისად, მომსახურების ხარისხიც გაუმჯობესდა.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ხელი ახალი სამედიცინო გეოგრაფიული რუკის შემუშავებამ და ქალაქ თბილისის, სხვადასხვა რაიონებში, სამედიცინო დახმარების ცენტრის რაიონული სამსახურების ახალი ქვეპუნქტების შექმნამაც შეუწყო (მაგალითად, ახალი ქვეპუნქტები კოჯორსა და ზემო ფონიჭალაში გაიხსნა). შეიქმნა ახალი რაიონული სამსახური, რომელიც მოემსახურება თბილისის ზღვის და მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობას, ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების ოპერატიულობისა და ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

დავით ნარმანიას ერთი წლის ანგარიშის პრეზენტაციაზე, ასევე, ცნობილი გახდა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, დედაქალაქის მერიამ მუშაობა უსახლკაროთა პრობლემების მოგვარებაზეც დაიწყო.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ქუჩაში ერთი მოქალაქეც აღარ იყინება, როგორც ეს გასულ წლებში ხდებოდა“, – ერთგვარი სიამაყით განაცხადა დედაქალაქის თავკაცმა და დამსწრე საზოგადოებას ამ კუთხით მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა. კერძოდ:

2013 წლიდან მოქმედი ე.წ. კარვების თავშესაფრის შემდეგ, პირველად აშენდა 240 ბენეფიციარზე გათვლილი თავშესაფარი.

ასევე, მას შემდეგ, რაც დედაქალაქის მმართველობა „ოცნების“ გუნდმა გადაიბარა, **პირველად დამტკიცდა უსახლკაროთა რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის წესი.** გარდა ამისა, **გაიწერა შშმ პირებისათვის გარემოს ადაპტირების 3-წლიანი სტრატეგია,** რომლის თანახმადაც, უკვე მიმდინარეობს შშმ პირებისთვის ბარიერების სრულად მოხსნა.

აღსანიშნავია, რო **2016 წლიდან, შშმ პირებისთვის, ქალაქში ახალი ადაპტირებული ავტობუსები იმოძრავებენ.**

„ქალაქში, წლების განმავლობაში, ქაოტური განაშენიანება მიმდინარეობდა. ჩემი საარჩევნო პროგრამის შესაბამისად, თბილისის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის შემუშავებაზე კონკურსი ჩავატარეთ. ახალი კონცეფცია დაეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა ჯანმრთელი ქალაქი, მწვანე ქალაქი, საცხოვრებლად მოსახერხებელი ქალაქი, კომპაქტური, რესურსდამზოგავი და „ჭკვიანი ქალაქი“ (შმარტ ჩიტყ), ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული უნიკალურობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული ქალაქი. ყოველივე აქედან გამომდინარე, მალე თბილისი ფეხით მოსიარულეებზე ორიენტირებული ქალაქი იქნება“, – განაცხადა დავით ნარმანიამ და დასძინა, რომ დედაქალაქში ველობილიკებიც მოეწყობა.

არავინ უარყოფს, რომ თბილისის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა საზოგადოებრივი ტრანსპორტია. სწორედ ამიტომ, ნარმანია და მისი გუნდი, როგორც ირკვევა, აქტიურად მუშაობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და 2016 წლიდან თბილისს ავტო-პარკს 200-მდე ახალი ავტობუსი შეემატება.

რაც შეეხება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამ მიზნით, პირველად თბილისის ისტორიაში, შემუშავდა გარემოსდაცვითი სტრატეგია, რაც ჩვენი ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

როგორც დავით ნარმანიამ ერთლწლიანი ანგარიშის პრეზენტაციისას აღნიშნა, **თბილისში 2.5 მლნ მ2-მდე ტერიტორიას, დამატებით, სარეკრეაციო ზონის სტატუსი მიენიჭა.** ასევე, გაფართოვდა ბოტანიკური ბაღი, თბილისის ზღვაზე კი, დენდროლოგიური პარკის მოწყობა დაიწყო.

თბილისის მერის ერთწლიანი ანგარიშის პრეზენტაციისას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ გახდა ცნობილი: **ვერეს ხეობას სარეკრეაციო ზონის სტატუსი მიენიჭა,** რაც იმას ნიშნავს, რომ **ამიერიდან, „მზიურის“ ტერიტორიისა და მთლიანად ხეობის განვითარება მხოლოდ სარეკრეაციო ფუნქციით მოხდება.**

დავით ნარმანიას ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო დაპირება თბილისში მილიონი ხის დარგვა იყო. მართალია, ოპონენტები ამ თემით ხშირად აპელირებენ, მაგრამ როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, რამეთუ **2014 წლის შემოდგომიდან დღემდე, დედაქალაქის მასშტაბით, უკვე 500 ათასამდე, ანუ ნახევარი მილიონი ხე დაირგო, რაც წინა, ანუ „ნაციონალების“ მმართველობის 5 წლის განმავლობაში დარგული ნერგების რაოდენობას 9-ჯერ აღემატება!**

„ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, აქცენტი გაკეთდა ინფრასტრუქტურის ფუნდამენტურ მოწესრიგებაზე. მიმდინარეობს გზების კაპიტალური მშენებლობა. ამ დროისათვის დასრულებულია შემდეგი ქუჩების კეთილმოწყობა – ელბაქიძის ქუჩა (ელბაქიძის აღმართი), თამარ მეფის გამზირი, თამარაშვილის ქუჩა, კოჯრისა და სამადლოს გზის მონაკვეთი, თბილისი-წყნეთის დამაკავშირებელი გზა, თბილისის ზღვის 11-კილომეტრიანი შემოვლითი გზა, მეტეხის საგვირაბე კომპლექსის გაგრძელებაზე არსებული ხიდები, მდინარე დიღმულაზე არსებული ხიდი და სხვა... ჯამში, ერთი წლის განმავლობაში, 1 მილიონი კვადრატულ მეტრამდე გზა დაიგო, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ნებისმიერი სხვა წინა წლის მაჩვენებელს“, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე ინფორმაციით, გრძელდება მუშაობა ბარათაშვილის, ზაჰესისა და მუხათგვერდის ხიდების მოდერნიზაციაზე. ამასთან, სხვა ახალი გზების მშენებლობის პარალელურად, იწყება პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენის სამუშაოებიც.

„2014 წელს, ხელისუფლების ცვლილებამდე, შეჩერებული იყო საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის ტენდერების გამოცხადება. გაფორმებულ ხელშეკრულებებში კი, არ იყო დამკვეთის უფლებების დაცვის მყარი გარანტიები, რაც სამუშაოების ხარისხს ეჭვქვეშ აყენებდა. ახალი ტენდერების გამოცხადებასა და არსებული ხელშეკრულებების ხარვეზების გამოსწორებას კანონმდებლობით დადგენილი ვადები დასჭირდა. ამიტომ სამუშაოების წარმოება მხოლოდ 2014 წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში მოესწრო, მაგრამ მიუხედავად ამისა, საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები, 2014 წლის ბოლო 3 თვეში, უტოლდება წინა ხელისუფლების პირობებში, 2014 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში ამავე ტიპის სამუშაოებში ბიუჯეტის ათვისებას“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

„ბოლო წლებში, ბაგა-ბაღებზე გაზრდილი მოთხოვნის მიუხედავად, არსებობდა ბაღების გაუქმების ტენდენცია, თუმცა ჩვენ ეს მიდგომა რადიკალურად შევცვალეთ და ბოლო ერთი წლის განმავლობაში, თბილისში, უკვე 7 საბავშვო ბაღი გაიხსნა, რომელიც დამატებით 2 500 აღსაზრდელს ემსახურება. გარდა ამისა, სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაო ჩატარდა 125 საბავშვო ბაღში, ყველა ბაღში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა“, – განაცხადა თბილისის მერმა, რომლის ინფორმაციითაც, მომავალ წელს დედაქალაქში კიდევ 10 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა იგეგმება.

„ერთი წლის განმავლობაში, საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის შესრულება შევძელით, თუმცა ცხადია, რიგი გამოწვევის წინაშე ვდგავართ და დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით, ყველა პრობლემას აუცილებლად დავძლევთ“, – აღნიშნა თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ, რომლის თქმითაც, თბილისის მერია ეტაპობრივად გადადის პროგრამულ ბიუჯეტზე, რის შედეგადაც თანხები, კონკრეტულ საფუძვლებზე დაყრდნობით, გადანაწილდება, ბიუჯეტი კი, უფრო დეტალურად და მეტი პრეანალიზის საფუძველზე დაიგეგმება.

როგორც დავით ნარმანიამ წლიურ ანგარიშზე აღნიშნა, ე.წ. კომუნალური სუბსიდიის პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი (70 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე) 38 000 ოჯახისთვის, 9.5 მილიონი ლარის ნაცვლად, 19 მილიონი ლარი იხარჯება.

საერთო ჯამში, მერის მონაცემებით, 2013-2014 წლებში, უფასო სასადილოებში კვებით უზრუნველყოფას 26529 ადამიანი იღებდა, 2014-2015 წლებში კი, – 32167 ადამიანი. 2013-2014 წლებში, უფასო მედიკამენტებით 20189 ბენეფიციარი დაფინანსდა, 2014-2015 წლებში ეს რიცხვი 42711 მდე გაიზარდა.

2013-2014 წლებში, სამედიცინო მომსახურება 3844 მოქალაქეს, 2014-2015 წლებში კი 7582 მოქალაქეს გაეწია.

2013-2014 წლებში, ერთჯერადი ფინანსური დახმარება 2076 მოქალაქეზე გაიცა, 2014-2015 წლებში კი, ეს რიცხვი თითქმის 9-ჯერ გაიზარდა და 18432 შეადგინა.

2013-2014 წლებში, საცხოვრებელი ფართის ქირით უზრუნველყოფით ისარგებლა 943 მოქალაქემ, 2014-2015 წლებში კი, – 1150 მოქალაქემ.

2013-2014 წლებში, საშენი მასალებით დახმარება 1880 მოქალაქეს გაეწია, 2014 -2015 წლებში კი, – 1945 მოქალაქეს.

ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

 პოეზია

სტეპის ოდისეა

მანასი

ყოველ ერს აქვს თავისი მთავარი წიგნი, ქვეყნის უკვდავების ნიშანსვეტი. ყირგიზი ხალხისთვის ასეთია ეპოსი „მანასი“, რომელსაც იუნესკო-მ „სტეპის ოდისეა“ უწოდა. მე-11 საუკუნის შედევრი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ქართული სიტყვა“ პირველად გთავაზობთ პოემის ქართულ ვარიანტს, რომელიც მაყვალა გონაშვილმა თარგმნა.

მანასი — სტეპის ოდისეა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41, 42, 43, 44, 45, 46, 47)

ვინ განაგებს ზღაპრულ მხარეს?
ნაგვირისტებს უფლის ხელით?
ერთი ჩინელი სატრაპი,
აკბეშიმა, ჩუს მმართველი.
ის მანასის დატყვევებას
ჩუმად, ფანდით აპირებდა,
მსროლელები გადამალა
წყალუხვი ჩუს ნაპირებთან,
მტერს მთის ძირას ელოდა და
ერ-მანასი იყო მთაში,
თვით გაება აკბეშიმა
თავის დაგებულ ხაფანგში.
რჩეულ ლაშქარს ჩუს მმართველი
მოელოდა სულ სხვა გზიდან
თავს დაატყდნენ მეომრები
თითქოს ზვავი მოწყდა მთიდან.
თითქოს დელგმა, ნიაღვარი
ხეობაში ჩამოვიდა,
ნეტავი მას, ვინც ცოცხალი
თავს დააღწევს ამ ომიდან.
კვნესის, ოხვრის და ყიჟინის
ხმა ზეცამდე ადიოდა.
ფარ-შუბებს და ფოლადის ხმლებს
ნაპერწკალი გასდიოდა.
ამაოდ უხმობდნენ მშველელს
უმოწყალოდ დაჭრილები,
სისხლის წვიმებს დაენამა
ალატოოს ველ-მინდვრები,
რამდენ ცოდვას ფარავს ზეცა,
მიწა რამდენ ტანჯვას იტევს,
აკბეშიმის მთელი რაზმი
ამოხოცეს, ამოჟლიტეს.
ერ-მანასის მეომრებმა
გამარჯვება იზეიმეს.
რაც ერთისთვის ლხენის დღეა,
მეორესთვის — სიმწუხარის.
ვით დაჭრილი მეომარი
ძირს დაეცა დროშა ხანის.

●

როგორც იქნა ირიჟრაჟა
და გათენდა ცოდვის დილა,
ცამ იგლოვა მოკლულები
და ქარის ხმით დაიტირა.
მეომრებმა მტერ-მოყვარე
დაწვეს, ვინც კი ეგდო ველად,
არ დატოვეს ყვავ-ყორნების
საჯიჯგნად და საკორტნელად.
შეაგროვეს ფერფლი ერთად,
გაატანეს წყალს მდინარის,
საწყალთ მიწაც არ ეღირსათ
მშვენიერი თურქესტანის.
ძველად ზღაპრულ თურქესტანში,
როგორც მოყვარული ძმები,
ერთმანეთის ლხინს იყოფდნენ
ყაზახები, ყირგიზები.
ერთმანეთის სანუგეშოდ
ღია ჰქონდათ გულის კარი,
იქ ცხოვრობდა თურმე ერთ დროს
მოდგმა ხანის, ყარაკანის.
ყარაკანის შთამომავალთ
რა ქალაქი აუგიათ,
შემოურტყავთ გალავანი
ქვაფენილი დაუგიათ.
ვინც კი ნახავს ზღაპრულ ტაშკენტს
ენა დაეღლება ქებით,
ორ საუკუნეს გაუძლო,
მყარად ნაგებია ქვებით.
თურქესტანის მშვენებაა
დედოფალი ქალაქების.
ჩინეთის მძიმე უღლისგან
ძლიერ დაიტანჯა ხალხი.
ტაშკენტ ქალაქს განაგებდა
ყანგაელი ფადიშაჰი,
დილით მოვარდა შიკრიკი
ებმებოდა საწყალს ენა,
პანუსს თვალს ვერ უსწორებდა,
ბოლოს ასე მოახსენა:
— შემინდე და მაპატიე,
თუკი გამცნობ ამბავს ავსო,
რა საზარი ომი იყო,
ლამის წამეკვეთოს სასო,
რაც მე ვნახე, გეფიცები
არ უნახავს კაცის თვალსო,
ხანო, მალე უფლის რისხვა
დაგვატყდება ვიცი თავსო.
ჩვენ სიკვდილი ბასრი ცელით
მოგვდგომია უკვე კარსო,
ერ-მანასის მოდის ურდო
ღვარ-ცოფივით წაგვლეკავსო...
ბორგავს პანუს ფადიშაჰი
ბრაზით თვალი უთამაშებს,
მმართველები მეგრიმ, მერკე
მოიწვია ხანმა ტაშკენტს.
შამინ-შა და დოობოგიც
სასახლეში დაიბარეს,
გულზე ცეცხლი მოსდებიათ
გველაძუა, ზვიად ხანებს.
ითათბირეს, იკამათეს
გაიკრიფნენ ლამის ენად,
დიდი ჯარი შეაგროვეს
ჩუის ველზე საბრძოლველად.

●

კოკეტეის ეკუთვნოდა
ჩირჩიკის მთა და ველი,
სიბრძნის უხვი წყარო იყო,
შორსმჭვრეტელი, მჭერმეტყველი,
მას საკუთარ ჭირად უჩნდა
ხალხის დარდი, გასაჭირი.
თავად ესენ-ხანისაგან
კოკეტეის ერგო ჩინი.
ჩირჩიკის განაგებდა
სამართალით, განა ძალით,
მტერ-მოყვარე, ყველა მოხუცს
ექცეოდა რიდით — კრძალვით,
ერ-მანასის გამარჯვება
რა შეიტყო კოკეტხანმა,
ვერ დაფარა სიამაყე
ბრძენმა გულით გაიხარა.
გადაწყვიტა, თავის ჯარით
მანასს ზურგი გაუმაგროს
გულით უნდა, ყირგიზები
ახეიროს, რამე არგოს.
სურს, ჩინელებს აღარ მისცეს
სითავხედის აწი ნება,
და ცხვირიდან ძმრად ადინოს
თავის ხალხის დამცირება.
ნატვრა ცასთან გვაახლოვებს,
ტანჯვის გზები დიდებასთან,
შეიკრიბნენ მეომრები
ჩუის ქვედა დინებასთან...
პანუს ჯარი მანასისზე
დიდი არის ერთი ასად,
დააბნელა მთელი ველი,
ხევის ყელი გადარაზა.
დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას
ახმაურდა უცებ დოლიც
და დაიწყო დიდი ბრძოლა
სასტიკი და დაუნდობი.
როგორც სამი საუკუნე,
როგორც ავი ბედისწერა,
სამი დღე და სამი ღამე
უსაშველოდ გაიწელა.
მანასს ალყა შემოარტყა
მეოთხე დღეს პანუს ჯარმა,
რა წითელი ღრუბლებია,
ცას რა ჯანღი მოეჯარა.
ჩუის ველზე ომის ღმერთი
ციდან სისხლის წვიმებს უშვებს,
დაჭრილია თითქოს ზეცაც
და ჭრილობებს ვერ იშუშებს.
უსათუოდ გვეშველება,
თუკი არის უფლის ნება,
კოკეტეის მხედრიონი
ბანაკს ჩუმად ეპარება.
არ ელოდნენ ჩინელები
მოხუცისგან მახვილს ზურგში,
გაიპარა პანუს ხანი
თავხედი და ბაიყუში.
გადარჩენილ მანასს ბრძენმა
უთხრა, გამცნობ, თუ რა მინდა,
ჩემი ქვეყნის დამპყრობლები
გავაძევოთ თურანიდან.
ბრძენს მანასმა მოახსენა:
— კოკეტ ხანო, სალამიო,
ვაფრიალოთ ტაშკენტის თავს
თურქესტანის ალამიო,
ამ მიწისთვის ჩვენი სისხლი
დაე, იყოს ალალიო,
ჩვენს ძმობაზე უწმინდესი
ქვეყნად ძმობა არ არისო.
მოიყარა კრძალვით მუხლი
ეამბორა, როგორც მამას,
განშორების ჟამიც დადგა,
ევედრება ბრძენი მანასს:
გმირო, მალე დაგვიბრუნდი,
ერთად ვიყოთ ჭირშიც, ლხინშიც
ერ-მანასი თავის ჯარით,
გააცილა ალტაიში.
რა ურყევი კავშირია,
რა დიადი ძმობა არის,
ერთი გმირი — ახალგაზრდა,
და მეორე აღსაკალი.
მათ წინაშე მორჩილებით
გაიხსნება ყველა კარი.

ყირგიზეთის ალტაიდან სამშობლოში დაბრუნება

როგორც იქნა, ყირგიზებმა
მიაშურეს მშობელ მხარეს,
საგვარეულო დროშები
ქარში ლაღად მიფრიალებს.
დაუტვირთავთ აქლემები
რა სიმდიდრით, რა ქონებით,
წინ ბალღები გარბიან და
უკან მისდევთ საქონელი.
ღმერთმა გზები დაულოცოს,
ცამ სიუხვე დაათოვოს,
იჩქარიან ყირგიზები
ალტაიდან ალა-ტოოს.
სადაც დიდი წინაპრების
ხის აკვნები გადაირწა
და ჭიპლარის სისხლის წვეთი
ეცემოდა მშობელ მიწას.
უჩ-არალის გავლეს ველი
ჟერგალანი გადაცურეს
კაფეს გზები გაუვალი,
მკლავი გაიმამაცურეს.
სარ-ოზონი გაიარეს
მზე მთებს იქეთ გადიწვერა,
ფერდობებზე შეფენილა
ბუერა და ვაციწვერა.
ჭიკჭიკებენ ჩიორები,
ცის ლაჟვარდში ირევიან,
ყვავილებით მოჩითული
ველები და მინდვრებია.
მიწიერი სამოთხეა,
მისი დარი სხვა სად არის,
და ანკარა წყაროებად
ჩაუშლია მთას დალალი.
დიდ-პატარას, ყრმას თუ მოხუცს
სამშობლოსთვის უცემს გული,
შეყორნისფრდა ცის გუმბათი
ვარსკვლავებით დაწინწკლული.
აბრიალდნენ კოცონები,
დაიძინეს პატარებმა.
არსად მტერი — ავის მდომი,
არსად უცხოს ჭაჭანება.
დაიფარავს ყრმას თუ მოხუცს,
აჩრდილები წინაპართა,
დილით ხანი ერ-მანასთან
შესახვედრად გაემართა.
ხან კოშოიმ გაიხარა
ყირგიზებთან მასლაათით
და სახეზე უთამაშებს
სიხარულის ათინათი.
„სამშობლოა ჩვენი მზე და
ჩვენ სხივები ნათელ მზისა,
ფესვით ფესვზე ჩახლართული
ორი შტო ვართ ერთი ხისა.
გვეყო ტანჯვა-დამცირება.
მტერი აღარ გავაცინოთ,
ერთურთს მიეცეთ ყველამ მხარი,
მწარე ბედი ავიცდინოთ
დაივიწყეთ ლტოლვილობა
სავალალო, საწუხარი,
ერთ დიდ ურდოდ შეიკარით
აირჩიეთ ერთი ხანი.
პირველობა შვენის მანასს,
ჩემგან ან რა გესწავლებათ,
ხანად იგი აირჩიეთ
ასეთია უფლის ნებაც.
სადაც ოქროს ველი არის
და მდინარე ტალასიო.
ყირგიზების დედაქალაქს
ააშენებს მანასიო.
იქ დაიდგას ოქროს ტახტი
იქ მიხედოს ქვეყანასო,
მე ამ მიწაზე დავიცავ
კატაგანების მოდგმასო.
კოშოი ხანს ბრძენს და კეთილს
აკბალტხანმა მისცა მხარი,
მოუწონა სიტყვა-რჩევა,
ნაფიქრი და ნაუბარი,
უთხრა დასტურ, მანასია,
ჩვენი ხმალი, ჩვენი ფარი
ჩვენი ხალხის ალამდარი,
უძლეველი ფალავანი.
ხოლო მტრისთვის იცით ყველამ,
რა ელვაა, რა მეხია,
თქვა აკბალტამ და კოშოის
გულში ტკბილად ჩაეხვია.
ხან კოშოიმ ჟაკიპ-ბაის
გადახვია ძმურად ხელი,
და ორ მოხუცს ერ-მანასი
უცქეროდა ბედნიერი.
ირიჟრაჟა, ხანთა ხანმა
კვლავ აღმართა დროშა მზისკენ
თავის ერთგულ რაზმთან ერთად
გაემართა ტალასისკენ.

ამბავი ალოოკეს ფერღანიდან გაქცევისა

ჩინელების ტყვეობაში
გაიტანჯა თურქესტანი
როს ფერღანას განაგებდა
გულღრძო ალოოკე ხანი.
სასტიკი და შფოთიანი,
ხელქვეითთა მწვალებელი,
გულბოროტი, გველაძუა,
მკაცრი, შეუბრალებელი.
კანონია ხანის ნება.
იქ არა სჭრის სამართალი,
ვინც კი სიტყვას შეუბრუნებს,
მხრებზე არ შერჩება თავი,
არ მიართმევს ვინც ოქროს ზოდს,
დაუდგება საწყალს თვალი,
თუკი სადმე ქალწულია
ლამაზი და ტანკენარა,
ვეღარ ძღება ხანის გული,
ყველას ელის ჰარამხანა.
მსტოვრები და მლიქვნელები
უხვადაა სასახლეში,
და ნებივრობს ალოოკე
ხალხის ცრემლით განალეში.
არ იციან დამპყრობლებმა
არც ადათი და არც წესი
და მონობის უღლისაგან
თურქესტანი შფოთავს, კვნესის.
კმარა მტერთან სიბეჩავე,
ასე მორჩილება კმარა
და მანასმა სათათბიროდ
ყირგიზები დაიბარა.



6 № 48 (312) 9 - 15 დეკემბერი 2015

ქართული სიტყვა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲖᲐ

ფალესტრა

გრიგოლ რობაქიძე

(დაუმთავრებელი რომანი)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41, 42, 43, 44, 45, 46, 47)

გადარჩა, უნგარმა ღრმად ამოიხვნეშა, ხვნეშას ამოჰყვა მხეცური შიში, ტანი აცახცახდა, როგორც ცხენი ძარღვ-შეშინებული; დაესხა ცივი ოფლი, ლითონ-სხეულმა უკლო სიმალე. უნგარ შევიდა ქალაქში და გაეშურა სახლისაკენ. საღამო იყო. დავარდა ლოგინზე მოკვეთილი და წამსვე დაეძინა. ეძინა ქვის ძილით. მეორე დღეს თერთმეტ საათზე გამოეღვიძა. დახედა საათს და გაუკვირდა. როცა ადგა, შვება იგრძნო ურკვევი; სხეულს საოცარი სიმსუბუქე და სიმჩატე მისცემოდა. იგრძნო კიდევ სხვა რამ უფრო სახარელი სხეულიდან „პლანეტის ნატეხი“ (უცხო ქალი?) თითქო ამოვარდნილიყო. უნგარ შეუდგა მუშაობას დამშვიდებით და გულდასმით. „ფალესტრას“ დადგმის გეგმას თვალს ავლებდა დაა რვეულის გვერდზე სხვადასხვა შენიშვნას აკეთებდა. უეცრად გაისმა ტელეფონის წკარუნი. აიღო ტელეფონის ტარი.

„ალლო“.

„მე ვარ, პეტერეც. გეძახით კაფე „WIEN“-იდამ უცხო ქალი აქ არის“.

„კარგი“.

ჩამოკიდა ტელეფონის ტარი.

იყო ეს ცნობა მისთვის მართლაც „კარგი“?! უნგარ აიმღვრა, აირია. თუ ნამდვილი ვაუკაცია, არ წავა: გაიფიქრა. მაგრამ სადღაც უძირო კუთხეში. სიამე იზრდებოდა და მასთან ერთად საცდურიც. ნეტავ არ ეცნობებია ეს ამბავი პეტერეცს: გაივღო გულში. მაგრამ გული სხვას უფრო ელტვოდა. უნგარ ისევ მოიღუშა. გრძნობდა: ნება თანდათან ეკარგებოდა. წამოდგა თითქო მრისხანე.

კაფე „WIEN” ელექტროს ნათელში იყო აღვივებული. ელექტროს ნათელი ლიმონის ქერქის ფერში დნებოდა. მარმარი და ნიკელი ცურავდნენ ამ მოყვითალო ფერში. უკრავდა ორკესტრი, ვიოლინოები, ჩელო, ფლეიტა, კლისოფონი და დირიჟორი, ესეც ინსტრუმენტი იყო ორკესტრში. დირიჟორს, შარვალ-ჩაშვებულს ოდნავ, სახის მეტყველება იმ კაცის ჰქონდა, რომელიც ეს არის, ნაცნობს ფულს დაესესხება. მოგორავდენ ამერიკულად დაურვებული ზანგური რიტმები. მაგიდებთან მჯდომარენი რიტუალური სიდინჯით შეექცეოდენ: ზოგი ყავას, ზოგი ჩაის, ზოგიც აპერიტივებს - (აპერიტივი მეტაფიზიკაა ევროპულ კაფესი).

კაფეს მეორე სართულში ისხდნენ ჟანნეტ და პერეც. ესენი ჩაის შეექცეოდენ. გვერდით, ახლო, მაკ კოლახ იჯდა. პერეცმა წამსვე გამოიცნო ამერიკელი. გაუკვირდა მხოლოდ: „ის ლამაზი ქალი რატომ არ არის მასთან“. მაკ კოლახ გაზეთს კითხულობდა, როგორც ფარაო უცხო ფირმანს. პერეც არ იყო გუნებაზე. ორი-სამი ახალგაზრდა გამოჩნდა ოდნავი ბორძიკით: ცოტა „გადაკრულები“ იყვენ. ჩაუარეს პერეცისა და ჟანნეტის მაგიდას გვერდით და ქალს ორჭოფი ღიმილი დააყარეს. ჟანნეტ აიმრიზა.

„ნეტავ რას ნახულობენ ამ სიმთვრალეში?”

ჩაილაპარაკა ცოტა გაგულისებულმა,

ფერეცმა თემას მიაგნო თითქო და ახალისდა:

„რას ნახულობენ? რასა და თავდავიწყებას. ოპიუმი, ჰაშიში, კოკაინი, ალკოჰოლი, ეფირი, ნიკოტინი, კოფეინი, თეინი - ეს რომ არ იყოს, ადამიანი გაგიჟდებოდა. კაცს ემძიმება თავისთავი და უნდა თავი დაივიწყოს. ახალი სათრობი ელემენტის გამოგონება ასტრონომიულ აღმოჩენას უდრის. მერწმუნე, არის განა ვინმე, რომელიც არ თვრება თავდავიწყებისთვის? წინასწარმეტყველი არ „სვამს“, მაგრამ დამთვრალია უზენაესი ხილვით. ასევე ყველა: პოეტი- სახეებით, მსახიობი-თამაშით, ქალი-ეროსით. არ არი არცერთი ადამიანი, რომ არ თვრებოდეს რამეთი. წარმოიდგინე: ცხოველიც კი თვრება ზოგიერთი

„თავდავიწყებისათვის“...

ჩაილაპარაკა ქალმა: თითქო ეს სიტყვა პირველად მოესმა, თვალები განაბა.

„დიახ თავდავიწყებისათვის... არის რაღაც მწარე და აუტანელი თვითონ ყოფაში. მწარე და აუტანელი ყოფის ძირშივე, ადამიანს რაღაც სტანჯავს, რაღაც აწვალებს“...

„და ეს არის“...

„ეს არის ადამიანის „მე“. ეს აღმოსავლეთმა კარგად იცოდა. „მე“: ყველაზე უმწარესი“...

„და უტკბესი“.

სწორედ, სწორედ: ყველაზე უტკბილესიც. აქ მარხია ყოფის საიდუმლო...

პერეცს აეშვა საღერღელი. ამ გაუსწორებელ მონოლოგისტისათვის დიალოგიც მისწრება იყო. მით უმეტეს, რომ დიალოგს შემდეგ და შემდეგ მონოლოგად აქცევდა. ეს იყო მისი პათოსი. ახლაც აიწვა ამ პათოსით. უნდოდა სიტყვით გაეგრძელებინა, მაგრამ უეცრად მომდგარი სიტყვა პირში შერჩა ლუკმასავით. გაიხედა: „ის“ უცხო ქალი მოდიოდა. მაგიდები აუშმუშნენ და გაცეცებული თვალებით შემოსულს მიაშტერდნენ. ქალი დაჯდა ამერიკელთან. სახე მოკუმული ჰქონდა და კუშტი. ძუ მგელი რომ გაერიოს მსგავს ძაღლებში: ისე ჩანდა ქალებში. უხდებოდა ევროპიული ჩაცმულობა, მაგრამ სიველურე ელვარად ედებოდა მთელს მის აღნაგობას. პერეც დუმდა. მაგიდებში პაუზა ჩამოვარდა. ჟანნეტ თვალით ზომავდა ქალს, როგორც მოსისხლეს. პერეცს არ გაუმხელია, რომ ახლად შემოსული სწორედ ის ქალი იყო, რომელიც ადოლფ უნგარს ფალესტრად, ამორძალთა დედოფლად წარმოესახა.

მაგიდებში ჩამორჩენილი პაუზა ისევ ამერიკელმა დაარღვია: „ხვალ სამასკო ბალი იმართება“ - უთხრა ნელი ხმით ქალს და გაზეთი მიაწოდა. ქალმა გამოართვა გაზეთი და იწყო ქრონიკის კითხვა: უხმოდ. სახეზე „მოლბობამ“ გადაურბინა.

პერეცს სიტყვა „სამასკო“ შვებად მოესმა. სიტყვის გასაგრძელებლად ეს სიტყვა მოსწრება იყო. აილეწა კვლავ. აუშვა საღერღელი, ცოტა ხმას უმატა - (უთუოდ სურდა, უცხო ქალსაც გაეგონა).

„დიახ, უმწარესი და უტკბილესი: „მე“, აქ მარხია ყოფის საიდუმლო. უმწარესი – რადგან სიკვდილია იგი, უტკბილესი – რადგან სიცოცხლეა იგი. თითქმის ერთსა და იმავე დროს. თვითონ ყოფა მარადი ქცევაა, მუდმივი ცვლა, უწყვეტი დენა. ამ დენაში, ამ ცვლაში, ამ ქცევაში – ცხადდება და ცნაურდება „მე“, „პირი“. მარადი ქცევა, მუდმივი ცვლა. ქცევა და ცვლა – რის? და აქ იჭრება ხელუხლებელი „სახე“, ხატი (არა სალოცავი): დემოკრიტის „გარსი“, პინდარის „აოდოლონ“, გერმანული „აბბილდ“. ნიშანი ამ „სახის“ არის მასკა, ნიღაბი. და დაკვირდი: იმ კულტებში, საცა „ცვლა“ ყოფის საიდუმლოდ იყო გამოცხადებული, „ქცევა“ მასკით ხდებოდა. მაგალითაად – დიოსონის კულტში. „მე“ უნდა გაიხსნეს, უნდა გაირღვეს. არსი უნდა გადავიდეს ყოვლადში. პიროვნება უნდა ეზიაროს ზეპიროვნულს. ეს არის დიოსონის ფენომენი. და მერე როგორი იყო რიტუალი ამ ფენომენის? მასკის აფარება, მასკის, რომელიც დიონისოს სახავდა. ერთ ალაგს უკვე ნახეს ორი კერპი დიონისოსი, წმინდა ფიჩვისაგან ნამზადი, წითლად შეღებილი – (სისხლის ნიშანი). ქალები ამ კულტში გამოდიოდნენ: ძაღლებად, მგლებად, პანტერებად, გაზელებად. რისთვის? მისთვის, რომ აღესახა ყოვლადში გადასვლა, სულ ერთია, რაა ამ შემთხვევაში ყოვლადი: ძაღლი, მგელი, პანტერა, გაზელა, თუ სხვა რამ. ინდიელი მგელს აიყვანს ხოლმე, როგორც ტოტემურ ცხოველს. ტოტემი აქ ინდიელისათვის „პირველი კაცია“, როგორ აიყვანდა მგელს კაცად, თუ მას არ წარმოსახვოდა, ან და არ მოლანდებოდა, კაცის გადასვლა მგელში და მგელის კაცში?! მაკედონიის მენადებს თავზე რქები ჰქონდათ გაკეთებული, ნიშნად ხარღმერთთან (დიონისოსთან) კავშირისა. საბაზის (დიონისოს) კულტის მსახურნი სახეს იღებავენ. საქართველოში - „გონჯას“ ამბავი. სატურნალიების მონაწილენი სახეს იმურავდნენ წითლად - (აქაც სისხლის ნიშანი). კვიბელლას ქურუმები ცარცით ითეთრებდნენ სახეს. ეს კიდევ არაფერი.

კამარა მეექვსე

მისტერ ლეიკის წინადადება პელეტიეს მიმართ არ იყო უკანასკნელისათვის კომმერცია. პელეტიეს თვითონ აწვალებდა მუსიკა ზანგების. მის ხსოვნას წვავდა: ჩასინო დე არის, 1918 წელი, ჯაზ – ბანდი, ახლად გამოჩენილი ევროპაში. აქ მას მოესმა აბსოლუტური რიტმი. პირველად. აქ მან იგზნო აფრიკის სიცხე და ზანგების სისხლი. უაღრესად. ხელი შეახო ანგლო-საქსურ მაგარ ძალას და სწვდა ამ ძალის მანოყიერებელს.: შავკანიანების წვას. იწყო სწავლა საოცარი მუსიკის, რომელიც მოდიოდა: ჩიკაგოდან, ბროდვეიდან, ნიუ – იორკიდან, ინდიანოპოლისიდან. მოისმინა მრავალგზის კანნის და დოვილლის კაზინოებში ბილლი არნოლდის ორკესტრი. პალეტიე ტყვევდებოდა. გაემგზავრა ამერიკას. მოისმინა მაგარი ჯარ-ბანდი ბოსტონის „ოტელ ბრუნსვიკში”, ნიუ–იორკში ნახა სახელოვანი პოლ უაიტმენ (ჭჰიტემან), რომლის მრავალ-საკრავებიანი ორკესტრი უკრავდა აქათქათებულ „პალე-როიალში“. იყნოსა ზანგების სასულიერო გალობა („შპირიტუალ“), რომელსაც შავკანიანი მომუშავენი მღერიან პლანტაციებში. ამ გალობაში უკვე იყო „სინკოპა“, ეს ჯადოქარი ჯაზის რიტმიკის. შესვა ნაირ-ნაირი „რაგ-ტაიმ“. აქ სინკოოა კიდევ უფრო ხელდებოდა. დათვრა პელეტიე ზანგების რიტმული პოლიფონიით შეამჩნია: აზიიდან ბევრი–რამ გადასულიყო აქ სან-ფრანცისკოს გზით. დააკვირდა ერთ გულისხმიერ მოვლენას: მაორისა და ახალი ზელანდიის თემები უნისსონით მღერიან, მაგრამ ტონალობა ნაირ-ნაირია, რადგან ერთი მღერის მეოთხედტონით მაღლა, მეორე კი დაბლა. ეს იგივე ვიბრაციაა ტონის ირგვლივ, რომელიც ახასიათებს ჯაზ-ბანდის აგებულობას. შეისწავლა პელეტიემ თვითონ ორკესტრი ჯაზის, რომელიც თავის ჯიშით ნელი ოკეანისაა და არა მარტო ატლანტიკის. შეისწავლა ჯაზის საკრავები, განსაკუთრებით „სარტყმევი“ ინსტრუმენტები. შეისწავლა საკსოფონი (ადოლფ საკსის გამოგონება), სარრიუსოფონი (სარრიუსის გამოგონება), სუზაფონი (სუზას გამოგონება). საკსოფონში დაინახა ლითონი კრიალა და ხის სირბილე. შეისწავლა კლისოფონი: ხის ჯოხები თუ ფირფიტები სხვადასხვა ზომის, რომელნიც დაკვრისას გამოსცემენ ხმებს სხვადასხვა სიმაღლისას. გადაიხილა მთელი სისტემა დოლების და დაირების და მათი საოცარი მომარჯვება ერთი დამკვრელის მიერ განსაკუთრებით შეიყვარა „ბანჯო“, ეს ჯადოსანი სიმებიანი საკრავი, რომლის სინკოპური ხმა („მ–ტა“, „მ–ტა“, „მ–ტა“ განუწყვეტელი) უფრო ხმელია, უფრო ნერვიულია, უფრო ბასრია, ვიდრე ხმა არფასი. აღნიშნა: ორკესტრში ერთი და იმავ საკრავისათვის მრავალი „სურდინაა“ (ჩუმალა) ტონის ასხვავებისათვის. ყურად იღო: სპილენძის საკრავი თითქმის „ჩუმალით“ მიდის ყოველთვის, რომ გამოსცეს ღმუილი ხმიები. შენიშნა „სარტყმევების“ მნიშვნელობა. პელეტიემ იცოდა, რომ რუსულ მუსიკაში ზარები თითქო სერავენ (არ არღვევენ) ხმიების ატბორილ მასსებს. ჟაზ-ბანში ზარების მაგიერ „სარტყმევები“ გამოდიან, რომლებიც სჟრიან ატევრილ მასსებს ხმიებისას, რომ დახეთქილები ილტვოდნენ შემდგომ ურთიერთობისადმი მეტის ვნებით და მეტის ხოშით. დააკვირდა მუსიკოსი: ამ გახელებულ საკრავებში კიდევ უფრო ხალისდებოდა ვიოლინების განიერი (ცახცახი) და რბილდებოდა მათი ნელი GLISSANDRO (სრიალი). ორკესტრში თითქო ხან მხეცი ბღაოდა დაკოდილი, ხან კი პირველი კაცის ხმა ისმოდა, რომელმაც ცეცხლი აღმოაჩინა. შეამჩნია ხაზები: პოლიტალური და ატონალური, ერთდროული ხმიერება მინორული და მაჟორული აკორდებისა მეოთხედ-ტონებთან (ტეხნიკის გაფართოებით: ცვლა ტრომბონის „ცუგის“ სიგრძისა, ცახცახის ანაირება სათითეებისა საყვირზე, თითების უმჩნევი მოშვება ვიოლინის სიმებზე და სხვა.) განსაკუთრებით მოეწონა ზეზ კონფრეის „კატუნია კლავიშებზე“, საცა წმინდა მაჟორი და წმინდა მინორი ერთდროულ ხმიერდებოდნენ.



ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

9 – 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 48 (312)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲒᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ



ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ

ემზარ კვიტაიშვილი ქართული პოეზიის სულიერი მემკვიდრეა.

სიმართლის გზით მავალი პოეტი ჭეშმარიტებას ემსახურება და კარად იცის, რომ ღმერთი ჭეშმარიტებაა.

ჩვენი თაობის ღირსეული პიროვნება მარადის ებრძვის ურწმუნოებას და ფარისევლობას.

ეჰ, რამდენი მწუხარება ჰქონია და მაინც არ გამტყდარა. მის თვალში უკეთურიც არ იწყევლება იმიტომ, რომ სიკეთის პატივისმცემელი პიროვნებაა.

ჩემო ემზარ, რამდენი წიგნიც შენ წაგიკითხავს, იმდენი სიხარულით გამყოფოს მამაზეციერმა.

შენ დღეს 80 წლისა ხარ, უნაკლო ხარ და ცოდვისგან განრიდებული. სადღაც წამიკითხავს და ახლა გამახსენდა: „ღვთისმოსავი ისაა, ვინც ადამიანებისგან მიყენებულ ტანჯვა-წამებას იტანს“.

მთავარია, გაუძლო და მჯერა, რომ შენი ბედკრული საქართველო ნაღდად გაბრწყინდება.

ღმერთმა კიდევ დიდხანს გაცოცხლოს, გაიხარე!

„ქართული სიტყვის“ სახელით,
ᲯᲐᲜᲡᲣᲦ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

ᲓᲐᲤᲚᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ

მომელანდა კალათები, დაორთქლილი ჟოლოთი...
არაფერი არ მენახა, ოღონდაც შენ მყოლოდი.
თითქოს ბეჭზე მჩხვლეტდა ნარი, ვიწექ მოუსვენარად,
ყოვლისფერი დამკარგოდა, ოღონდ, ოღონდ შენ — არა.
ძილიც აღარ მომეპარა, რას მიპირებს განგება,
რა ქვა ლესავს ნაღველს ჩემსას, სულ რომ არ იჟანგება?
ვლოცულობდი, წყალს ლიცლიცას შენი სახე მოქონდა...
აღარასდროს დავღონდები, შენ გაცოცხლდი ოღონდაც.

ᲐᲚᲐᲰᲖᲔ ᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲜᲘ

(უსამა იბნ მუნყიზის ნაამბობიდან)

თვალების დათხრა, შუბზე აგება...
დაბუგავს ბაღნარს მზე, თუ გაცხარდა...
მძაგს სისასტიკე და ვერაგობა —
მუსლიმთა, სისხლით გაუმაძღართა.
ძირგამოთხრილი სიმაგრე ბოლავს...
კვამლი და ბუღი, ცეცხლად ნადენი...
თესავს გულებში შიშსა და ძრწოლას,
შუაზე ფატრავს ტყვეს სალადინი.
იწამეს ძალა სხვა ღმერთის, სხვა ცის,
მოედინება სისხლის მორევი;
ერთია — გინდა მოუკლავთ კაცი,
გინდ — უხოციათ ნიამორები.

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲔᲪ ᲒᲐᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔ ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲝᲡ

ფრთებს რომ შლი, წამოფრენისას,
როცა მოგიჩანს ტანი,
პეპელავ, როგორ გიხდება
ატლასის სარაფანი.
თუ გიფიქრია, თქვი, ვისმა
ხელმა მოგხატა ასე,
რამდენმა ქალმაც არ იცის
თავისი სილამაზე,
იქროლე, მეტი თუ არა,
არც ნაკლები ხარ სხვაზე!

ᲖᲚᲐᲞᲠᲘᲡ ᲐᲗᲘᲜᲐᲗᲘ

არას მქნელს, უნდა მეკიდოს,
ნაცარქექიას გუდა;
ჩემ თავს დავაკლებ, სხვას არვის,
თუკი ვარ ქარაფშუტა.
არ დაგინდივარ, სოფელო,
კისერი მომიგრიხე...
წავალ, დამხვდება ის ჩემი
მდინარისპირი, რიყე.
მიცნობენ, შემომანათონ
თეთრმა, ქათქათა ქვებმა...
რაღა დროს ქოთქოთია და
დევთან ხელდახელ შებმა.
რა ვხატო, უქმად ხეტიალს
ვერაფრით დავეხსენი;
სხვანი ლაღობენ, მე კვლავაც
ვარსკვლავთა მიხმობს სხვენი.
მაბრუებს, თავზე დამბრუნავს —
შემოდგომების ქარვა...
გზას ვეღარ ვიგნებ, უკანაც
დამბრუნებელი არ ვარ.

ᲛᲐᲠᲯᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲗᲐᲜ

ტანი, მორევში დანთქმული
და ფეთქვა, მოუწყინარი,
იმ ღამის და იმ წუთების
დამბრუნებელი ვინ არი?
რად აღარ დამეღირები
გულის საფლეთად, სადაღად,
რა შემოაქცევს გასხლეტილს,
როგორ მოგაგნო, სადა ხარ?
დილამდე გავძელ უძილოდ,
სხვა ცეცხლი მწვავდა, სხვა ძალა...
ორმოში ორმოცდახუთი
წელი, ნეტა ვინ ჩაცალა?

ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲚᲣᲞᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ

ცაცებს ვეღარ შემართავ,
ვერც ბოსტნეულს დასუნავ...
შენი სული, პაწია,
სად დაცოცავს, ზაზუნავ?!
ცხვირი ბურბუშელაში
ვეღარ შეგიმალია...
აღარც მინდა, რო ვნახო
ცარიელი გალია.

ᲛᲘᲣᲬᲕᲓᲝᲛᲔᲚᲘ

მთლად სამყარო რო მოგიძღვნან,
გაგიშენონ ედემი,
ჩემ ნატკივარ გულის გარდა,
ვერსად ვერ დაეტევი.
ციდან რომ რეკს, შენი ხმაა —
უცხოდ ფერნაცვალები,
ოკეანის ფსკერზე ღრმაა —
მარტო შენი თვალები.
ამერია გზა და კვალი,
აბურდული ხლართებად,
ვინ გაიგოს, რა ცეცხლი მწვავს,
ანდა რა მემართება.
ვაღამებ და ვერ ვათენებ,
ვის დავრჩი და რაღა ვარ?!
შუბლზე მაწერია ხვედრი —
გავქრე შენს უნახავად.
არ გხატავ, არც გასახელებ,
სხვა წამიღებს დინება;
ჩემ სიკვდილში რომ ერიე,
არვის ეცოდინება.

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲐᲛᲓᲔ

(მუხათგვერდის სასაფლაო)

შრიალი ჯუჯა მუხების.
ლურჯი დამყურებს ცარგვალი.
საკვირველია ფრთებგაშლილ
კვირიონების კვარკვალი.
ახალგაჭრილი სამარე.
ნუგეში შველის კაეშანს.
ერთს ვმარხავთ, დანარჩენები,
დაღმართზე უნდა დავეშვათ.

ᲛᲧᲣᲓᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲔᲜᲐᲢᲠᲐ

როგორ მშურს მისი, ვინც ახლა
მატარებელში ზის;
ეთამაშება, ადნება
თეთრ ფარდას სხივი მზის.
ვიხსენებ ვედებს, უვადოს,
ვედები ხეს და ქვას;
ჩემი გზით წავალ, გავუტევ,
ვინაც რა უნდა თქვას.

ᲝᲚᲝᲜᲓ

სადმე დავითი დამანახა —
უღვთოდ ნატანჯი მამაჩემი,
ტყვიას აევსოს, დამდნარს, ხახა
თუ რამ ვინატრო დანარჩენი.
სამარედ ჩემდა — დღისით, მზისით —
ჩემივე ხელით გავთხრი სოროს,
ოღონდ შემეხოს შუბლი მისი,
გულში ჩამიკრას, მეამბოროს.

ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔ ᲑᲐᲜᲝᲕᲐᲜᲘ

(თვალით ნანახი შემთხვევებიდან)

ვითომ ყურმილი ეჭირა ხელში,
ჭრელი ემოსა კაბა და კოფთა,
ღიმილი ეკრა და, მთელის ეშხით,
უმობილუროდ ლაპარაკობდა.
შუბლს აჩნდა წელი, სამოცზე მეტი,
ვთქვი, რამ შეჰყარა, მოხუცს, ეს მოდა!..
მიკეკლუცობდა — გაპუდრულს, კეთილს —
აშკარა იყო, ხმა ჩაესმოდა.
არ აყოვნებდა „პასუხს“ საწყალი,
კონწიალობდა, მხარიღლივ, ჩანთა;
აშკარად, ღმერთი ჰყავდა გამწყრალი
და ბედნიერიც, აშკარად, ჩანდა.
მაინც რჩებოდა ღვთის ანაბარად...
გალაღებული იყო იმითი —
გამოურთავდა ვერვინ „აპარატს“,
განუსაზღვრელი ჰქონდა ლიმიტი.
შექანებული, დღეს ბლომად დადის,
სულ არ ჭირდებათ ნიღაბ-პარიკი;
გულს შეგიქანებს დანახვა მათი,
ჩუმი სიცილი და ლაპარაკი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲛᲐ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ...

ყველაფერმა ჩაიარა,
შენმა სიყვარულმა — არა,
ბეჭს გამყრია ოქროს ჭანგი,
მეყო, გამეყარე, კმარა.
ვეწამები, რა ვიწამო,
არვინ მეუბნება: წამო!
ავმა ქარმა დაგიბერა,
დალეწილო, შენ, ლერწამო.
არ ელევა გლოვა, ურვა,
არ აკლია სისხლში ცურვა,
სკდება გული, ისევ შენი
ტერფის დადგმა მოესურვა.
აღარ გეწურება ალო,
გაპოხილო მთვარის ცურო,
სანამ გინდა მაწრიალო,
რკინის მუჭში ჩასაწურო.
ყველაფერმა ჩაიარა,
შენმა სიყვარულმა — არა,
მღვრიე თაფლად რაც იდინე,
შხამად მექცა, ჩამემწარა.

ᲓᲐᲬᲧᲔᲕᲚᲘᲚᲗᲐᲒᲐᲜᲘ

გული ჩახურე. ეძებდი რაღად,
უზუსტეს სიტყვას პოეტი-დენდი,
არად აგდებდი ბუნების ღაღადს,
მედიდურობით მწამლავდი, მწყენდი.
ბალახიც გძულდა, მოარულს კენტად...
წვიმა და თოვლი, ზვავი და ზავთი...
მოგძაგდა, რაც რომ ფეთქავდა, ქშენდა,
საკუთარ თავშიც სიცოცხლეს კლავდი.

ᲨᲔᲜᲘᲗ, ᲨᲔᲜᲡ ᲒᲐᲛᲝ

მამულო, შენი ნათელი მერტყა,
შენს გამო — თუ რამ სიკეთე ვყავი,
ძველი საწოლის კიდეზე ერთხანს,
იდება ჩემი ჭაღარა თავი.
რაგინდ სიმწარე შემასვა, გლოცავ,
ძარღვები, ლურჯი, შემოგაწანი —
მწედ, სამკაულად. არ შეკრთე, როცა
მოგესმას ჩემი ძვლების ლაწანი.

ᲩᲔᲛ ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕ ᲗᲐᲕᲡ...

ჩემ საცოდავ თავს
როგორ დაგამადლი;
გინდ გააძრობ ტყავს,
გინდა — სტვირად გათლი.
ღუღუნის და სტვენის
ნაცვლად სუსტი ღერო,
ნაღველს ამოდენის,
როცა არ ჩაბერო.
რა აქვს გასამხელი,
შხამით დაიტენა —
ამომწვარი ყელი,
დახეთქილი ენა.

ᲯᲔᲠ ᲐᲥ ᲕᲐᲠ

(ძველის გადამღერება)

მიჭირს, როგორ შეგთხოვო,
ცოტაც დამაცაო,
შენი უძიროობის
ხილვა მაბნევს, ცაო!
ვდგავარ, მითქვამს, რამდენჯერ,
მეხი დამეცაო,
წამებული, თანდათან,
გავხდი სამიწაო.
ბოლო წამი, წაფერდილს,
მალე მეტყვის: წამო!
გიმზერ, გადალურჯებულო,
მზით ნაფერო ცაო!

ᲣᲙᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ

ვინც რო მიყვარდა, თუ გამიცოცხლებთ,
ვიგრძნობ იმათ მადლს, ჯავარს,
გინდაც დაბრუნდეს დრო, საშიშარი,
გავუძლებ, თანახმა ვარ.
მოვინახულო ის ოჯახები,
დიდებული და სადა,
დედაჩემს, ტანჯულს, ბალღამდაგროვილს,
ბალღი დავყავდი სადაც.
აბორგდა სისხლი და ღონეც მერჩის —
დავძრა, გადავდგა მთანი;
ისევ წარსულში დამსვით, არა ვარ
სიბერის გადამტანი.

ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲕᲔᲔᲑᲔᲠᲗᲔᲚᲐ ᲐᲚᲕᲘᲡ ᲮᲔ ᲛᲝᲭᲠᲔᲡ

ვაგლახ, გნახე დახერხილი, მოკლე-მოკლე მორებად,
არ მიხილავს მე შენი სასიკვდილო ზმორება.
ძლივს რომ შემოგწვდებოდა, სალტე სამი კაცისა,
მწვანედ მორთვა წაგართვეს რა სიმაღლის, რა ცისა!..
მიწამ, შავმა, თუ იგრძნო წამი იმ გაჟრჟოლების,
რა სიმწარეს ჰყვებიან შენი წლები — რგოლები.
კანი შემოგაფლითეს... ესეც გულსატკენია —
გვირგვინებად შენივე ტოტები გაფენია.
დაბნეული, ვერც იმას ვამბობ დაბეჯითებით —
მოფრენილნი, ხვალ დილით, რას იტყვიან ჩიტები.
სად წაიღე ცეცხლოვანი მზის წვენი და მზექალა,
რა შრიალი, ბეღურებს, ფეხქვეშ გამოეცალათ.
მიგატოვა, ვინაც რო ამ სახლებს აგაცილა,
შემოგერტყნენ ტყიურნი, დაგჭრეს ნაწილ-ნაწილად.
ისიც კი არ გაღირსეს, ძირს მოგეღო ზღართანი;
მოგკლეს და თან წაიღე სიზმრები, ზღაპართანი...
წინ მინდორი არ გედო, არც მოჩანდი ბექიდან,
სულ მეგონა, წიქარას სალამური გეკიდა.
მოცელილო, გულში სხვაგვარ მწუხარებას შეიტან;
კიდევ უფრო მოწყენილი, მწყრალი ვივლი დღეიდან.

8 | № 48 (312) | 9 – 15 დეკემბერი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ზვიად კვაჭანტირაძე: „უმრავლესობის ლიდერი კი ვარ, მაგრამ ყველა არასწორი გამონათქვამის „გამპრავებლად“ ნუ გამოიყვანთ!“

...დიდი ხანია, „ფეისბუქმეგობრები“ ვართ. ხანდახან სტატუსებსაც „ვულაიქებდი“ ხოლმე. ორი-სამი კვირის წინ კი, „ჩატში“ კონკრეტულ თემაზე დავეკონტაქტე. საუბარს შევყევით... შევთავაზე, ინტერვიუ ჩავწეროთ-მეთქი. ჯერ იუარა. მერე, დამთანხმდა... პარლამენტში, შეთანხმებისამებრ, პირველის ნახევარზე მივედი, მაგრამ საშვი არ დამხვდა. გავბრაზდი და ისევ „ფეისბუქში“ მივწერე, დაგავიწყდით-მეთქი?! მალევე მიპასუხა, თუ შეგიძლიათ, ორ საათზე შევხვდეთო... კარგი, მოვალ, თუ საშვს ამჯერადაც მაინც დაუშვებთ-მეთქი... აბა, რას ვიზამო... მოკლედ, ერთმანეთს შევხვდით და, ალბათ, გგონიათ, რომ მე და უმრავლესობის ლიდერმა დიალოგი ცხარე პოლიტიკური თემებით დავიწყეთ, არა? – სამწუხაროდ, ცდებით, რადგან ზვიად კვაჭანტირაძემ მკითხა, რა ტელეფონი გაქვთო. ვუთხარი და საუბარიც ავაწყვეთ:

– ბატონო ზვიად, არ მეგონა, საუბარს ტელეფონით თუ დავიწყებდით...

– (იღიმება) ჩვენს ცხოვრებაში ტექნიკას თავისი ადგილი აქვს.

– შეიძლება, მაგრამ ამ თემას იმიტომ ხომ არ შეეხეთ, რომ ჩვენს შორის გარკვეული კომუნიკაცია დამყარებულიყო?

– არა.

– ისე, ტექნიკა გიყვართ?

– კი, განსაკუთრებით, საოჯახო.

– ანუ, ჭურჭლის სარეცხი მანქანა და ასე შემდეგ?

– უფრო სამზარეულო ტექნიკა მიყვარს.

– ოჯახისთვის მსგავს ნივთებს თქვენ ყიდულობთ?

– დიახ, ინიციატივას ვიჩენ ხოლმე. ახლა მინდა, პურის საცხობი მანქანა ვიყიდო...

– უი, აქამდე არ გაქვთ?

– ოჯახში წინააღმდეგობას მიწევენ.

– რატომ? მართალია, პურს არ ვჭამ, მაგრამ როგორც შინ მეუბნებიან, ძალიან გემრიელი პური ცხვება...

– აი, საქმეც სწორედ მაგაშია – მეუბნებიან, შენ პური არ უნდა ჭამო და მანქანა რად გვინდაო, მაგრამ მირჩევნია, ოჯახის წევრები ჯანმრთელად იკვებებოდნენ – ეს პურის საცხობი ახლობელს აქვს და როცა ჩვენთან მოდის, საჭიროდ თვლის, შინ გამომცხვარი პური მოგვიტანოს ხოლმე.

– ბატონო ზვიად, რაკიღა სიტყვა ჭამაზე ჩამოვარდა, დიეტაზე არასოდეს ყოფილხართ?

– ბევრჯერ. ე.წ. უგულავას დიეტაზეც კი ვიყავი და 2007-დან 2009 წლამდე თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, მაგრამ დიეტა ან ცხოვრების წესი უნდა იყოს, ან ადამიანი თვითონ უნდა მიხვდეს, თუ რა სჭირდება, რომ კარგ ფიზიკურ ფორმაში იყოს. ყველაფერი ეს თეორიულად ვიცი, მაგრამ სამწუხაროდ, პრაქტიკაში ვერ ვანხორციელებ.

– რატომ, ზარმაცი ხართ? ისე, თუ გინდათ, ჩემს, ანუ პავლიაშვილის დიეტას გასწავლით...

– ზარმაცი არ ვარ და დედამიწის ზურგზე, მგონი, ყველაზე ცოტა მძინავს – ძილი არ მიყვარს. ადამიანს, მინიმუმ 6 საათი უნდა ეძინოს, მაგრამ ხანდახან 6 საათიც არ მძინავს – როცა ყველა წვება, საკუთარ თავთან მარტო დარჩენა მიყვარს...

– გურმანი ხართ?

– დიახ, თუმცა ყველაფერს არ ვჭამ.

– ჩვენში დარჩეს და, არ გეტყობათ...

– პავლიაშვილის დიეტა როგორია, შეზღუდული კვება?

– სულაც არა – დღეში, მინიმუმ, ხუთჯერ ვჭამ...

– ხუთჯერ ჭამა ძალიან ძნელია...

– ცოტ-ცოტას ვჭამ და, მაგალითად, მწვადი, რომელზეც ვგიჟდები, ავკრძალე...

– ამას „ცუცქნაობა“ ჰქვია... ერთი კვირაა, ყველაზე ცუდი ჩვევისგან გადაჩვევა დავიწყე – ყველა კვებისას, უზომო რაოდენობის სითხეს ვიღებ, რაც დამღუპველია. ჰოდა, ახლა, ჭამამდე, 15-20 წუთით ადრე, ორ ჭიქა წყალს ვსვამ და თავს მაქსიმალურად ვიკავებ, რომ ჭამის დროს სითხე აღარ მივიღო. თავს უკეთესად ვგრძნობ.

– „უგულავას დიეტა“ ახსენეთ...

– სინამდვილეში, უგლოვის დიეტა ყოფილა...

– ეგ არ ვიცი, მაგრამ 2007 წელს „ნაცმოძრაობასთან“ გარკვეული ურთიერთობა გქონდათ...



– „ნაცმოძრაობასთან“ ურთიერთობა არასოდეს მქონია. დიპლომატი ვიყავი და ქართული დიპლომატიის სამსახურში ვიდექი.

– არც გიული ალასანიასთან მეგობრობდით?

– კი არ ვმეგობრობდი, უბრალოდ, ქალბატონი გიული სტამბოლში ძალიან ხშირად ჩამოდიოდა, თუმცა ჩემი სიმამრი მამამისის მეგობარი იყო – ერთად ძალიან დიდხანს მუშაობდნენ.

– ანუ, მიშას სიყმაწვილიდან იცნობთ?

– მიშას საერთოდ არ ვიცნობ, არც დავლაპარაკებივარ...

– „ნაცხელისუფლებით“ თქვენი განხიბვლა როდის დაიწყო?

– 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, გულახდილი საუბარი მომიწია.

– ვისთან?

– სტამბოლში, ერთ-ერთი ჩამობრძანების დროს, ქალბატონ გიულისთან.

– ეს საუბარი რას შეეხებოდა?

– რას და, – თუ რა პრესა იყო თურქეთში ომთან დაკავშირებით. ეს პრესა სისტემატურად ითარგმნებოდა და თბილისში იგზავნებოდა.

– საელჩო, ან საკონსულო თარგმნიდა?

– არ ვიცი, ვინ აკეთებდა, მაგრამ მე დამბრალდა. ისე, ვერ წარმომიდგენია, აქ დასამალი რა იყო... საჭიროდ ვთვლიდი, რომ ჩემი აზრი, ისიც კეთილგანწყობით, ხანდახან პირდაპირ მეთქვა, თუმცა მაშინ ვინმეს არ დავუტუქსივარ.

– გიული ალასანია თურქეთში რატომ დადიოდა?

– პროფესიით თურქოლოგია და ანკარასა თუ სტამბოლში, ღონისძიებებში, ასევე, ქართულ დიასპორასთან ურთიერთობაში აქტიურად იყო ჩართული. როცა კონსულის ვადა მიმთავრდებოდა, გავიგე, რომ ჩემი პოზიციის დასაკავებლად აქტიური ბრძოლა იყო დაწყებული. ამ დროს, დედაჩემი ძალიან ავად გახდა. მახსოვს, თბილისში ამბასადორიალი იმართებოდა, რომელზე დასასწრებადაც ჩამოვედი და საგარეო საქმეთა მაშინდელ მინისტრს, გრიგოლ ვაშაძეს შეეხვდი. სტამბოლში ყოფნისას, ჯანმრთელობის კუთხით, ბევრს დავხმარებივარ, პირადი კონტაქტებიდან გამომდინარე, მონაწილეობა დიდი შეღავათების გაკეთებაშიც მიმიღია და ვაშაძეს ვთხოვე, ახლა დახმარება დედაჩემს სჭირდება და იქნებ, ვადა ცოტა ხნით გამიგრძელოთ-მეთქი. არადა, ვიცოდი, რომ იქ არ დამტოვებდნენ. ვაშაძე ძალიან კაცურად მომექცა – მიუხედავად იმისა, რომ დიდი ზეწოლის ქვეშ იყო, დროზე გამოვეშვი, ადამიანური ფაქტორი გაითვალისწინა და მივლინების ვადა 6 თვით გამიგრძელა...

– მაშასადამე, გიული ალასანიამ მიშას ამბავი მიუტანა, აი, კვაჭანტირაძე სხვანაირად ფიქრობსო?

– არ მგონია. ამაში, მგონი, უფრო სხვები იყვნენ ჩართულები.

– მაგალითად?

– სააკაშვილის ირგვლივ მყოფი ელიტა. გვარების დასახელება არ მინდა, მაგრამ მერე, ქალბატონი გიული მე და ჩემს ცოლს შემთხვევით შეგვხვდა, მახსოვს, ხელი აიქნია და მითხრა, მიშასთან შენზე ძალიან ცუდი ამბები მოდიოდა, კონსულს მეტი საქმე არ აქვს, თავი ეკლესიის გახსნაზე რომ გადადოო.

– ეკლესია რა შუაშია?

– 2007 წელს, ჩემი სერიოზული მეცადინეობით, მსოფლიო პატრიარქმა, ქართველ მრევლს კონსტანტინოპოლის ვლაქერნას ეკლესიაში მუდმივი წირვა-ლოცვის ჩატარების უფლება მისცა, რომლის ფირმანიც ჩემთან, სახლში ინახება.

– ფირმანი თქვენთან რატომ ინახება?

– პატრიარქმა მითხრა, ეს შენი დამსახურებაა და ჩვენ ასლი მოგვეცი, ორიგინალი კი, შენ დაიტოვეო. მოკლედ, მას შემდეგ, ყოველ თვე, სტამბულში ქართული წირვა-ლოცვა ტარდება. ნეოლიბერალებმა და, ასე ვთქვათ, აგრესიულმა ათეისტებმა სწორედ ეს არ მომიწონეს. არადა, მიუხედავად იმისა, რომ ღვთისმოშიში ვარ, ეკლესიურ ცხოვრებასთან ახლოს არ ვარ და ამ ბრალდების წაყენება ირონიული და სასაცილო იყო. ის ადგილი, სადაც ვმუშაობდი, ბევრი ელჩისთვისაც საოცნებო გახლდათ – სტამბული ძალიან კარგი ქალაქია, ცხოვრებისა და მუშაობის პირობებიც კარგია. ამიტომ, ჩემს ადგილზე დიდი კონკურსი გამოცხადდა და ვიცოდი, რომ აღარ გამაჩერებდნენ.

– სიმამრისა და მიშას ბაბუის მეგობრობის გამოყენება არ გიცდიათ?

– არა. იქ ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა გამაგზავნა და დამეთანხმება, ჩემს დანიშვნაში ნამდვილად არავინ ჩარეულა – ეს პირადად ქალბატონი სალომეს გადაწყვეტილება იყო... სხვათა შორის, ერთხელ, სტამბოლში ერთი ცნობილი „ნაციონალი“ ჩამოვიდა და მითხრა, აქ წვეროსნები რომ ჩამოდიან და ზედ ჰყვებით, ეს თქვენი ფუნქცია არააო. ყველას, ვინც სტამბოლში ჩამოდიოდა, სათანადო ყურადღებას ვაქცევდი. საერთოდ, კონსტანტინოპოლი ისეთი ქალაქია, რომ მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობა გიხდება, რაც არ მოსწონდათ. სამაგიეროდ, ისეთები მოსწონდათ, რომლებიც „ზონდერობდნენ“... შემდეგ მოახერხეს, რომ დიპლომატიური კორპუსიდან ძალიან ბევრი პირდაპირ „ნაცმოძრაობის“ სამსახურში ჩააყენეს, რაც 2012 წლის არჩევნებზეც გამოჩნდა.

– 2007 წლის 7 ნოემბერს სად იყავით, ბატონო ზვიად?

– სტამბოლში.

– სისხლიან დარბევაზე როგორი რეაქცია გქონდათ? – პროტესტის ნიშნად, ლევან მიქელაძის გუნდის მსგავსად, გადადგომაზე არ გიფიქრიათ?

– საზღვარგარეთ კარგად ინფორმირებულები არ ვიყავით, სინამდვილეში რა მოხდა. მოგვიანებით, როცა მეტი დეტალი გავიგეთ, რაც მოხდა, პროტესტის გრძნობა, რა თქმა უნდა, გაგვიჩნდა, თუმცა საქმე იქამდე არ მისულა, რომ ეს პროტესტი ხმამაღლა გამოგვეხატა.

– შეგეშინდათ, რომ სამსახურს დაკარგავდით?

– ვანო, ეს ძნელი ასახსნელია. საერთოდ, როგორც დიპლომატს, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ დიპლომატიური სამსახური დეპოლიტიზირებული უნდა იყოს, თუმცა, როგორც მოქალაქეს, პოზიცია უნდა გქონდეს... გულწრფელად ვამბობ: 7 ნოემბერმა საზღვარგარეთ მყოფებისთვის განსაკუთრებული ხმაურის გარეშე ჩაიარა და ადექვატური შეფასება ვერ გავაკეთეთ.

– გირგვლიანის მკვლელობაც სტამბოლში გაიგეთ?

– დიახ და ამაზე, ადამიანურად, მეც და ჩემს თანამშრომლებსაც ძალიან ცუდი რეაქცია გვქონდა და ეს განწყობა თბილისშიც იცოდნენ...

– სხვათა შორის, გირგვლიანის მკვლელობას თავდაპირველად სულ რამდენიმე ქალბატონი აპროტესტებდა, მათ შორის, ერთი ჩემი მეგობარიც. იმხანად, სოზარ სუბარი სახალხო დამცველი იყო და ამ ჯგუფმა ოფისთან, პროტესტის ნიშნად, ინდაურიც მიუყვანა... ბატონო ზვიად, თქვენს აღქმაში, „ნაცმოძრაობა“, როგორც რეჟიმი, როდის გაჩნდა?

– ომის დროს და ზუსტად ვიცი, რატომ: არ მინდა, იმ ადამიანს რამე პრობლემა შევუქმნა და ამიტომ, ვინაობას არ დავასახელებ, მაგრამ ცხინვალის ოპერაციაში ჩემი ოჯახის ძალიან ახლობელი უშუალოდ მონაწილეობდა და მისგან ზუსტად ვიცოდი, რაც ხდებოდა.

– ანუ, იცოდით, რომ ომი მიშამ დაიწყო?

– არა, ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა. მახსოვს, ამ ადამიანმა მითხრა, ომის თეთრი ჯიპებით და კოსტიუმით მოგება არ შეიძლებაო. ეს ახალგაზრდა კაცი სისტემაში აღარაა. მაშინ კი, თავის ჯგუფთან ერთად, კეზერაშვილთან დიდი შეტაკება მოუწია და დიდ რისკზეც წავიდა – სიცოცხლე შეიძლება, ფატალურადაც დაემთავრებინა, თუმცა მისი ქვედანაყოფი დაშალეს. მოკლედ, ამ განწყობას არც სატელეფონო საუბრებისას ვმალავდი...

– მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობას“ უკვე რეჟიმად თვლიდით, თურქეთში დიპლომატიური ვადის ამოწურვის შემდეგ, სხვა ქვეყანა რომ შემოეთავაზებინათ, დასთანხმდებოდით?

– ვიცოდი, რომ სხვა ცხოვრება უნდა დამეწყო. საქართველოში რომ დავბრუნდი, არავინ შემიწუხებია, ცოტა გზააბნეულიც ვიყავი და ვცდილობდი, ოჯახი რაღაცნაირად გამომეკვება – სამი წლის განმავლობ-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 9 ᲒᲕ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

9 – 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 48 (312)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ

აში, არავის უკითხავს, რა გიჭირს, ან გილხინსო...

— „ოცნებაში“ როგორ და ვისი დახმარებით აღმოჩნდით?

— ზუსტად არ მახსოვს, ვისგან, მაგრამ საზოგადოებრივ მოძრაობაზე მეგობრებისგან გავიგე და ურთიერთობა თავიდანვე მქონდა.

— უშუალოდ ბიძინა ივანიშვილთან?

— არა, იმ ადამიანებთან, ვინც საზოგადოებრივ მოძრაობაში იყვნენ ჩართულნი. პოლიტიკურ პარტია „ქართულ ოცნებასთან“ კი, ჩემი პირველი კონტაქტი სრულიად შემთხვევით, მაია ფანჯიკიძისგან შედგა, რომელიც ჩემი დიდი ხნის მეგობარია — მაია შემხვდა და მითხრა, რას აპირებო. მივუგე, ძალიან აქტიურად მინდა ჩაბმა-მეთქი. შემომთავაზა, ჩვენთან, ოფისში გამოიარე და რეკომენდაციას გაგიწევო... ოფისში ძალიან ბევრი მეგობარი აღმოვაჩინე — ზაზა გოგსაძე, ბატონი თედო ჯაფარიძე. მერე, ბატონმა თედომ თავის პირველ მოადგილედ მიმიწვია. ბატონი ბიძინა ოფისში ყოველდღიურად იყო და უშუალო ურთიერთობაც მაშინ დაიწყო...

— მაია ფანჯიკიძესთან დღესაც მეგობრობთ?

— ვფიქრობ, რომ პიროვნულ ურთიერთობაში პრობლემა არასოდეს გვექნება, თუმცა თანამდებობებმა ადამიანების გაუცხოება იციან ხოლმე.

— დღეს, როგორც უმრავლესობის ლიდერს შეგიძლიათ, მაია ფანჯიკიძესთან ერთად, ვთქვათ, რესტორანში წახვიდეთ?

— შეიძლება, ერთად რესტორანში მოვხვდეთ.

— აი, ფანჯიკიძემ დაბადების დღეზე რომ დაგპატიჟოთ...

— არ მგონია დამპატიჟოს.

— დავუშვათ, დაგპატიჟათ. გარისკავთ, მიხვიდეთ?

— გაჩნია.... რადგან განსხვავებული პოლიტიკური პოზიცია პიროვნულ მომენტებზე ნამდვილად არ აისახება.

— გიული ალასანიას რომ შეხვდეთ?

— მივესალმები.

— მერე, მედიამ რომ დაგინახოთ?

— გიული ალასანიას შეიძლება, ბევრი სხვაც მიესალმოს. ქალბატონ გიულისთან იმ ურთიერთობის გარდა, როცა სტამბოლში ჩამოდიოდა, სხვა ურთიერთობა არ მქონია...

— მოკლედ, პარტიულ კონიუნქტურას არ ემორჩილებით, არა?

— მიუხედავად იმისა, რომ ვიკა დოლიძე და ირაკლი ჩიქოვანი ოპოზიციაში არიან, ორივე ჩემი მეგობარია, ძალიან მიყვარს და ამას თვითონაც დაადასტურებენ.

— ივანიშვილიც თქვენი მეგობარია?

— ბედნიერი ვიქნები, თუ ასე ჩათვლის, მაგრამ მეგობართა ახლო წრეში ნამდვილად ვერ დავასახელებ. ეს ტყუილი იქნებოდა

— აბა, უმრავლესობის ლიდერი როგორ გახდით?

— (იცინის) რომელიღაც არხზე თქვეს, როგორც იქნა, კასტინგი დამთავრდაო და კასტინგის შედეგად გავხდი.

— კასტინგი ივანიშვილთან გაიარეთ?

— ბატონი ბიძინა შეიძლება, თავის აზრს გამოთქვამდა, მაგრამ არ მგონია, ვინმეს სადმე განსაკუთრებული კასტინგი გაევლოს. წესია: უმრავლესობის ლიდერი ყველაზე დიდი ფრაქციის წარმომადგენელი უნდა იყოს. „ქართული ოცნება“ კოალიციაში ყველაზე დიდი პარტია ვართ და ფრაქციამ ჩემი კანდიდატურა დააყენა, თუმცა კანდიდატურის განხილვა ასევე კოალიციის პოლიტსაბჭოზეც იყო.

— ვინმეს სთხოვეთ, რომ თქვენი კანდიდატურა დაესახელებინა?

— არა, შვილებს გეფიცებით, თუმცა თავის დროზე, როცა „ოცნებაში“ აქტიურობა დავიწყე, ჯერ კიდევ პარტიის დამფუძნებელ ყრილობამდე, თედო ჯაფარიძემ მითხრა, მინდა, ჩემს გვერდზე იყოო... ისე, ვანო, რაც უმრავლესობის ლიდერი გავხდი, დამოუკიდებლობის ნახევარი დავკარგე!

— მერე, თავი რატომ აიტკიეთ?

— ჩაითვალა, რომ ასე იყო საჭირო და უდიდესი ნდობა გამომიცხადეს. რაც უნდა მითხრათ, ბატონმა ბიძინამ გადაწყვიტაო, პარლამენტს, კოალიციას რომ არ მოენდომებინა, ეს არ მოხდებოდა.

— ესე იგი, შუშის სასახლეში კასტინგზე არ ყოფილხართ?

— არა, თუმცა ირაკლი ღარიბაშვილმა პირადად შემომთავაზა და ერთხელ, ჩოხატაურში ივლიტას ბიბლიოთეკის გახსნაზე შევხვდი ბატონ ბიძინას და მითხრა, კარგი იქნებოდაო. ასე იყო, კი ბატონო, მაგრამ კოალიცია თანახმა რომ არ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა.

— ბატონო ზვიად, როგორც უმრავლესობის ლიდერს, დეპუტატებზე გარკვეული პასუხისმგებლობა გეკისრებათ. ჰოდა, თქვენს ადგილას, მინიმუმ, შემრცხვებოდა, რომ უმრავლესობაში გუგული მაღრაძეა. გოგი თოფაძეზე აღარაფერს ვამბობ! მაღრაძის ბოლო განცხადებები, თუნდაც ის, კარგმა დიასახლისმა უნდა იცოდეს, ხორცის საყიდლად როდის წავიდეს და 20 ლარად სადილი როგორ მოამზადოსო, „ოცნების“ რეიტინგზე არ მოქმედებს?

— ვფიქრობ, მოქმედებს, მაგრამ ზოგადად სირცხვილზე ლაპარაკი მაინც უადგილოა.

— რატომ არ ურჩევთ, რომ გაჩუმდეს? — რამდენადაც შეგიძლიათ, იმდენად გულწრფელად მიპასუხეთ!

— აბსოლუტურად გულწრფელად გეტყვით, რომ ამ თემაზე არაერთხელ მილაპარაკია ჩემს კოლეგებთან, ვისი აზრიც არ მომწონს, მაგრამ აზრის გამოთქმის უფლება ყველას გვაქვს... მეორეა, რამდენადაა ეს აზრი საზოგადოებისთვის და თუნდაც შენივე გუნდის პოლიტიკური ინტერესებისთვის მისაღები. თუ აზრი ჩემი პოლიტიკური გუნდისთვის და ჩემთვის, ადამიანურად, მისაღები არაა, პირად საუბარში ყოველთვის ვაპროტესტებ, თუმცა ეს საჯაროდ არ გამოგვაქვს. ჩემი კოლეგების განცხადებებზე რეაქციები მქონია და ამას გარკვეული უკმაყოფილებაც მოჰყოლია.

— ბატონო ზვიად, ის ამბავი, პრემიერს მსოფლიო ლიდერები მიესალმნენო, თქვენი აზრით, პრემიერის პრესსამსახურის მხრიდან, გასაპიარებელი იყო?

— მე ამას სხვანაირად გავაკეთებდი, თუმცა ეს ფაქტი იყო... პიარის თვალსაზრისით, ჩვენი მუშაობა თავიდანვე სხვანაირად უნდა დაგეგმილიყო და თუ ხელისუფლებაში დარჩენა გვინდა, წინასაარჩევნო პერიოდში, ამ მიმართულებით სერიოზული ცვლილებები უნდა შევიტანოთ.

— ხელისუფლებაში დარჩენა გინდათ?

— რა თქმა უნდა, რადგან ვალდებულებები გვაქვს კიდევ შესასრულებელი.

— იმასაც აღიარებთ, რომ თუნდაც პიარის კუთხით, პრობლემა პიროვნებებშია?

— დიახ, არის!

— თქვენი აზრით, „ოცნების“ ყველაზე სუსტი რგოლი რა არის?

— (ფიქრობს)

— მგონი, მელანქოლიურ განწყობაზე დაგაყენეთ...

— ამ თემაში ყველაზე ვიწრო შესასვლელიდან შევალ: ოზურგეთის მაჟორიტარი ვარ და როცა მშობლიურ სახლში, საძინებელში ვრჩები, იქ, არჩევნების დროიდან, ჩემი პროგრამის რამდენიმე ეგზემპლარია შემორჩენილი და ძილის წინ ჩემს დანაპირებს ვკითხულობ ხოლმე. ჩემი ამომრჩევლის წინაშე ანგარიშის ჩაბარების საშუალება მექნება და დაწვრილებით მაშინ ვილაპარაკებ, მაგრამ პრაქტიკულად, ყველა კონკრეტული დაპირება, რომელიც ოზურგეთელების წინაშე გავეცი, ძირითადად, მეტნაკლებად მაინც შესრულებულია, გარდა ერთისა და ეს ერთი ჩვენი აქილევსის ქუსლია.

— ასეთი რა არის?

— მეტი სამუშაო ადგილი, რაც გულს მიკლავს და რაზეც მეტი მუშაობა გვმართებს. არადა, რეალურად, მართლაც, ათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნა ქვეყანაში და ამის დასაბუთება შეიძლება...

— კი ბატონო, მაგრამ ლარი გაუფასურდა, თუმცა პენსია 20 ლარით გაიზრდება.

— 20 ლარით არ გაიზრდება.

— აბა, პრემიერმა რომ თქვა, მომესმა?

— არ მოგესმათ, მაგრამ ეს არასწორი ინტერპრეტაციაა. ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვედით, პენსია 110-დან 120-ლარამდე იყო. მომავალი წლის ივლისიდან კი, პენსია 180-დან 210-ლარამდე იზრდება — მთიანი რეგიონებისთვის 210 ლარი ხდება.

— „იაფი ფულის“ გჯერათ?

— „იაფი ფული“ რას ნიშნავს?

— არ ვიცი, ეს ტერმინი, არჩევნების წინ, ბიძინა ივანიშვილმა გამოიყენა...

— „იაფ ფულში“ შეიძლება, იაფი კრედიტი იგულისხმება, რომლითაც ძალიან ბევრ ადგილას ბევრი საწარმო გაიხსნა და ესეც ფაქტია.

— ...ბატონო ზვიად, 2016 წელს, კენჭს ისევ ოზურგეთში იყრით?

— პარტიაში ასეთი გადაწყვეტილება გვაქვს მიღებული, რომ დეკემბრის ბოლომდე ყველ რეგიონში კონფერენცია უნდა ჩავატაროთ, სადაც პარტიული კონფერენციისთვის დელეგატებს ავირჩევთ. მაჟორიტარებთან დაკავშირებით კი, ალბათ, იანვრისთვის ჩამოვყალიბდებით, თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნება, ერთი კანდიდატურა არ დასახელდეს და პრაიმერიზი ჩატარდეს.

— ანუ, კოალიცია პრაიმერიზზე მსჯელობს?

— არა, საბოლოოდ რა გადაწყდება ჯერ არ ვიცი, მაგრამ ეს იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება, ჩემი აზრით.

— მომავალ არჩევნებში კოალიცია დღევანდელი სახით გამოვა?

— არ ვიცი, გამოჩნდება, თუმცა ვფიქრობ, რომ ჩვენს კოალიციურ ერთობას საფრთხე არ ემუქრება.

— მაჟორიტარობის კანდიდატთა პრაიმერიზში მონაწილეობას მხოლოდ პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მიიღებენ თუ მთელი კოალიციის?

— კოალიციის...

— ბატონო ზვიად, არ მითხრათ, ამ გუგული მაღრაძეს რას გადაეკიდეთო, მაგრამ...

— (სიტყვას მაწყვეტინებს) ისე, მართლა რას გადაეკიდეთ? ქალბატონი გუგული ცხოვრებაში სულ სხვანაირია, ეკრანზე კი, რომ ჩნდება... ვერ ვიტყვი, რომ მისი ნათქვამის ინტერპრეტაცია ხდება, რადგან მეც ვუსმენ, რას ამბობს ხოლმე, კონფლიქტოლოგია და ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, მისი საუბარი კონფლიქტებს რომ იწვევს.

— მოკლედ, 2008 წლის ვადამდელ არჩევნებზე „ნაცმოძრაობამ“ მაია ნადირაძე დამალა. „ოცნება“ გუგული მაღრაძეს, გოგი თოფაძეს, ზურაბ ტყემალაძეს და სხვებს დამალავს?

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ გუგული მაღრაძე დასამალია?

— დიახ!

— (ფიქრობს) არ ვიცი, არ ვიცი... წინასაარჩევნო კამპანიაში შევეცდებით, მაქსიმალურად, მომგებიანი და ახალი სახეებიც წარმოვაჩინოთ!

— ნატო თუ რუსეთი?

— (იცინის) ვაიმე, რა სულელური შეკითხვაა! ნატო და არა — ნატაშა!

— სულელური შეკითხვა რატომაა? — „ოცნების“ ხელისუფლებას ხომ მუდამ საგარეო ვექტორის შეცვლაში ადანაშაულებენ!

— ეს აბსურდული ბრალდებაა! პარტიის ყრილობა რომ გვექნება, ქართული და მთელი საერთაშორისო საზოგადოებაც დაინახავს, საქმე რა პარტიასთან აქვს!

— აქამდე რომ დაგენახებინათ, ვინმე გიშლიდათ?

— აქამდე საქმეს ვაკეთებდით, ყრილობაზე კი, დეკლარაციით განვამტკიცებთ!

— დეკლარაცია კარგია, მაგრამ უმრავლესობის დეპუტატები აშშ-ს ელჩს თითს უქნევენ.

— ეს თითის დაქნევა არ იყო.

— დაგავიწყდათ, მეჭიაურმა აშშ-ს ელჩს ბოდიშის მოხდა რომ მოსთხოვა?

— ვადასტურებ: მეჭიაურმა არასწორად თქვა და ვუთხარით, რომ აშშ-ს ელჩს ბოდიშის მოსახდელი არაფერი გაუკეთებია!

— ბატონო ზვიად, იბიარდზე ნამყოფი ხართ?

— რა გაგებით?

— იმ გაგებით, რა გაგებითაც „ოცნების“ დეპუტატმა თქვა...

— ჩვენ, ყველას, ცხოვრების ჩვენი გზა გვაქვს გავლილი... საერთოდ, ჩემო ვანო, ჩვენი ცოდვები, იმ ცოდვებთან, რომელიც პარლამენტში, მარჯვენა ფლანგში მჯდომ ხალხს აქვს ჩადენილი, მოსატანი არაა!

— შეიძლება, მაგრამ ეს არ გამართლებთ!.. ბატონო ზვიად, დედა ოჯახის წევრია?

— იურიდიული თვალსაზრისით, თუ ცალკე კომლადაა, შეიძლება, ივაჭრო, მაგრამ დედა, რა თქმა უნდა, ოჯახის წევრია!

— აგაშენათ ღმერთმა!.. ბატონო ზვიად, როგორც საქართველოს მოქალაქე, გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად აღიარებთ?

— რა თქმა უნდა!

— პრეზიდენტმა ავლაბრის რეზიდენცია უნდა დატოვოს?

— დიახ, რადგან მთელი პოლიტიკური უსიამოვნება აქედან დაიწყო — ეს მისი ერთ-ერთი მთავარი დანაპირები იყო!

— შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში, მორალურ კი არა, კანონიერ ასპექტებზე გეკითხებით!

— კანონის დონეზე, სიმართლე რომ გითხრათ, ამ საკითხში ღრმად არ ჩამიხედავს, შეიძლება, ეს ჩემი მინუსია, მაგრამ გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად როგორ არ ვაღიარებ, როცა ჩემს ფრონტზე მის გაპრეზიდენტებაში ლომის წვლილი მაქვს შეტანილი!

— ...პუტინს კეთილი თვალები აქვს?

— კეთილი კი არა, უბოროტესი თვალები აქვს!

— ...რაც შემოვედი, თქვენს კაბინეტში სტალინის სურათს ვეძებ...

— ჩემს კაბინეტში რატომ ეძებთ?

— უმრავლესობის წევრმა, გოგი თოფაძემ ხომ თქვა, მალე ყველა კაბინეტში სტალინის სურათი ეკიდებაო?

— რომ თქვა, ამით თავის თავს ავნო! აზრის გამოთქმის უფლება ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ ეს ჩვენს პოლიტიკაზე, რა თქმა უნდა, არ აისახება!

— აფხაზეთი საქართველოს ნაწილია?

— რა თქმა უნდა!

— აბა, პაატა ზაქარეიშვილმა რომ დაგვმოძღვრა, თავისუფალი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს ყოფილაო? ესეც თავისუფალი აზრის გამოხატვაა?

— უმრავლესობის ლიდერი კი ვარ, მაგრამ ყველა არასწორი გამონათქვამის „გამპრავებლად“ ნუ გამომიყვანთ! საერთოდ, ძალიან ბევრი განცხადება არ მომწონებია, მაგრამ რა ვქნა, კოლეგების ლანძღვა დავიწყო?

— ბატონო ზვიად, ბოლო შეკითხვა თქვენ დამისვით და თავს გაგანებებთ...

— ვაიმე, იმდენი შეკითხვა მაქვს...

— რა პრობლემაა, გისმენთ! თუ გინდათ, როლები გავცვალოთ და ახლა რესპონდენტი მე ვიქნები!

— თქვენს გაზეთს „ქართული სიტყვა“ რატომ ჰქვია?

— როგორ წარმოგიდგენიათ, ჯანსუღ ჩარკვიანის გაზეთს სხვა სახელი უნდა ერქვას?

— თქვენი პასუხი მაკმაყოფილებს...

— თუ გნებავთ, რამე კიდევ მკითხეთ...

— კი ბატონო, ოღონდ გულწრფელად მიპასუხეთ.

— იმდენად გულწრფელად გიპასუხებთ, რამდენადაც თქვენ მპასუხობდით!

— დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკა, თქვენ არ გგულისხმობთ, გაკმაყოფილებთ?

— არა!

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

10 | № 48 (312) | 9 – 15 დეკემბერი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

„ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲓᲠᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲛᲘᲓᲔᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲔ ᲓᲐ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲕᲡᲘᲐᲛᲢᲙᲑᲘᲚᲝᲑᲗ!“

როგორ აჯამებს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ათ წლისთავს, რა საფრთხის შემცველია მოწმის დაკითხვის ამჟამად არსებული წესი, საიდან უნდა დაწყებულიყო სამართლიანობის აღდგენა, რა სკანდალური განცხადება გააკეთა თეა წულუკიანმა და როდის დაიწყებს ევროპარლამენტი ქართველ ადვოკატებზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ფაქტების განხილვას? – ამ და სხვა თემებზე „ქართული სიტყვა“ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ხელმძღვანელ ზაზა ხატიაშვილს ესაუბრა:

ᲖᲐᲖᲐ ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲓᲐᲕᲐᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

– ადვოკატთა ასოციაციის 10 წელი მეტად პრობლემური იყო, რადგან საქართველო ვერ ჩამოყალიბდა სახელმწიფოდ, რომელსაც ექნებოდა სამართლებრივი აზროვნება. სააკაშვილის ხელისუფლების დროს, ადვოკატთა მიმართ ძალადობრივმა ქმედებებმა პიკს მიაღწია – 157 დაპატიმრებული ადვოკატიდან აბსოლუტური უმრავლესობა უდანაშაულო იყო. ამის გამო არაერთხელ მივმართე საერთაშორისო ორგანიზაციებს.

2010 წლის „ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ მიერ დაიდო სკანდალური დასკვნა, რომლის მიხედვითაც, აღიარებული იქნა, რომ საქართველოში საადვოკატო საქმიანობა მეტად სახიფათო საქმეა და ადვოკატები ინსტიტუციონალურ დევნას განიცდიან. ეს სააკაშვილისთვის ცივი შხაპი იყო. ამის მერე, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ სერიოზული მიმართვები არაერთხელ განხორციელდა. ისინი ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, რომ ადვოკატთა კორპუსი დამოუკიდებელი ყოფილიყო და ყოველგვარი ჩარევა გამორიცხულიყო. 2011 წლის დეკემბერში კი, ადვოკატთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა, ხოსე მარია ფერნანდესმა სააკაშვილს წერილი გამოუგზავნა და შეახსენა, რომ ადვოკატებთან მიმართებაში გაერო-ს პრინციპები უნდა დაიცვა. 2011 წელს, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა, თომას ჰამერგერგმა, ჩემი თხოვნით, დადო დასკვნა ქართველ ადვოკატთა ინსტიტუციონალურ დევნაზე. ადვოკატების დახმარებით, პრეზიდენტ სარკოზისაც შევხვდი. პარიზის ადვოკატთა ასოციაციის თავზე კი, დროშა აფრიალდა, რომელსაც ეწერა: „სააკაშვილი დიქტატორი“. ბევრი სხვა რამეც გავაკეთე. მაშინ მიშას ოპოზიციას მეძახდნენ, დღეს „ნაციონალს“ მეძახიან, ხვალ, სხვა მთავრობა რომ მოვა, ალბათ, ისევ ოპოზიციონერს დამიძახებენ. იმ ხალხის მრცხვენია, ვისთან ერთადაც სააკაშვილის რეჟიმის გასაპროტესტებლად ბარიკადებზე ვიდექი. სააკაშვილის წინააღმდეგ იმიტომ კი არ ვიბრძოდი, რომ გვარად სააკაშვილი იყო, არამედ, მის მიერ დაკანონებულ უსამართლობას ვებრძოდი. უფლებადამცველად იმას ვთვლი, ვინც უსამართლობას, ყველა ხელისუფლების პირობებში, ერთნაირად აპროტესტებს.

სააკაშვილის ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ შეხვედროდა. მოლაპარაკებაში მონაწილეობას „ევროპის ადვოკატთა ასოციაცია“ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროც იღებდა. შევთანხმდით, რომ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ არ შეეგუებოდა ადვოკატთა დევნას, ასევე, მოწმის დაკითვის იმ წესს, რაც მაშინ არსებობდა და თუკი ადვოკატთა მიმართ ძალადობრივ ქმედებას ადგილი ექნებოდა, ხელისუფლება აუცილებლად გამოიძიებდა.

– ბატონო ზაზა, „ოცნება“ მოსახლეობას, სამართლებრივი კუთხით, ქვეყნის ძირეულ ცვლილებებს ჰპირდებოდა. თქვენ ისევ ხმაურობთ, ანუ სასიკეთოდ არაფერი შეიცვალა?

– ახალ ხელისუფლებას ექვსი თვე შეგუების პროცესი ჰქონდა. შემდეგ კი, ადვოკატებთან მიმართებაში, არცთუ სასიამოვნო ძალადობრივი მოქმედებები დაიწყო. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში, ჩვენი მეცადინეობითა და ბრძოლით, იმას მივაღწიეთ, რომ ადვოკატებს უკანონოდ ვეღარ იჭერდნენ. „ოცნების“ ხელისუფლებამ, ცოტა სხვანაირად, მაგრამ მაინც გააგრძელა „ნაციონალების“ პოლიტიკა – იმ ადვოკატებისთვის დაიწყო შეურაცხყოფის მიყენება, რომლებიც მისთვის არასასურველ პირებს იცავენ. ხომ არ შეიძლება, ადვოკატს მიაფურთხო, სცემო და ეს საქმე არავინ გამოიძიოს?!

2013 წელს, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს მივმართე, ვთხოვე, საქართველოში ადვოკატების მისამართით განხორციელებულ ქმედებებში ჩარეულიყო. ერთმანეთის მიყოლებით, ადვოკატებზე ზეწოლისა და შეურაცხყოფის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. პირველი იყო გოგა ონიანის საქმე, რომელზეც ზეწოლა იმის გამო განხორციელდა, რომ სააკაშვილისდროინდელ მაღალჩინოსანს იცავდა.

მეორე იყო დიმიტრი გაბუნია, სამოქალაქო ადვოკატი, რომელიც ხუხაშვილმა, რომელიც მაშინ პრემიერის ეკონომიკური მრჩეველი იყო, ფარულად ჩაწერა და ამ ჩანაწერით აშანტაჟებდა. ამის მერე, პროკურორმა ბაჩიაშვილმა სასამართლოს შენობაში ადვოკატი რომეო საჯაია სცემა. როცა ამ ფაქტებზე ხმა ამოვიღე, თქვეს, ეს ხალხი სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდაო.

– საზოგადოებას ამ ადვოკატების წარსული აღიზიანებდა და მათ „ზონდერ-წარსულსაც“ იხსენებდა.

– ადამიანს ბრალი უნდა დაუმტკიცო, რომ „ზონდერია“ და მერე, შესაბამისად იმოქმედო. როცა მე, ადვოკატს, ბრალდებულის საქმე მომდის, სულ არ მაინტერესებს, მოქალაქეს ჯიბეში რა ბილეთი უდევს, რომელ პარტიას ეკუთვნის.

ისე, ყველაზე ბევრი „ქართული ოცნების“ ადვოკატი დავიცავი და ამის გამო სააკაშვილის რეჟიმი მეძახდა, ივანიშვილის მოსყიდული ხარო, „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარეს მთავრობა რომ მოეფერება, ის თავმჯდომარე უნდა გადადგეს!

ვყვიროდი, მნიშვნელობა არ აქვს, ხელისუფლება დევნას რომელ ადვოკატს დაუწყებს, მე თუ გავჩერდი, სხვებზე გადავა-მეთქი და, მართლაც, ყველაფერი ახდა: 2014 წლის იანვარში, რომეო საჯაია პროკურორმა ბაჩიაშვილმა სასამართლოს შენობაში სცემა. საქმეს მსვლელობა არ მიეცა, ბაჩიაშვილი ისევ პროკურორად მუშაობს, თუმცა ამ პროცესებს უცნაურობაც ახლდა: ერთი ადვოკატი მწერდა, რა ამბავს ტეხ, რომეო საჯაია ახალაიას ადვოკატია, უნდა ეცემა, აბა, რაო?! წარმოგიდგენიათ? – ამის მთქმელი ადვოკატი პროფესიონალი არაა და არ იცის, რომ გაერო-ს კონვენცია ადვოკატის შესახებ გვეუბნება, არ შეიძლება, ადვოკატის კლიენტთან იდენტიფიცირება.

გადის ორი თვე და, რომეო საჯაიას მერე, აფხაზეთიდან დევნილ ადვოკატ ნონა კირთაძეს, სამი შვილის დედას, „ქართული ოცნების“ მომხრეს, ბარიკადებზე რომ იდგა, გორის სასამართლოში ფინანსური პოლიციის თანამშრომელი გოგა ბერძენიშვილი თავს დაესხა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგადაც ნონა კირთაძე კომაში ჩავარდა და, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, საადვოკატო საქმიანობის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ბერძენიშვილი კი დღესაც იქ მუშაობს.

დიანა მარტიაშვილს პოლიციელმა შეურაცხყოფა მიაყენა – აგინა; ქობულეთელ ადვოკატ მერი ცინარიძეს პოლიციელი დაემუქრა, ნარკოტიკებს ჩაგიდებო. გარდა ამისა, უამრავი დადასტურებული და გამოძიებული ფაქტია, როცა ადვოკატებზე სხვადასხვა სახის ზეწოლას ჰქონდა ადგილი.

გამოუძიებელ ფაქტებსა და დაუსჯელობის სინდრომის გავრცელებას ის მოჰყვა, რომ აგერ, სამართლიანობის ეგიდით მოსული მთავრობის პირობებში, ადვოკატი მდინარაძე პოლიციაში დააბეს და სცემეს. ეს საშინელება არ მოხდებოდა, თავის დროზე რეაგირება რომ მომხდარიყო.

2011 წელს, ადვოკატი ირინა საღინაძე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სცემეს, გაუპატიურებით დაემუქრნენ. თავად მე წავიყვანე ნაცემი ირინა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დაფიქსირდა დაზიანებები, მაგრამ საქმეს მსვლელობა მაინც არ მიეცა. ახალი ხელისუფლება ხომ გაუპატიურების საქმეების გამოძიების პირობით მოვიდა, საარჩევნო ხმები ხომ ამ დაპირებით მოაგროვა? – ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი თვის მერე, როცა თეა წულუკიანი მთავარი პროკურორი გახლდათ, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტ მარსელა ბრასელს წერილი მივწერე და ამ ფაქტის გამოძიება ვთხოვე. ვფიქრობდი, წულუკიანი სტრასბურგის ევროსასამართლოში მუშაობდა, საკითხს თანამედროვე სტანდარტებით შეხედავს-მეთქი, მაგრამ წერილი დამალა.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა ეს საქმეები შეისწავლა და საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს მოსწერა, ამ საქმეებს მიხედეთო. საქმის კურსში არიან მარიას ლაზაკი, ფედერიკა მოგელინი, ადამიანის უფლებათა კომისარი ევროპარლამენტში ნილ მიუშნიეკი. ყველა ფაქტი მიმოიხილეს... მოკლედ, „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ ეს დავა ევროპარლამენტში გადაგვაქვს. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, როცა ევროპარლამენტი ამის განხილვას დაიწყებს?!

– ისე, ევროსასამართლოში ქართველ მომჩივანთა ნაკადმა იკლო?

– ალბათ იკლო, ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. ადრე ყველას ურტყამდნენ, ამ ძალადობის წინააღმდეგ, სხვებთან ერთად, ჩვენც ვიბრძოდით. გაუპატიურების პირველი ფაქტი მე გავახმაურე. მაშინ ადვოკატებიც კი ამიმხედრდნენ და ამბობდნენ, რომ სააკაშვილის მიერ დაქირავებული აგენტი ვიყავი, ამიტომაც არ მიკვირს, იგივე ხალხი დღეს „ნაციონალების“ აგენტს რომ მეძახის. ბევრმა ბოდიშიც კი მომიხადა, მეგონა, „ზონდერებს“ იცავდიო. გამოდის, გოგა ონიანი დაკავებულებს რომ სცემდა, მაშინდელი მისი უფროსი ალექსანდრე ჭიკაიძე პირჯვარს იწერდა. პოლიციელი თავისით ვერ „იზონდერებს“, გამორიცხულია, მას ზევიდან უბრძანებენ. პროკურორები, რომლებიც ადვოკატებს მოსაკლავად დასდევდნენ, დღეს დაწინაურებულები არიან, საპროცესო გარიგებების მონაწილე ნოტარიუსები და პროკურორებიდან ვინმე დაისაჯა?

მეტსაც გეტყვით, თეა წულუკიანმა საქვეყნოდ განაცხადა, ის დრო დამთავრდა, როცა პროკურატურის სარდაფიდან დაკავებულები გამოჰყავდათ და იუსტიციაში საპროცესო გარიგებებს აფორმებდნენო. როცა მინისტრი ასეთ განცხადებას აკეთებს, კონკრეტული გვარებიც იცის, ხომ? თუკი იმ პროკურორების გვარები იცის, ვინც კანონს არღვევდა და სათანადო ზომებს არ იღებს, ეს, მინიმუმ, დანაშაულის დაფარვაა. თუკი ხელისუფლებაში ისეთი მთავრობა მოვიდა, რომელსაც საერთო არც სააკაშვილთან ექნება და არც ივანიშვილთან, ამ განცხადების ავტორს პასუხი აუცილებლად მოეთხოვება!

– მოწმის დაკითხვის წესის გამო მრავალჯერ გამოთქვით პროტესტი, ბატონო ზაზა...

– მოწმის დაკითხვის წესს სააკაშვილის მთავრობა დაკავებულთა დისკრედიტაციისთვის მოხერხებულად იყენებდა. ორი წლის წინ, ხელისუფლებამ განაცხადა, სასამართლოში მოწმის მხოლოდ ერთხელ დაკითხვის წესი იმიტომ გადავდე, რომ ორი წელი მჭირდება ასამოქმედებლადო. მთელ სამოქალაქო საზოგადოებას მოვუწოდებ, გვერდში დამიდგეს, თუ ეს გაიტანა ამ ხელისუფლებამ, ჩათვალეთ, რომ სააკაშვილისდროინდელი წამებები მონაგონი იქნება. უბრალოდ, გაოგნებული ვარ დღევანდელი პოლიტიკური სექტორით, ეს და სხვა უამრავი შეცდომა მხარდამჭერებს დაარტყამს, არც ერთი პოლიტიკური ძალა ხელისუფლებასთან არ ითანამშრომლებს!

– ბატონო ზაზა, სამართლიანობის აღდგენა, ალბათ, საუკუნით გადაიდო, არა?

– ეს პროცესი პროკურატურიდან უნდა დაწყებულიყო. სააკაშვილის ხელისუფლება მოქალაქეებს ართმევდა, საპროცესო გარიგებას პროკურატურა აფორმებდა, გამოძიებას პროკურორი აწარმოებდა. პროკურატურაში ხალხი იძულებით მიდიოდა და

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 11 ᲒᲕ.

„ᲐᲓᲠᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲣᲠᲢᲧᲐᲛᲓᲜᲔᲜ, ᲐᲛ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ, ᲡᲮᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲪ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲓᲘᲗ. ᲒᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲛᲔ ᲒᲐᲕᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲛᲘᲛᲮᲔᲓᲠᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲡ, ᲘᲑᲘᲕᲔ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲦᲔᲡ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲒᲔᲜᲢᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲔᲫᲐᲮᲘᲡ. ᲑᲔᲕᲠᲛᲐ ᲑᲝᲓᲘᲨᲘᲪ ᲙᲘ ᲛᲝᲛᲘᲰᲮᲐᲓᲐ, ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, „ᲖᲝᲜᲓᲔᲠᲔᲑᲡ“ ᲘᲪᲐᲕᲓᲘᲝ. ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲒᲝᲒᲐ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲡᲪᲔᲛᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲔ ᲞᲘᲠᲯᲕᲐᲠᲡ ᲘᲬᲔᲠᲓᲐ. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲕᲔᲠ „ᲘᲖᲝᲜᲓᲔᲠᲔᲑᲡ“, ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ, ᲛᲐᲡ ᲖᲔᲕᲘᲓᲐᲜ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲔᲜ. ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲐᲙᲚᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲡᲓᲔᲕᲓᲜᲔᲜ, ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲡᲐᲞᲠᲝᲪᲔᲡᲝ ᲒᲐᲠᲘ�გᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲐ?“

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲘᲡᲬᲔᲓᲕᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

9 – 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 48 (312)

11

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲒᲘᲠᲩᲐ ᲩᲘᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

„ᲐᲮᲐᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲗᲕᲔ ᲨᲔᲒᲣᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ, ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲠᲪᲗᲣ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ, ᲘᲛᲐᲡ ᲛᲘᲕᲐᲚᲬᲘᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲘᲭᲔᲠᲓᲜᲔᲗ. „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ, ᲪᲝᲢᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ“ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ — ᲘᲛ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ. ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲡ ᲛᲘᲐᲤᲣᲠᲗᲮᲝ, ᲡᲪᲔᲛᲝ ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲘᲝᲡ?!“

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲩᲣᲥᲜᲘᲓᲐ. თუ კონკრეტულად ვინმესთვის რამის წართმევაზეა საუბარი, პასუხისმგებელი მხოლოდ პროკურატურაა. სამართლიანობის აღდგენამ დიდი ხნით გადაიწია, რადგან დამნაშავე პროკურორები არათუ გაათავისუფლეს, ბევრი დააწინაურეს კიდეც. ის პროკურორები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს დასდევდნენ, დღეს ოპოზიციას დასდევენ. მათ სხვა არაფერი იციან, გარდა იმისა თუ როგორ დევნონ ოპოზიციური აზრი!

— ახალი მთავარი პროკურორი გვყავს. თქვენი აზრით, შოთაძე რამდენად შეძლებს, გახმაურებულ საქმეებს მიხედოს?

— მთავარი პროკურორის არჩევისას მთავარი ის კი არ იყო, ვინ აირჩიეს, არამედ, როგორ და ვინ აირჩია. საპროკურორო საბჭოს ხელმძღვანელი თეა წულუკიანია, სწორედ მან წარადგინა მთავარი პროკურორის კანდიდატურა. წულუკიანი მთავრობის წევრია, გამოდის, რომ მთავარი პროკურატურა მთავრობის ქვესტრუქტურა ხდება და მთავარი პროკურორიც, როგორც დამოუკიდებელი ფიგურა, არ იარსებებს, ხელისუფლების სურვილის შემსრულებელი იქნება. უკეთესი იყო, რომ მთავარი პროკურორი პარლამენტს აერჩია და ანგარიშვალდებულიც პარლამენტის წინაშე ყოფილიყო.

— ყველაფერ ამის გამო ხართ „ოცნებასთან“ დაპირისპირების რეჟიმში?

— არც ერთ ხელისუფლებასთან ურთიერთობა არ მქონია, ვერ ნახავთ ვერც დამონტაჟებულ კადრს, სადაც „ოცნებასთან“ ერთად, ერთი კანფეტი მაინც მიჭამია. ვიყავი და ვარ უფლებადამცველი, ხვალ რომ ჩემი მეგობრების მთავრობა მოვიდეს, არც მასთან მექნება ურთიერთობა. თუ დღევანდელი ხელისუფლება ისეთ კანონებს მიიღებს, რაც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის უფლებას დაიცავს, მივესალმები, თუკი სასამართლო-პროკურატურა დამოუკიდებელი იქნება, ამას მივესალმები!.. ხელისუფლების მოვალეობაა, ქვეყანაში ისეთი სამართლიანი კანონმდებლობა შექმნას, რომელიც ბიზნესს გასაქანს მისცემს.

— ბატონო ზაზა, ბევრჯერ ახსენეთ ევროსტრუქტურები, რომლებიც საქმის კურსში არიან, რომ საქართველოში საქმე მთლად კარგად ვერ მიდის. როგორ გვიყურებენ ევროპელი სამართალდამცავები?

— აბა, ყველაფერ ამის მერე, როგორ უნდა შემოგვხედონ?! გვიყურებენ და აღგვიქვამენ ქვეყნად, რომელსაც ბევრი აკლია ევროპულ დემოკრატიულ სამართლამდე მისასვლელად. „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ საკაშვილი რეჟიმი იყო, მეც ვამბობ, რომ საკაშვილი რეჟიმი იყო, მაგრამ როცა დღევანდელი ხელისუფლება ჩემზე ლაპარაკობს, როგორც წინა ხელისუფლების მეხოტბეზე, ვეუბნები: ერთი კადრი მაინც დამიდეთ, სადაც მე და „ნაცმოძრაობა“ ვსიამტკბილობთ. აი, ვიღაცები კი ამბობენ, „ნაციონალებს“ ჩვენ ვაფინანსებდითო.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲝ�გᲘᲢᲘᲫᲔ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

400 ᲒᲠᲐᲛᲘ ᲑᲐᲠᲓᲘᲡ ᲬᲕᲜᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ 140 ᲒᲠᲐᲛᲘ ᲑᲠᲘᲜᲯᲘᲡ ᲤᲐᲤᲐ ᲣᲛᲬᲔᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲓᲐᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲐᲖᲔ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ 18 ᲗᲔᲗᲠᲘ ᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ!

ᲕᲘᲜ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲔᲑᲡ ᲚᲐᲠᲐᲓ ᲓᲐ 18 ᲗᲔᲗᲠᲐᲓ ᲐᲭᲛᲔᲕᲔᲜ? — ᲔᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲢᲧᲣᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲛ“ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲘᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲐᲛ ᲧᲑᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲚᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢ ᲗᲔᲗᲠᲡ ᲘᲮᲓᲘᲡ, ᲡᲘᲜᲘᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲙᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲗᲣ ᲐᲦᲬᲔᲕᲡ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ �პᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲨᲘ ᲐᲜ, ᲡᲣᲚᲐᲪ, ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲨᲘ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲡ.

უფასო სასადილო, რომელიც ამჯერად „ქართულმა სიტყვამ“ შეარჩია, გლდანში, მეტროსადგურ „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს და 1000 ბენეფიციარსა და დამატებით სიაში მყოფ კიდევ რამდენიმე ადამიანს ემსახურება. როგორც გაირკვა, ამ და კიდევ ორ სასადილოს ტენდერში გამარჯვებული შპს „ელფის“ კონტრაქტორი კომპანია ამუშავებს და სოციალურად დაუცველების ყოველდღიური კვებისთვის, ერთ ადამიანზე, ლარსა და 18 თეთრს იღებს.

...შენობა გარეგნულად არაფრით გამოირჩევა, უფრო მეტიც, ცოტა მოუწესრიგებელის შთაბეჭდილებასაც ტოვებს. შეხვალ და, ცოტა სიმშვიდე გეუფლება: ყველაფერი არცთუ ცუდია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ევრორემონტი არაა, მაგრამ ეტყობა, ჰიგიენური ნორმების დაცვას ყურადღებას აქცევენ.

მიუხედავად იმისა, რომ მენეჯერ თამარ ჭურაძეს კიდევ ორი ასეთი ობიექტი აბარია, ბედად, სასადილოში დამხვდა. როცა ჩემი მისვლის მიზეზი ავუხსენი, მითხრა, აქ შემოწმების უფლება მხოლოდ რამდენიმე ადამიანს აქვს, მაგრამ რადგან ასეთი ამბავია ატეხილი, მოგიყვებით, როგორ ვმუშაობთო, თუმცა მანამდე „პრესკარტა“ მომთხოვა და, როგორც იქნა, დარწმუნდა, რომ „მიგზავნილი პროვოკატორი“ არ ვიყავი.

როგორც აღმოჩნდა, ყოველდღიური მენიუ „ზემოთ“ დაუწერიათ, ამ სასადილოში კი, დიდი ტრაფარეტით კედელზე გაუკრავთ. შესაბამისად, ბენეფიციარებმა, ალბათ, კარგად იციან, თუ რას მიირთმევენ ორშაბათს, ან კვირის დანარჩენ დღეებში. მენიუ ერთი და იგივეა და არ იცვლება. სპეციალისტი არ ვარ და, შესაბამისად, ვერ გავარკვევ, რამდენი კილოკალორიაა თუნდაც დღევანდელ მენიუში, ან არის თუ არა საკმარისი ის ყოველდღიურად მისაღები კალორიების შესავსებად, მაგრამ ერთი ცხადია: დღეში 400 გრამი (ადრე 500 გრამი ყოფილა) ბარდის წვნიანი და 140 გრამი (ადრე 250 გრამს არიგებდნენ) ბრინჯის ფაფა, თუნდაც ქიშმიშიანი, ამას დამატებული 250 გრამი პური და ერთი ჭიქა ვაშლის კომპოტი საკმარისი სულაც არაა. ეს მენიუ „ვიღაცამ“ გამოთვალა და სასადილოს პერსონალიც იძულებულია, ამ მოთხოვნებს დაემორჩილოს. მენეჯერმა თამარ ჭურაძემ ისიც მითხრა, რომ ახლა ე.წ. ზამთრის მენიუზე გადავიდნენ და თუ ზაფხულში ხორციანი სადილი კვირაში სამჯერ იყო, ამჟამად, „გუფთას“, სოსისსა და ქათმის ხორცს ერთი დღე დაემატება და ე.წ. შილა ფლავს მოამზადებენ.

...იმ დღეს კი, ბარდის წვნიანი იყო და მეც დიდი მორიდებით მოვითხოვე, გამასინჯეთ-მეთქი. გემო არც მას და არც ბრინჯის ფაფას ცუდი ნამდვილად არ ჰქონდა, არც კონსისტენცია იყო ურიგო — წვნიანი საკმაოდ სქელი იყო და ბოსტნეული ნამდვილად არ იყო საძებნი... აი, კალორიულობაზე კი რა მოგახსენოთ... უბრალოდ, შეუძლებელია, ასეთი ერთჯერადი ჭამით მთელი დღის განმავლობაში თავი გაიტანო.

...მენეჯერთან ერთად, ყველა კუთხე-კუნჭულს ვათვალიერებ — შევიხედე სამზარეულოში, იმ კუთხეშიც, სადაც ყოველდღიური ულუფის განაწილება ხდება. ამასობაში, შემოსასვლელი კარი თითქმის არ გაჩერებულა — მოდიან მოხუცები, ახალგაზრდები, ერთი შეხედვით, ჯანღონით სავსე მამაკაცები, მოჰყავთ ბავშვები, ზოგი განკუთვნილ ულუფას იქვე მიირთმევს, ზოგს „კონტეინერი“ მოაქვს და შინ მიაქვს. როგორც ქალბატონმა თამარმა ამიხსნა, ზოგი სახლში წაღების მერე, სადილს წყალს ასხამს, აბევრებს და მერე, მთელი დღის განმავლობაში, თავი გააქვს.

— აქ ძალიან კარგად გვექცევიან, კარგი ხალხია, — მომიბრუნდა ერთი მამაკაცი, რომელსაც ხელში კომპოტით სავსე ჭიქა უჭირავს, — მაგრამ, ამ ჭიქით ყოველდღე ჩვენი მთავრობის სადღეგრძელოს ვსვამთ! რას მოდიხართ აქ და რას ამოწმებთ ამ კარგ ადამიანებს? წადით ბანკებში, წინსწრებით რომ გამოგვაქვს სოციალური დახმარება და უამრავ ფულს გვაჭრიან, გვძარცვავენ, ეს გაარკვიეთ!

— ამასაც გავარკვევ, მაგრამ ჯერ ის მაინტერესებს, აქ რას და როგორ გაჭმევთ სახელმწიფო, — დავუყვავე.

— რასაც გვაჭმევს, კი ნახეთ, მაგრამ ესენი, ვინც აქ მუშაობენ, ძალიან კარგი ადამიანები არიან, — იქვე, მაგიდასთან მჯდომი მამაკაცი შემეხმიანა, — ძალიან მიყვარს აქ მოსვლა.

მივბრუნდი: საშუალო ასაკისაა, როგორც ჩანს, ინვალიდია — ცალი ხელი არ აქვს.

— როგორ ხდება ამ ადამიანების რეგისტრაცია? — ვეკითხები მენეჯერ თამარ ჭურაძეს.

— ყოველთვიურად, გამგეობა გვაწვდის ახალ სიებს, ამიტომ თითოეული ბენეფიციარი, რომელიც ჩვენთან მოდის, ვალდებულია, ყოველდღიური რეგისტრაცია გაიაროს. ზუსტი მონაცემები უნდა გვქონდეს, ვინ სარგებლობს ჩვენი მომსახურებით და ვინ — არა.

— როგორ ხდება ბენეფიციარების შერჩევა?

— ეს არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ მსურველების ძალიან დიდი რიგია. ამ რაიონში სამ ასეთ სასადილოს ვამუშავებ და 3000 ადამიანს ვემსახურები. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამაზე ნაკლები სია გადმოეცა გამგეობას.

— გყოფნით ერთი ლარი და 18 თეთრი?

— ვცდილობთ, გვეყოს.

ქალბატონ თამარს არ უთქვამს — ალბათ, თავი შეიკავა, მაგრამ მოგვიანებით, მაინც გავარკვიე, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა არც პროდუქტი იყო ასე გაძვირებული და არც — კომუნალური გადასახადები, ანუ როცა სამწლიანი ტენდერი ჩატარდა, ერთი კაცის შენახვა 1 და 40 თეთრი მაინც ჯდებოდა. ახლანდელი გათვლებით კი, ეს ციფრი 2 ლარამდე გაიზარდა.

...ამასობაში, ზოგი მოდის, ზოგი მიდის... ბავშვებიანი ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, ჩუმად გაიარა რეგისტრაცია, თავისი წილი სადილის ულუფა აიღო, იქვე, კუთხეში დასხა შვილები და ასადილა. ერთი მოხუცი ქალბატონი კი, რომელიც ჯერ კიდევ ჩემი მისვლის დროიდან სასადილოში იყო, ჩვენთან მოვიდა, მოგვეფერა და მენეჯერს „გადაეკიდა“, ისე არ წავალ, ვიდრე არ გაკოცებო... წავიდა და მოშორებით სკამზე დაჯდა, ელოდებოდა, საუბარს როდის მოვრჩებოდით...

— ბავშვიანი ქალი ბევრი გყავთ?

— საკმაოდ. არიან ოჯახები, არიან მარტოხელა დედებიც. ვცდილობ, მათ ცოტა კიდევ დავუმატო სადილი, ბავშვებისთვის კი, ყოველთვის მაქვს კანფეტები — მათ ტკბილეულობა ხომ ძალიან უყვართ, არადა ზოგიერთი, თვე ისე გავა, ერთ შოკოლადს ვერ შეჭამს... ეს სულაც არ მეხება, მაგრამ გული ხომ მაქვს? — მეუბნება მენეჯერი.

— მთელი დღის განმავლობაში ასეა? ამდენი ხალხი მოდის?

— დილით, ექვს საათზე იწყებენ ჩვენი მზარეულები მუშაობას. 10 საათზე კი სასადილოს ვაღებთ. ამ დროს ზოგი უკვე კართან დგას და გველოდება...

— სადილი გემრიელია, მაგრამ კალორიულობა დათვლილი გაქვთ?

— ამას ჩვენ არ ვთვლით, ჩვენ გამზადებული ინსტრუქციები მოგვდის და იმის მიხედვით ვამზადებთ. ეს ბარდის სუპი, თქვენ რომ გასინჯეთ, ყველას ძალიან უყვარს. მიშას დროს, „ნაციონალები“ მოდიოდნენ სპეციალურად ამ სუპის საჭმელად. აი, ის დღე არ მიყვარს, მაწვნის სუპს რომ ვამზადებთ.

— რატომ?

— მაწვნის სუპია, რა?! ამ დროს რა კალორიულობაზე უნდა იყოს საუბარი?! არადა, ორშაბათის მენიუში ეს გვაქვს შეტანილი.

...თამარ ჭურაძესა და სასადილოს მომსახურე პერსონალს ვემშვიდობები, გარეთ გამოვდივარ და ვფიქრობ, ჩვენი ჩინოვნიკები, რომლებიც გამუდმებით ამტკიცებენ, რომ ნორმალური დიასახლისი ასეთ პირობებშიც მოახერხებს გემრიელი კერძის მომზადებას, რამდენიმე დღე უფასო სასადილოში უნდა ატარო. იქიდან წასულს კი, სხვა საკვები თვალით არ ანახო, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მიხვდნენ, თუ როგორი ძნელია ჯერ ის, რომ ვიღაცის გამოწვდილ ხელს უნდა უყურო, თუნდაც ეს „ვიღაც“ სახელმწიფო იყოს და მერე ის, რომ იძულებული ხარ, მთელი დღე იმ მცირე ულუფის იმედად იყო, სამადლოდ რომ გაძლევენ!

ᲚᲐᲠᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢᲘᲐᲜᲝ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ, ᲜᲣ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲓ �გᲐᲛᲝᲬᲕᲓᲘᲚ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲭᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ, ᲞᲔᲜᲡᲘᲘᲡ ᲗᲘᲗᲝ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲚᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲓᲘᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲣᲬᲔᲕᲗ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ Ი�გᲠᲫᲜᲝᲜ!

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲔᲠᲫᲔᲣᲚᲘ

12 № 48 (312) 9 - 15 დეკემბერი 2015

ქართული იტუკი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„თამბაქოზე აქციზის გაზრდა მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული ფულია!“

„ბოლო წლებში 3 400 ახალი შპს გაიხსნა, ბიუჯეტში კი, 4 მილიარდ 600 მილიონი დღგ-ს სახითაა გადახდილი, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოების მოცულობა მეტ-ნაკლებად გაზრდილია. კარგად ვიცი, რა შეცდომებიც არის, განსაკუთრებით, ქვედა დონეებზე, ანუ ის, რაც თავში კეთდება, ქვემოთ ვერ მიდის, მაგრამ მიმაჩნია, რომ საყოველთაო ჯანდაცვა კარგი პროექტია“, – აცხადებს „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა, რომელიც ერთი წლის წინ შეიქმნა, ვერ გაამართლა. გარდა ამისა, პავლიაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი, პირველ ეტაპზე, საქართველოზე ვერც უარყოფით გავლენას მოახდენს და ვერც – დადებითს.

– ბატონო სოლომონ, თქვენი, როგორც ეკონომიკის ექსპერტის აზრით, რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი რეგიონზე და, პირველ რიგში, საქართველოზე რა კვალს დატოვებს?

– მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები საქართველოზე გავლენას, როგორც წესი, ყოველთვის ახდენს. იგივე რუსეთში მიმდინარე პროცესებზე, როცა ზოგიერთი ექსპერტი ამბობდა, საქართველოზე გავლენას არ მოახდენსო, მაშინვე ვთქვი, ის შეზღუდვები, რომლებიც რუსეთს ევროკავშირმა და აშშ-მ დაუწესა, საქართველოზე გავლენა ექნება-მეთქი და ფაქტი სახეზეა: მაგალითად, ადრე, ტრანსფერის სახით, რუსეთიდან საქართველოში, ყოველ თვე, 46-47 მილიონი დოლარი ირიცხებოდა, დღეს კი, ეს რიცხვი 22-23 მილიონზეა ჩამოსული. გარდა ამისა, ღვინის ექსპორტიც შემცირდა და ესეც ჩვეულებრივი ამბავია.

– რატომ?

– რუსეთის მიმართ ზემოხსენებული სანქციები სწორედ მაშინ დაწესდა, როცა რუსულ ბაზარზე ჩვენი ღვინის რეალიზაცია ძალას იკრებდა, ანუ რუსული რუბლის დევალვაცია დაიწყო და შესაბამისად, ქართული ღვინის რეალიზაციაც ვეღარ მოხდა.

საერთოდ, ეკონომიკები ჩაკეტილ და ავტონომიურ რეჟიმებში არ არსებობენ, მით უმეტეს, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე ხარ მიბმული.

– რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის იმპორტის შემცირება საქართველო-ევროკავშირის ხელშეკრულების ხელმოწერას დაემთხვა. შესაბამისად, ხელისუფლებას ევროპული ბაზრის ათვისებაზე ხომ უნდა ემუშავა?

– საქმე ასე მარტივად არაა. ასოცირების ხელშეკრულება ძალიან კარგი დოკუმენტია, მაგრამ მანამდე, 7 ათასი დასახელების პროდუქციაზე შეღავათები გვქონდა, რომელიც არ თუ ვერ გამოვიყენეთ, ანუ ევროპის ბაზრის ათვისება მარტივი არაა, რადგან ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ევროპა ლათინური და აშშ-დან შესული ღვინოებითაა სავსე. მოკლედ, ამ კუთხით სხვა ქეისი გვჭირდება. მოწოდება, რომ ქართული ღვინო უმაღლესი ხარისხისაა, კარგია, მაგრამ ვიდრე ამას ნახევარმილიარდ მომხმარებელს გავაგებინებთ, დრო და თანხაა საჭირო.

სხვათა შორის, რუსულ ბაზარზე ჩვენს დაბრუნებას ხელი იმანაც შეუშალა, რომ ვიდრე ემბარგო გვქონდა დაწესებული, რუსულ ბაზარზე ქართული ღვინო ფრანგული და მოლდავური ღვინოებით ჩანაცვლდა. ამასთან, ღვინის ჩამოსხმა უკრაინამ და აზერბაიჯანმაც დაიწყეს. ამასთან, რუსეთში ის თაობა, რომლისთვისაც ქართული ღვინო ცნობილი იყო, შეიცვალა. ამიტომ, თავის დამკვიდრება რუსულ ბაზარზეც რთულია. მართალია, ქართულ ღვინოს რუსული ბაზრის 14 პროცენტი უჭირავს, მაგრამ ეს რეალიზაციის კი არა, შეტანის რაოდენობაა.

ისე, კარგად მახსოვს 2006 წელს, მაშინდელი პრემიერის განცხადება, ქართული ღვინისთვის ალტერნატიულ ბაზრებს შევქმნიო, მაგრამ რატომ არ შექმნა და ქართული ღვინო, მაგალითად, ჩინეთში რატომ არ გაიტანა?

– თქვენი აზრით, რატომ?

– იმიტომ, რომ ჩინეთში სულ სხვა მიდგომაა – რამდენიმე წლის წინ, სწორედ ამ საქმეზე, ჩინეთში ვიმყოფებოდი და ჩინელები ღვინის მომხმარებლები არ არიან. მოკლედ, ქართული ღვინისთვის დივერსიფიცირების გზები უნდა ვეძებოთ, თუმცა ეს რუსეთის ბაზარზე უარის თქმას არ ნიშნავს. სხვათა შორის, რუსეთის ბაზრის გახსნის შემდეგ, ხალხი ყურძნისკენ, ასე ვთქვათ, მოტრიალდა – ვენახების გაშენება ისევ დაიწყო, თუმცა რუსეთი საიმედო ეკონომიკური პარტნიორი არაა.

– რაკი ღვინოზე ვლაპარაკობთ, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ „რთველი 2015“ წარმატებულად შეაფასა, ერთ-ერთი, თუ არ ვცდები, ღვინის ქარხნის დირექტორი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებს ანხორციელებდა, ფინანსური მაქინაციებისთვის დაიჭირეს. აბა, რომელ წარმატებაზეა ლაპარაკი?

– საქმე ასე მარტივად არაა. წარმატება იმას ნიშნავს, რომ მთელი ყურძნის რეალიზაცია მოხდა და ის, რომ სადღაც რაღაც კორუფცია იყო, რთველის წარუმატებლობას არ ნიშნავს. მთავარია, გლეხებში ვენახის გაშენების მოტივაცია ისევ გაჩნდა.

– ამის თქმა კახელი გლეხების წლევანდელი ხმაურიანი აქციების ფონზე შეიძლება?

– დიახ, შეიძლება. წლევანდელ რთველს შეფერხებები ობიექტური მიზეზების გამო ჰქონდა, თუმცა ხელისუფლებამ 35-თვიანი კონპენსაციით შეძლო, რომ ყურძნის რეალიზაციის პრობლემა არ ყოფილიყო. საერთოდ, მომხრე არ ვარ, რომ სოფლის მეურნეობა მუდმივად დოტაციური იყოს – სოფლის მეურნეობამ შემოსავალი თვითონ უნდა მოიტანოს. სახელმწიფოს ფუნქცია დაფინანსება კი არა, ვთქვათ, სასანყობო მეურნეობების, ინფრასტრუქტურისა თუ სარწყავი სისტემის შექმნა, ასევე, სადაზღვევო პაკეტის ხელშეწყობაა. ხომ ხედავთ, ხალხი როგორაა მიჩვეული – ვთქვათ, სტიქიური უბედურება მოხდება თუ არა, ხელს სახელმწიფოსკენ იშვერს. არადა, უნდა მიხვდეს, რომ მოსავალი დააზღვიოს, თუმცა სადაზღვევო პროდუქტი იაფი უნდა იყოს. მართალია, ევროპამ, კრიზის დროს, 60 მილიარდი გამოყო, მაგრამ სოფლის მეურნეობა რომ დოტაციურია, განათლებამ, კულტურამ, ან თავდაცვამ რაღა ქნას?

– ანუ, იმას ამბობთ, ბატონო სოლომონ, რომ სახელმწიფო, ვთქვათ, რომელიმე მომღერლის კონცერტს უნდა აფინანსებდეს?

– არა, ეს სხვა თემაა. კულტურაში სახელმწიფო მუზეუმების შენახვა, არქეოლოგიური სამუშაოები და ასე შემდეგ იგულისხმება.

– სახელმწიფო ეკლესიას უნდა აფინანსებდეს?

– რელიგია სექტორი არაა და, მიუხედავად იმისა, რომ დიდი შემოსავალი აქვს, შემოსავალს ვერ „გააჩენს“, ამიტომ, სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს და, როგორც ვიცი, სახელმწიფო მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიას კი არა, სხვადასხვა რელიგიურ კონფენსიებს აფინანსებს.

რაც შეეხება რუსეთ-თურქეთის მოვლენებს, წეღანაც გითხარით, რომ ეს მოვლენები საქართველოზე გარკვეულ ასახვას პოვებს, რადგან საგარეო სავაჭრო ბრუნვის, დაახლოებით, 27 პროცენტი სწორედ თურქეთზე მოდის. ზოგს ეიფორია გაუჩნდა, რომ თურქულ იმპორტს, ვთქვათ, აზერბაიჯანული ჩაანაცვლებს, მაგრამ აზერბაიჯანს იმდენი კიტრი და პომიდორი სად აქვს, რომ თურქული იმპორტი ჩაანაცვლოს? ისე, არ მგონია, თურქეთი ჯერ ისეთ მდგომარეობაში იყოს, რომ ჩვენთვის რომელიმე პროდუქტის მოწოდება ვერ განახორციელოს. მოკლედ, ამ მხრივ საშიშროებას ჯერ ვერ ვხედავ.

– თუკი თურქეთში პოლიტ-ეკონომიკური სიტუაცია დაიძაბება, არალეგალი ქართველები საშობლოს ხომ არ მოაწყდებიან?

– თავის დროზე ასეთი მოლოდინი საბერძნეთის კრიზისის დროსაც არსებობდა, მაგრამ ქართველები საბერძნეთიდან რატომ არ გამოიქცნენ?

– თქვენი აზრით, რატომ?

– მართალია, საბერძნეთის კრიზისი მთავრობის შეცვლამდე მივიდა, მაგრამ ჩვენი ხალხი იქიდან არ გამოქცეულა, რადგან ქართველები ძირითადად სოციალურ შემწეობაზე მყოფ მოქალაქეებთან მუშაობენ. სახელმწიფო კი, რაც უნდა მოხდეს, პენსიაზე უარს ვერ იტყვის, თუმცა შესაძლებელია, მშენებლობაზე დასაქმებულებს გაუჭირდათ და სამუშაო დაკარგეს.

– ეკონომიკური კრიზისი სხვა რამეა, თურქეთში კი, სხვა სიტუაციაა – საქმე ტერორიზმს ეხება.

– კი ბატონო, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ არალეგალი ქართველები საშობლოს მასობრივად მოაწყდებიან, რადგან ისინი სტამბოლში ნაკლებად არიან დასაქმებულნი, თან თურქეთში, როგორც წესი, დროებითი სამუშაოებია, ანუ სამუშაოდ თურქეთს ჩვენთვის განსაკუთრებული დატვირთვა არ აქვს.

– ამ კუთხით ქართველებისთვის რომელი ქვეყნებია ხელსაყრელი?

– საბერძნეთი, ევროპა და, რა თქმა უნდა, რუსეთი.

– საერთოდ, ბატონო სოლომონ, ტერორიზმი მსოფლიო ეკონომიკას რა საფრთხეს უქმნის?

– რას და, – ამ რეგიონში ინვესტიციების ჩადებისგან ყველა, ალბათ, თავს შეიკავებს, რაც აგვისტოს ომის დროსაც მოხდა.

– ანუ?

– ერთია, რომ რუსეთმა ტერიტორიები წაგვართვა და მეორეა, რომ აგვისტოს ომით რუსეთმა მსოფლიოს დაანახა, მართალია, ლაპარაკი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანსა და აბრეშუმის გზაზეა, მაგრამ საქართველო ისეთი მიმზიდველი ქვეყანა, როგორც გგონიათ, არააო. დიახ, აგვისტოს ომით რუსეთმა მსოფლიო დააშინა და როგორც კი ჩვენთან საომარი მოქმედება შეიქმნა, თურქეთმა, აზერბაიჯანმა თუ შუა აზიის ქვეყნებმა ალტერნატიული გზების ძიება დაიწყეს. ამიტომაცაა ჩვენთვის ნატო-ს წევრობა მნიშვნელოვანი.

– რუსეთი, თურქეთთან მიმართებაშიც, ამ სცენარით მოქმედებს?

– დიახ, ანუ რუსეთი ცდილობს, ყველგან ასეთი პატარ-პატარა პროვოკაციები მოაწყოს. ჰგონია, რომ მისი რუსერსი ამოუწურავია და იმაზე აღარ ფიქრობს, რომ ყველაფერი ეს ერთხელაც, ბუმერანგივით უკან მიუბრუნდება. საერთოდ, ე.წ. ბრიკის ქვეყნებს – რუსეთს, ბრაზილიას, ინდოეთსა და ჩინეთს სხვა ამბიციები აქვთ და ამბობენ, დიდი რესურსები გვაქვს და მერე, რა, თუკი სანქციებს დაგვიწესებთო. მაგალითად, რუსეთი თვლის, მერე, რა, თუკი ბარელი ნავთობი, ვთქვათ, 40, ან 30 დოლარი გახდება, გაუშვი, გახდესო.

– სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად სწორედ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაიაფება ითვლება.

– დიახ, ამან საბჭოთა კავშირს დაარტყა და გგონიათ, თურქეთისთვის სანქციების დაწესებით, რუსეთი თავად არ დაზარალდება? – დაზარალდება, მაგრამ ამ სანქციებით რუსეთი თურქეთის პოლიტიკაზე ირიბ დარტყმას ცდილობს.

– სახელდობრ?

– ფიქრობს, რომ ყველაფერ ამით მათგან, ვისაც დიდი ფული აქვს, ერდოღანის გარკვეულ ოპოზიციას შექმნის...

– ბატონო სოლომონ, მოდით, ისევ საქართველოს დავუბრუნდეთ: არაეთხელ გითქვამთ, რომ ინვესტიციების წარმომავლობით არ უნდა დავინტერესდეთ, მაგრამ როცა „სოკარი“ განმარტავს, რომ საქართველოს გაზით მომარაგება უპრობლემოდ შეუძლია, ამ ფონზე, „გაზპრომი“ რისთვის გვჭირდება?

– „გაზპრომის“ საქართველოში შემოსვლის პირველი მოწინააღმდეგე მე ვიყავი – ალბათ, გახსოვთ, თავის დროზე მთავარი გაზსადენის შესაძლო გაყიდვას ვაპროტესტებდი და კიდევ კარგი, აშშ-ს მთავრობა ჩაერია, თორემ „ნაციონალების“ მთავრობა, ალბათ, „გაზპრომს“ მიყიდდა.

– დღევანდელი მთავრობაც, როგორც ამბობენ, იგივეს აკეთებს, ოღონდ – ფარული მოლაპარაკებებით.

– ვერ დაგეთანხმებით.

– რატომ?

– ყველაფერი ეს აგორებული ჭორები მგონია, რომლითაც ხელისუფლებას აშინებენ. სწორედ ასე იყო 2002 წელსაც, როცა ერთ-ერთი მსხვილი ევროპული კომპანია „ტელენორი“ ვერ შემოვიყვანე, რომელიც მაშინდელი „ელექტროკავშირის“, ანუ დღევანდელი „სილქნეტის“ ყიდვას აპირებდა.

– რატომ ვერ შემოიყვანეთ?

– იმიტომ, რომ მათ, ვისაც კერძო ინტერესები ჰქონდათ, ერთი ამბავი ატეხეს...

– ამას წინათ, პრემიერის ინიციატივით, „ახალი აბრეშუმის გზის ფორუმი“ გაიმართა, სადაც ითქვა, რომ ჩინელები ანაკლიის პორტით დაინტერესდნენ. არადა, მიშას პრეზიდენტობის დროს, ერთი ამბავი იყო ატეხილი, აი, სააკაშვილმა ქვეყანა ჩინელებს მიჰყიდაო..

– ხალხო, 21-ე საუკუნეა და რაზე ვლაპარაკობთ? ევროპამ ერთიანი სახლი ააშენა – დიდი ბრიტანეთიდან პორტუგალიამდე ისე ჩახვალთ, რომ არავინ გაგაჩერებთ და რომელ ჩინელების მიყიდვაზე ვლაპარაკობთ? დიახ, ჩინელებიც უნდა შემოვიდნენ და ისრაელელებიც...

– კი ბატონო, მაგრამ ეროვნულობას რომ წაგვართმევენ?

– არავინ არაფერს წაგვართმევს! მთავარია, ჩვენს რელიგიას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არ შეეხონ, დანარჩენი, ყველა ინვესტორი უნდა მივიღოთ, რომელსაც სახელმწიფო მონიტორინგს დაუწესებს, ანუ თუ 100 ადამიანი თავისას ჩამოიყვანს, 400 ჩვენი უნდა დაასაქმოს და ამაში ცუდი რა არის?

სხვათა შორის, რუსეთი აბრეშუმის გზის ალტერნატივას ხსნის, რომელიც ყირგიზეთ-ყაზახეთზე გადის...

– ...ერთი წელია, ანტიმონოპოლიური სააგენტო მუშაობს. რეალურად, რამე გააკეთა?

– ნავთობიმპორტიორებთან დაკავშირებით ანალიზი დადო და დააჯარიმა, ჯერჯერობით, მეტი არაფერი გაუკეთებია.

– ანუ, ეს მკვდრადშობილი სამსახურია?

– ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ვერ ამუშავდა, რადგან პოლიტიკური ნება სუსტია და ამას თავის დროზეც ვამბობდი.

– როგორც მახსოვს, ამ სამსახურის ხელმძღვანელად თქვენი კანდიდატურაც განიხილებოდა, არა?

– დიახ... მოკლედ, ეს სამსახური ამ ეტაპზე ვერ მუშაობს, რადგან სეგმენტები კარგად ვერ მოძებნა, ანუ ზოგს ჰგონია, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის, ასე ვთქვათ, ინტერესის სფერო მხოლოდ ნავთობი და ფარმაციაა, მაგრამ არა, ბატონებო! აბა, ნახეთ, საბანკო სექტორში რა ხდება, რომელიც არაპროფილურ ბიზნესს დაეპატრონა – შეიძლება, ბანკები მშენებლობით, სადაზღვევო და უმაღლესი განათლების ბიზნესით იყვნენ დაკავებულნი? ესე იგი, ჩემი კონკურენტი ჩემს ანგარიშებს უყურებს და ამ დროს ეროვნული ბანკის მონიტორინგის სამსახური, ან იგივე ანტიმონოპოლიური სააგენტო რას აკეთებს? აი, რა არის კატასტროფა და ასეთ დროს როგორ შეიძლება, ლაპარაკი კონკურენციულ გარემოზე იყოს? ავიღოთ თუნდაც კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები. ეს უკანასკნელები გარკვეული უპირატესობით სარგებლობენ. არადა, ბაზარზე ორივე – კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელიც თანასწორუფლებიანია. ვფიქრობ, სახელმწიფო დიდ შეცდომას უშვებს, როცა სახელმწიფო კომპანიებს ქმნის, რათა ისინი სახელმწიფოს მოემსახურონ. ამით, სახელმწიფო კერძო სექტორს კლავს. ანტიმონოპოლიურ სამსახურს უფრო მეტი აქტიურობა, პიარი და ხელისუფლებისგან მეტი მხარდაჭერაც სჭირდება.



სოლომონ პავლიაშვილი „ოცნების“ ძლიერ და სუსტ რგოლებს ასახელებს

– იანვრიდან, ბატონო სოლომონ, თამბაქოსა და ალკოჰოლურ ნაწარმზე აქციზი ისევ იზრდება...

– ძალიან ცუდია და ამის წინააღმდეგი ვარ...

– აქციზის გაზრდის ერთ-ერთი საბაბი მწევლთა რიცხვის შემცირებაა...

– ვიცი, ეს აზრად ვისაც მოუვიდა, მაგრამ ადამიანი რომ იტყვის, აქციზის გაზრდით მწეველთა რაოდენობა შემცირდებაო, რაზეა ლაპარაკი?

– დეგენერატიზმია?

– აბსოლუტური ნონსენსია! ვერ ხვდებიან, რომ როცა მაღალი კლასის სიგარეტზე აქციზის გადასახადს გაზრდი, ხალხი წავა და დაბალი კლასის სიგარეტს იყიდის, თან ამით კონტრაბანდაც გაიზრდება. თამბაქოს მოხმარების შემცირებისთვის სხვა საშუალებები არსებობს, მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევის აკრძალვა ისე, როგორც ჩვენთან, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტშია.

– აქციზის გაზრდა ბიუჯეტს დიდ შემოსავალს მისცემს?

– თუ არ ვცდები, 30-40 მილიონს, რაც ზღვაში წვეთია... აქციზის გაზრდა მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული ფულია!

– ბატონო სოლომონ, ქვეყანას, სადაც სოციალურად დაუცველთა სიაში 300 ათასი ადამიანია, სახელმწიფო მოხელეებს მაღალი ჯამაგირი უნდა ჰქონდეთ?

– დიახ, ჩინოვნიკს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს, მაგრამ სახელმწიფო შპს-ში მაღალი ხელფასი არ უნდა იყოს, რადგან ამ საწარმოების უმეტესობა, როგორც წესი, მომგებიანი არაა.

– გვეშველება რამე?

– კი, გვეშველება, რადგან ბევრი პოზიტიური ხდება და ქვეყანა, ასე თუ ისე, წინ მიდის! ხელისუფლების მთავარი სუსტი წერტილი საკადრო პოლიტიკაა. ყოველ შემთხვევაში, კარგი იქნება, რომ სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკაში შედარებით ძლიერი კადრები იყვნენ დასაქმებულნი!

– ბატონო სოლომონ, „ოცნება“ ქართული ეკონომიკის ისტორიაში რითი დარჩება?

– სიმშვიდით, ანუ ბიზნესზე ზეწოლა და კერძო საკუთრების წართმევა აღარ ხდება.

ესაუბრა საბა მეგრელიშვილი

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲘᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

სწავლის საფასური **1200** ლარი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

სწავლის საფასური **1500** ლარი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ), ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘᲗ;

სწავლის საფასური **1500** ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ);

სწავლის საფასური **1500** ლარი.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ — 120 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ (ᲝᲗᲮᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ);

სწავლის საფასური **1500** ლარი (წლიური).

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ:

ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ.

ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ 25 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ.
ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ 28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ: ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲘ, ᲕᲐᲟᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ,

2 ᲤᲝᲢᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ (3X4), ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. 55
ᲢᲔᲚ.: 2960104
tbuniver.edu@gmail.com

14 № 48 (312) 9 – 15 დეკემბერი 2015

ქართული იტუკი

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

„ზურა ტყვიით არის მოკლული!“ – რა დოკუმენტები წაიღო ჟვანიამ, სიკვდილის წინ, აშშ-ში

250 მილიონი დოლარის საიდუმლო – გარდაცვლილი პრემიერის მეგობარი პოლიტიკოსი მარინა შენგელია სკანდალურ კულუარებს იხსენებს

დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი პრემიერის ძმის, გოგლა ჟვანიას განცხადებით, „ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიება ჩიხში არ შესულა, პირიქით, ძალიან საინტერესო დეტალები იკვეთება და საქმის გასახსნელად ინტენსიური მუშაობა გრძელდება“. ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში გოგლა ჟვანია იმასაც ამბობს, რომ აღმოჩნდა ფირი, სადაც ჩანს, რომ პრემიერს დაზიანებები თავის არეში აქვს მიყენებული. ამ კუთხით საინტერესოა ჟვანიას მეგობრის, პოლიტიკოს მარინა შენგელიას რამდენიმე მინიშნება. კერძოდ, ქალბატონი მარინა, რომელთან ინტერვიუს პირველი ნაწილიც „ქართულმა სიტყვამ“ წინა ნომერში შემოგთავაზათ, ეჭვობს, რომ პრემიერი შესაძლოა, ტყვიით მოკლეს. ამასთან, „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ქალბატონი მარინა გამოთქვამს ვერსიას, რომ ჟვანიას მკვლელობა დიდხანს იგეგმებოდა და ამის შესახებ, სავარაუდოდ, დაცვამაც იცოდა. გარდა ამისა, მარინა შენგელია ამბობს, რომ გარდაცვალების წინ, აშშ-ში ვიზიტად მყოფმა ჟვანიამ „რაღაც საბუთები“ დაკარგა. გარდაცვლილი პრემიერის მეგობარი პოლიტიკოსი ეჭვობს, რომ ოკეანისგაღმა ჟვანიამ გარკვეული დოკუმენტაცია წაიღო, რომელიც შესაძლოა, იარაღით უკანონო ვაჭრობას ეხებოდა... მოკლედ, „ქართული სიტყვა“ მარინა შენგელიას ინტერვიუს მეორე ნაწილს წარმოგიდგენთ. ისე, 9 დეკემბერი ზურაბ ჟვანიას დაბადების დღეა...

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №47)

მარინა შენგელია: – პიროვნებებზე ლაპარაკი არ მინდა, მაგრამ ეს უნდა ვთქვა, რადგან ყველამ იცის: ზურა რომ გარდაიცვალა, გია ბარამიძის ცოლმა დამირეკა, რომელთანაც ახლოს არ ვიყავი და მითხრა, შენთან, სოლარიუმში მინდა მოსვლაო. ვუპასუხე, ბორჯომში ვარ და მიდი-მეთქი. არა, ისეთ დროს მოვალ, როცა შენც იქნებიო... მოკლედ, მოვიდა და ასეთი საუბარი დაიწყო, როგორ მეცოდება, ზურას ეს რომ ამოუტივტივდაო... ამის მერე ნინო ქადაგიძე-ჟვანიას ვუთხარი, ეგ შენი დაქალი არაა, დადის და ასეთ რაღაცებს ლაპარაკობს-მეთქი.

– ანუ, ბარამიძის ცოლი ჭორს მიზანმიმართულად ავრცელებდა?

– დიახ...

– ქალბატონო მარინა, როგორც ირკვევა, პრემიერსა და მის ოჯახთან ახლოს იყავით. ოდესმე შეგიმჩნევიათ, რომ ჟვანიას კონსპირაციული ბინა ჰქონდა?

– არა, ეს არ შემიმჩნევია, მაგრამ გამორიცხულია, ზურა საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში ყოფილიყო.

კიდევ ერთ ამბავს გიამბობთ, რომელიც რევოლუციამდე მოხდა: ჩემს არასამთავრობო ორგანიზაციაში ერთი კარგი პიროვნება იყო, გორის ქარხნის დირექტორი, რომელსაც ჩვენი პარტიის გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა უნდოდა.

– უკაცრავად, ეს პიროვნება კონსპირაციულ ბინასთან რა კავშირშია?

– გეტყვით, თუმცა მანამდე ისევ იმ პრესკონფერენციას დავუბრუნდები, ირინა სარიშვილმა თემურ ხაჩიშვილის ციხიდან გამოშვების მერე რომ ჩაატარა. ეს პრესკონფერენცია რომ დაანონსდა, ზურას შევთავაზე, მისულიყო, თან ვუთხარი, ეს მომავალში დაგჭირდება და იტყვი, ოღონდ დიდი ოპოზიციური ერთობა შემდგარიყო და ყველა ძალას ველაპარაკებოდიო. ზურამ დამიჯერა და პრესკონფერენციაზე წავიდა, თუ გახსოვთ, მაშინ კოტე კემულარიასთან შეკამათებაც მოუვიდა... ორი-სამი დღის შემდეგ, ხათუნა გოგორიშვილმა მითხრა, წინააღმდეგი ვიყავი, ზურა ამ პრესკონფერენციაზე რომ მისულიყოო, თუმცა მოვიდა დრო და ჟვანიამ თქვა, ყველა ნაბიჯი გადავდგი, სარიშვილთანაც მივედი, რომ დიდი ოპოზიციური ერთობა შემდგარიყოო.

– ქალბატონო მარინა, ისევ გეკითხებით: ეს კონსპირაციულ ბინასთან რა კავშირშია?

– ამ თემაზე გადავდივარ, ანუ იმის თქმა მინდა, რომ ზურა რაღაცებში მიჯერებდა. მოკლედ, ჩვენი პარტიის რაიონული ორგანიზაციები რომ ფუძნდებოდა, ერთხელ, შუაღამისას, გოკა გაბაშვილმა დამირეკა, იმ ადამიანის ძმისშვილი, ვინც გორში ჩვენი პარტიის ხელმძღვანელად ინიშნება, დაშინების მიზნით, გაიტაცეს და ზურამ გთხოვა, შენს სასტუმროში მიიყვანოო. თუ კონსპირაციული ბინა ჰქონდა, იქ არ მიიყვანდა?

– ვერ გავიგე: გორის ორგანიზაციის სავარაუდო ლიდერის ძმისშვილი ვინ გაიტაცა?

– როგორც ითქვა, მაშინდელმა ხელისუფლებამ...

– თუკი ხელისუფლებამ გაიტაცა, თქვენს სასტუმროში როგორ უნდა მიგეყვანათ?

– როცა დააბრუნეს, ზურას უნდოდა, რომ ერთი ღამე ჩემს სასტუმროში გაეთია და დილით, პარტიის ოფისში მიმეყვანა. მოკლედ, ეს ბავშვი ვნახე, გულმკერდთან გაკაწრული ჰქონდა. ზურამ რომ მკითხა, რას ფიქრობო, ვუპასუხე, ამაზე ჰაი-ჰუის ატეხვა არ ღირს. ეს რაღაც პიარისთვისაა გაკეთებული-მეთქი...

– რაულ უსუპოვი როდიდან გახსოვთ, ქალბატონო მარინა?

– რაულ უსუპოვი ერთი წყნარი ბიჭი იყო, რომელსაც არცთუ ხშირად ვხედავდი...

– ერთი სიტყვით, იზიარებთ ვერსიას, რომ პრემიერი უბედურ შემთხვევას კი არ შეეწირა, არამედ, მოკლეს, არა?

– დიახ, ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული!

– თქვენი ვერსიით, ჟვანია რატომ უნდა მოეკლათ?

– აი, სწორედ ესაა საინტერესო. ვიდრე პრემიერი გახდებოდა, ზურა ჯერ სახელმწიფო მინისტრი იყო, დამიბარა და მითხრა, მარო, მინდა, მცირე და საშუალო ბიზნესის ფონდი გავაკეთო, რომელსაც შენ უხელმძღვანელებო. ვიკითხე, ფონდს ვინ დააფინანსებდა. „იბიარდი“ დაგვპირდაო, თუმცა როგორც მერე გაირკვა, თანხების გამოყოფა ზაფხულამდე გადაწიეს და ამასობაში, პრივატიზაციაც დაიწყებაო.

სხვათა შორის, ზურასთან, კანცელარიაში ხშირად მივდიოდი. ვაშლიჯვარში, როცა თვითონ არ იყო, ზურას ოთახში არასოდეს შევდიოდით. ერთხელ, კანცელარიაში ვარ, ზურა მიშასთანაა ასული და ვხედავ, ბალაგანია – კობა ხარშილაძე ზურას კაბინეტში შედი-გამოდის. ამის შესახებ ზურას ვუთხარი, კაცი სახელმწიფო მინისტრი ხარ და ეს რა ხდება-მეთქი. უსიამოვნო ლაპარაკი კობა ხარშილაძესთან ამაზეც მქონდა, ქალბატონო მარინა, ზურას რატომ უთხარითო. კი არ ვუთხარი, მაინტერესებს, დაცვის უფროსი ხარ და რატომ უშვებ, რომ ვისაც უნდა, შედის და გამოდის-მეთქი. მოკლედ, ისე გააკეთეს, რომ ზურასთან, კანცელარიაში აღარ მივსულიყავი!

– ანუ?

– ზურამ ჯერ ეკონომიკის მინისტრის მოადგილეობა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, ამას სხვა ცოდნა სჭირდება-მეთქი. ვინაიდან ინგლისური კარგად არ ვიცი, ტურიზმის დეპარტამენტის უფროსობაზეც უარი ვთქვი, თუმცა მოადგილეობაზე თანახმა ვიყავი, მაგრამ არც ეს გამოვიდა, ანუ რაკი არსად დამნიშნა, ყველას ეგონა, რომ ზურაზე ნაწყენი უნდა ვყოფილიყავი.

– იყავით?

– არა, რადგან ზურა სხვა ტიპი იყო – იმას კი არ ფიქრობდა, ვალდებულების გამო, ვინმე სად დაენიშნა, არამედ, ისე ფიქრობდა, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და ბოლოს, იცით, სად მნიშნავდა?

– სად?

– ყველაფერს დღეების მიხედვით გეტყვით – პარასკევი, შაბათი, კვირა, ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბთს დაიღუპა.

– სად გნიშნავდათ?

– ზურამ დამირეკა და მითხრა, მარო, სახელმწიფო შპს-ს ვაკეთებთ, პროფკავშირებიდან ქონება მოგვაქვს, ამ შპს-ს დირექტორად გნიშნავთ და ხვალ ბენდუქიძეს შეხვდებიო.

– ამ დროს ბენდუქიძე ეკონომიკის მინისტრია, არა?

– დიახ, ადეიშვილი კი, – გენერალური პროკურორი...

– ბენდუქიძეს შეხვდით?

– დიახ, ნორმალურად შემხვდა. სხვათა შორის, ზურამ ტელეფონზე ისიც მითხრა, ბენდუქიძეს რომ შეხვდები, მერე შენი მოსაზრება მითხარიო. ეს რომ არ ეთქვა, შეიძლება, ეს თემა აღარ განმევითარებინა და პირდაპირ ამ შპს-ს დირექტორად დავმჯდარიყავი.

ერთი სიტყვით, ბენდუქიძემ ეკონომიკის სამინისტროსა და პროფკავშირებს შორის ხელმოწერილი მემორანდუმი მომცა, სადაც, დაახლოებით, 250 მილიონის ქონებაზე იყო ლაპარაკი, ანუ მთელი საქართველოს კურორტებზე, ამის ჩამონათვალი დღესაც მაქვს. სხვათა შორის, ზურასთვის ნათქვამი მქონდა, რომ ჩვენი ეკონომიკის გზა ტურიზმი კი არა, კურორტოლოგიაა, რადგან ტურისტზე მეტ ფულს დასასვენებლად ჩამოსული ხალხი ტოვებს...

ბენდუქიძის მიერ მოცემულ მემორანდუმს გადავხედე და აღმოვაჩინე, რომ სანატორიუმების უმეტესობაში ლტოლვილები ცხოვრობდნენ. იდეა გამიჩნდა, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ამდენი მიტოვებული სოფელია. ჰოდა, ლტოლვილებს, სანატორიუმებიდან გამოსახლების სანაცვლოდ, ფული კი არ მივცეთ, არამედ, ამ სოფლებში დავასახლოთ-მეთქი, თან ქვეყანა ხომ ძლიერ სოფელზე დგას, თუმცა ბენდუქიძე, როგორც გაირკვა, სხვანაირად ხედავდა. ამ იდეის შესახებ ჟვანიასაც ვუთხარი, ზურა, სახელმწიფო შპს გასაგებია და ისიც მესმის, რომ პრივატიზაციის 70 პროცენტი სახელმწიფოსი იქნება, 30 კი – პროფკავშირების, მაგრამ დანარჩენი ქონება განადგურდება. ამიტომ, მოდი, ფონდი გავაკეთოთ, სადაც შემოსავლებიდან ლტოლვილებისთვის რაღაც თანხა შევა და ამ თანხით სოფლებში სახლებს ვუყიდით, თან შევისწავლით, რომელ რეგიონში რა არის განვითარებული. მაგალითად, იმერეთში ტყემალი და დაფნა მოდის, ჩაბარების პუნქტი, ან სახელმწიფო ქარხანა გავხსნათ, სადაც ლტოლვილებს დავასაქმებთ-მეთქი. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილიც ამას აკეთებს, თითქოს მასთან მილაპარაკია...

– ჟვანიასთვის თქვენი იდეა მისაღები აღმოჩნდა?

– იცით, რა მითხრა?

– რა?

– მარო, რა ჭკვიანი ხარ, „სვეცკი“ კი მყავხარ, მაგრამ შენი რენომე ლტოლვილებთანაც გამოდგება და მათი ხმები მომავალში დამჭირდებაო.

– ანუ, ეს საუბარი ჟვანიასთან გარდაცვალების წინა დღეებში გქონდათ?

– არა, 2004 წლის გაზაფხულზე.

– მაშასადამე, 2004 წლის გაზაფხულზე, ჟვანია უკვე დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის დაწყებას ფიქრობდა?

– ასპროცენტიანი! ზურა ოპოზიციაში წასვლას აპირებდა!

– თქვენი აზრით, ამიტომ მოკლეს?

– გამორიცხული არაფერია...

ჟვანიასგან რომ გამოვედი, დათო ტყეშელაშვილმა მკითხა, რაო, რა გითხრაო. ასე და ასე-მეთქი. დათომ გამაფრთხილა, მარო, ეგ სიტყვები არსად გაიმეოროო. ზურა დეკემბერში, ანუ გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე, აშშ-ში იყო. არ მაქვს უფლება, იმ პიროვნების ვინაობა დავასახელო, რომელ-

გაგრძელება მე-15 გვ.

„ზურას გარდაცვალება რომ გავიგე, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, სად წავსულიყავი და კანცელარიაში წავედი. უფრო სწორად, ჯერ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივედი, მაგრამ პროზექტურაში ვერ შევედი და ვიფიქრე, კანცელარიაში მივალ და ვიკითხავ, რას ვშვრებით-თქო. იქ ერთი ადამიანი ვნახე, რომელმაც ჩაილაპარაკა, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემაო. კანცელარიიდან, ზურასთან, სახლში წავედი, სადაც რემა დეიდას, ნინო ქადაგიძისა და ჩემს მეტი არავინ იყო. ხუთ წუთში ნოღაიდელი მოვიდა, რომელსაც ვუთხარი, კოსტავა რომ მოკლეს და ზვიადი სიტუაციას ველარ მართავდა, ახლაც ის დაგვემართა-მეთქი. დამეთანხმა, ზუსტადო“.

ᲮᲘᲠᲮᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

9 – 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 48 (312)

15

ᲛᲘᲡᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ. ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ᲛᲔ-14 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მაც მერე მითხრა, აეროპორტში შევხვდი და ძალიან აფორიაქებული ჩანდა, საბუთები დაკარგაო. როგორც ვიცი, ზურამ აშშ-ში რაღაც მასალები წაიღო.

– რა მასალები?

– არ ვიცი...

– ეს მასალები შეიძლება, სააკაშვილის კომპრომატები ყოფილიყო?

– აზრზე არ ვარ... ზურას ეტყობოდა, რომ ის, რაც ხდებოდა, ძალიან არ მოსწონდა, მაგრამ თანდათან ძლიერდებოდა.

– სახელმწიფო შპს-ს შექმნის ამბავი როგორ დამთავრდა?

– ფონდის იდეა რომ გაიგეს, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად, ერთხელ, ბენდუქიძემ მითხრა, თქვენზეც პრემიერმა მთხოვა და ქოჩლაძეზეცო, რომელიც სინამდვილეში მისი კაცი იყო... მერე, იცით, ეს ვინ წაიღო?

– ვინ?

– მიშას მამამ. ესე იგი, პრემიერის გაგზავნილ ადამიანთან, ანუ ჩემთან ჭიდაობა მიდიოდა. მაშინ ზურას თანაშემწე კახა ბაინდურაშვილი იყო, რომელმაც ერთხელ დამირეკა და მითხრა, ქალბატონო მარინა, შპს-ს დირექტორობაზე მალე დასთანხმდითო, მაგრამ ვუპასუხე, არა, ფულის საჭრელი მანქანის ხელმძღვანელად არ წავალ-მეთქი.

– ქალბატონო მარინა, სულ რა თანხაზე იყო ლაპარაკი?

– როგორც მითხრეს, მთელი ქონება 250 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

– მაშასადამე, ჟვანიას მკვლელობის ერთ-ერთი საბაბი შესაძლოა, ეს 250 მილიონი დოლარი გახდა?

– არა, უფრო დიდი რამ მგონია.

– მაინც, რა?

– ალბათ, უფრო იარაღის ბიზნესი... ზურას გარდაცვალების მერე, ბათუმის პორტიც ხომ უცნაურად გაიყიდა, აეროპორტიც...

– ...ჟვანია ბოლოს როდის ნახეთ?

– აქეთკენ მივდივარ... ბენდუქიძეს ვეუბნები, ლტოლვილები სოფლებში ჩავასახლოთ-მეთქი და მპასუხობს, ქუთაისში, კორპუსები ავაშენოთო. ჯერ ერთი, ვიცოდი, რომ სამშენებლო ფირმა ჰქონდა. მეორეც, თუკი ლტოლვილებს ქალაქში დავასახლებდით, ისევ უმუშევრები დარჩებოდნენ. მე კი იმას ვცდილობდი, რომ ეს ხალხი სოფლისთვის მიმება, რათა თავისი მეურნეობა განევითარებინა, მაგრამ ბენდუქიძეს არ შევეწინააღმდეგე, რადგან ზურასგან დარიგებული ვიყავი, არ გადაიმტეროო.

აი, ზურას ბოლო დღეებამდეც მივედი: ბენდუქიძე რეფორმების სახელმწიფო მინისტრად გადაჰყავს, ეკონომიკის მინისტრად კი, ლექსო ალექსიშვილი ინიშნება. 29 იანვარს, პარასკევს, კახა ბაინდურაშვილი მირეკავს და მეუბნება, ეკონომიკის მინისტრად ლექსო ალექსიშვილი დაინიშნა, რომელიც დაგეკონტაქტებათო.

– დაგეკონტაქტათ?

– დიახ, დამირეკა და მითხრა, პრემიერისგან დავალება მაქვს, რომ უნდა შეგხვდეთ, მაგრამ დავოსში მივფრინავ, საიდანაც ორშაბათს ჩამოვალო. შაბათ-კვირას, ანუ 30-31 იანვარს არაფერი მომხდარა, ორშაბათს, პირველ თებერვალს, ლექსო ალექსიშვილი აეროპორტიდან მირეკავს, ერთ საათში სამინისტროში ვიქნები და თუ შეგიძლიათ, მობრძანდითო. მივედი და ჩემი კონცეფცია გავაცანი. სხვათა შორის, ბენდუქიძე მეუბნებოდა, ადეიშვილი ამბობს, პროფკავშირების ხელმძღვანელი, ირაკლი ტუღუში ქონების გადმოცემაზე თუ არ დაგვთანხმდება, სულ წავართვათო. არ ვიცი, ეს რა თამაში იყო, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ლექსოს ვუთხარი, ამ ეტაპზე, ხელფასი არ მინდა, მთავარია, საქმე დავიწყოთ-მეთქი... იმ საღამოს ლექსო ალექსიშვილი პრემიერს შეხვდა, სამშაბათს ისევ დამირეკა, ისევ შეხვედრა მთხოვა და მითხრა, რომ ფონდის წესდება იუსტიციის სამინისტროში გადააგზავნა, საიდანაც პასუხი ხუთ სამუშაო დღეში მოვიდოდა და ფონდი მუშაობას დაიწყებდა.

– ყველაფერი ეს 2 თებერვალს ხდება?

– დიახ. 3 თებერვალს, ღამე კი, ზურა იღუპება.

„ᲖᲣᲠᲐᲡᲗᲐᲜ, ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲘᲕᲓᲘᲝᲓᲘ. ᲕᲐᲨᲚᲘᲯᲕᲐᲠᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲖᲣᲠᲐᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲨᲔᲕᲓᲘᲝᲓᲘᲗ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲕᲐᲠ, ᲖᲣᲠᲐ ᲛᲘᲨᲐᲡᲗᲐᲜᲐᲐ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ, ᲑᲐᲚᲐᲒᲐᲜᲘᲐ – ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲠᲨᲘᲚᲐᲫᲔ ᲖᲣᲠᲐᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ ᲨᲔᲓᲘ-ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲖᲣᲠᲐᲡ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ, ᲙᲐᲪᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲔᲡ ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲠᲨᲘᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲖᲔᲪ ᲛᲫᲝᲜᲓᲐ, ᲯᲐᲚᲑᲐᲗᲝᲜᲝ ᲛᲐᲠᲘᲜᲐ, ᲖᲣᲠᲐᲡ ᲠᲐᲗᲝᲛ ᲣᲗᲮᲐᲠᲘᲗᲝ. ᲙᲘ ᲐᲠ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ, ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲠᲐᲗᲝᲛ ᲣᲨᲕᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ, ᲨᲔᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲖᲣᲠᲐᲡᲗᲐᲜ, ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲘᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘ!“

– ყველაფერ ამას ჟვანიას გარდაცვალებასთან რა კავშირი აქვს?

– არ ვიცი... უბრალოდ, ის მოგიყევით, რაც იყო...

არ ვამბობ, რომ ზურა ზემოხსენებული 250 მილიონი დოლარისთვის მოკლეს, ეს უფრო პოლიტიკური მკვლელობა იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზურას გარდაცვალებიდან ერთ კვირაში, ეს ქონება ქონების მართვის სააგენტოს გადაეცა და არავინ იცის, სად წავიდა.

ისიც ფაქტია, რომ ლტოლვილები ამ შენობებიდან გამოყარეს...

– ქალბატონო მარინა, ვერსიას, რომ ჟვანია საფერფლის ჩარტყმით მოკლეს, იზიარებთ?

– იცით, რაში ვარ დარწმუნებული? ზურა სახლში მიდიოდა, მაგრამ ზარის გამო, გზიდანაა მიბრუნებული.

– ანუ, უსუპოვმა დაურეკა?

– გამორიცხულია, უსუპოვის ზარის გამო ზურა მიბრუნებულიყო. ეს ზარი ზემოდან იქნებოდა. არ ვიცი, რა საქმეზე მიიყვანეს, მაგრამ ეტყობა, თანხმობა არ მისცა. სხვათა შორის, თავის დროზე ზურა რკინიგზის გაყიდვაზეც წინააღმდეგი წავიდა... მოკლედ, სადაც მიიყვანეს, იქ რაღაც მოხდა და, საერთოდ, მგონია, რომ ტყვიით მოკლეს!

ზურას გარდაცვალება რომ გავიგე, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, სად წავსულიყავი და კანცელარიაში წავედი. უფრო სწორად, ჯერ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივედი, მაგრამ პროზექტურაში ვერ შევედი და ვიფიქრე, კანცელარიაში მივალ და ვიკითხავ, რას ვშვრებით-თქო. იქ ერთი ადამიანი ვნახე, რომელმაც ჩაილაპარაკა, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემაო. კანცელარიიდან, ზურასთან, სახლში წავედი, სადაც რემა დეიდას, ნინო ქადაგიძისა და ჩემს მეტი არავინ იყო. ხუთ წუთში ნოღაიდელი მოვიდა, რომელსაც ვუთხარი, კოსტავა რომ მოკლეს და ზვიადი სიტუაციას ვეღარ მართავდა, ახლაც ის დაგვემართა-მეთქი. დამეთანხმა, ზუსტადო.

– თუნდაც ამ დიალოგის მერე, ნოღაიდელს მორალური უფლება ჰქონდა, რომ ზურას ადგილი დაეკავებინა, ანუ პრემიერი გამხდარიყო?

– მართალი გითხრათ, ეს არ გამკვირვებია, რადგან არსებობს მომენტი, როცა გინდა, რომ სხვისი დაწყებული საქმე გააგრძელო...

მახსოვს, ნინო ოთახში ბოლთას სცემდა და ამბობდა, სამი საათი პროზექტურაში რას უკეთებენო. ზურა რომ მოასვენეს, ტუჩზე ნაჭდევი მეც ვნახე... დარწმუნებული ვარ, ეს ემოციის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა არაა. შეიძლება, გათამაშებულია, რომ თითქოს ემოციის დონეზე მოხდა, მაგრამ ვფიქრობ, დიდხანს იგეგმებოდა, დაწყებული „შეგდებული“ დაცვიდან. მოკლედ, მჯერა, რომ ჩემი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მოკლეს და მინდა, გავიგო, რატომ მოკლეს!

– ქალბატონო მარინა, თქვენი აზრით, „ნაციონალებმა“ ჟვანიას საქმე რატომ არ დახურეს, ან „ოცნებამ“, სამ წელიწადში, ხელჩასაჭიდი, რომელიც მკვლელობის ვერსიას გაამყარებს, რატომ ვერაფერი დადო?

– მეც მაინტერესებს, „ნაციონალებმა“ საქმე რატომ არ დახურეს...

– ქალბატონო მარინა, ხათუნა გოგორიშვილთან, მიხეილ მაჭავარიანსა და სხვებთან, ვინც ე.წ. ჟვანიას გუნდიდან „ნაცმოძრაობაში“ დაპორტირდნენ, კონტაქტი ბოლოს როდის გქონდათ?

– 2007 წლის გამოსვლები რომ იყო, რა თქმა უნდა, ოპოზიციურად განწყობილი ვიყავი. ხათუნა გოგორიშვილმა რემა დეიდას გვერდით ბინა იყიდა, მასთან ვიყავი და ვკითხე, ხათუნა, ჩემი აზრით, ზურა მოკლეს და შენ რას ფიქრობ-მეთქი. მიპასუხა, მოკლეს, აბა, რაო.

– ერთი სიტყვით, ქალბატონო მარინა, თქვენი ვერსიით, ჟვანია ტყვიით მოკლეს, არა?

– მაინც, ასე მგონია.

– მერე, ნატყვიარი სადმე ხომ უნდა ჰქონოდა?

– რა იცით, რომ არ აქვს?! ტრეპანაცია ჰქონდა გაკეთებული. მართალია, ექსპერტი არ ვარ, მაგრამ ტრეპანაცია რატომ გაუკეთეს?

– თუკი პრემიერი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა, როგორ ფიქრობთ, მკვლელობაში რამდენი ადამიანი მონაწილეობდა?

– ვფიქრობ, დაცვის გაკეთებული არაა. დაცვამ, უბრალოდ, იცოდა.

– ანუ, დაცვას არ მოუკლავს?

– არ მგონია, შემსრულებული დაცვა ყოფილიყო...

იცით, ერთხელ რა მოხდა? – გაგარინის მოედანზე, შემთხვევით, ძაძამიას შევხვდი და რომ დამინახა, ყველაფერს გეფიცებით, სასტუმრო „სიმპათიასთან“ შესახვევში შევარდა...

– ქალბატონო მარინა, მართალია, შევთანხმდით, რომ ამ თემაზე არ გვესაუბრა, მაგრამ უნდა გკითხოთ: პრემიერის გარდაცვალებიდან თითქმის სამი წლის განმავლობაში, ნინო ბურჯანაძე ქვეყნის მეორე პირი იყო. როცა მის პარტიაში მიხვედით, არ დაინტერესდით, ჟვანიას გარდაცვალების შესახებ მიშასთვის რამე უკითხავს თუ არა? ისე, თქვენ, ზურას მეგობარს, გქონდათ მორალური უფლება, მისულიყავით ნინო ბურჯანაძესთან, რომელმაც პრემიერის გარდაცვალების შემოთავაზებული ვერსია გაიზიარა. ყოველ შემთხვევაში, არ გააპროტესტა?

– ნინო ბურჯანაძემ განცხადება მაშინ გააკეთა, როცა მასთან ვიყავი.

– ამ დროს ბურჯანაძე უკვე ოპოზიციაში იყო, მე კი, იმ დროზე გელაპარაკებით, როცა პარლამენტს მართავდა... არადა, ბურჯანაძე პოლიტიკოსი სწორედ ჟვანიამ გახადა...

– ნამდვილად... ისე, რა უცნაურია, ნინოსთვის ზურას მკვლელობაზე არაფერი მიკითხავს...

– ბოლოს, ქალბატონო მარინა, თუკი „ოცნების“ გამოძიება ჟვანიას საქმეზე ახალს ვერაფერს იტყვის და დაადგენს, რომ პრემიერი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, როგორი რეაქცია გექნებათ?

– ვიტყვი, ეხ, ზურა! ამ „ეხ“-ში ბევრი რამ იქნება ნაგულისხმევი.

იცით, უბედური შემთხვევის რატომ არ მჯერა? – ერთხელ, მის ოთახში მე და ზურა ვისხედით, საფერფლე სავსე იყო და ავიღე. მკითხა, რას შვრებიო. უნდა გადავყარო-მეთქი. უნიტაზში ჩაყარე და წყალი ჩაუშვიო. ეტყობა, იცოდა, რომ ნამწვავები არ უნდა დაეტოვებინა. ესეც რომ არა, ზურას კომფორტი უყვარდა და რომც სდომებოდა, საბურთალოს ქუჩის ბინას არ იქირავებდა. ჩემი აზრით, ეს სახლი იმიტომ იქირავეს, რომ გვამები მიეტანათ...

„ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲜᲘᲜᲝ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲑᲝᲚᲗᲐᲡ ᲡᲪᲔᲛᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲞᲠᲝᲖᲔᲥᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲠᲐᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜᲝ. ᲖᲣᲠᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲐᲡᲕᲔᲜᲔᲡ, ᲢᲣᲩᲖᲔ ᲜᲐᲭᲓᲔᲕᲘ ᲛᲔᲪ ᲕᲜᲐᲮᲔ... ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲔᲡ ᲔᲛᲝᲪᲘᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐ�გᲖᲔ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲐ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲔᲛᲝᲪᲘᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲝᲓᲐ, ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ „ᲨᲔᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲓᲐᲪᲕᲘᲓᲐᲜ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲛᲯᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲕᲘ�გᲝ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ!“

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

16 | № 48 (312) | 9 – 15 დეკემბერი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲞᲠᲔᲡᲑᲚᲝᲒᲘ

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲐᲛᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲛᲔᲭᲘᲐᲣᲠᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲡ

ᲑᲝᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲙᲚᲐᲡᲘ

ზარზეიმით გვამცნეს, რომ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით რამდენიმე პირი ისევ დააკავეს. პროსტიტუცია, ანუ მეძავობა, ანუ ხალხურად რომ ვთქვათ, ბოზობა, ნამდვილად ვერაა საამაყო საქმე, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ერთი კარგად გამაგებინეთ, ამ ქვეყანაში ესაა პრობლემა? რას მიშავებს ან მე ან სხვას ის ბოზი, ან ის, ვინც იმ ბოზს ამ საქმიანობისთვის ადგილს უთმობს? სხვა ყველაფერი დალაგდა და გაწკრიალდა ამ ქვეყანაში? აღარც ქურდობაა, აღარც ყაჩაღობა და აღარც ხოცვა-ჟლეტვა შუაგულ თბილისში? თუ როგორაა ამ ქვეყნის საქმე, როგორც ერთმა ფრენდმა იხუმრა „ფეისბუქზე“, ქურდებს სიცოცხლე, ბოზებს სიკვდილი, ამას აწვებით მართლა?

როგორ გგონიათ, რიგით მოქალაქეს რა უფრო აღელვებს – ბათუმში ვიღაც კალთამადლიანი „მადლს“ ფულზე რომ ახურდავებს თუ ის, თვითონ როგორ ახურდავებს ლარს დოლარზე, ან პირიქით? ან რა უფრო უქმნის მის უსაფრთხოებას საფრთხეს: ვიღაც სადღაც რომ კოტრიალობს თუ ის, ქუჩაში რომ ლეგიონი დადის ამნისტიით გამოშვებული კრიმინალების?

როგორ გგონიათ, საზოგადოება ტაშის გრიალით შეეგებება მაგ თქვენს ქმედებას, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემისთვის რომ ვიღაცას იჭერთ და ამაზე ხარჯავთ დროს და ენერგიას და ეს მაშინ, როცა აგერ, ვარკეთილში, 30 ნოემბერს ღამით რომ ყაჩაღი შევარდა, ბათქა-ბუთქი რომ ატეხა 250 ლარისთვის, დაცვის თანამშრომელი რომ დაჭრა და მოლარეს ალალბედზე ასცდა? გამოხვალთ და მოგვახსენებთ, კი, მაგრამ ის ყაჩაღი ხომ დავაკავეთო? კი, დაკავეთ, წარსულში ნასამართლევი პირი. ნამდვილად დაკავეთ, მაგრამ იმაზე ვინაა პასუხისმგებელი, ამ ქალაქში რომ არხეინად დადიან ყაჩაღები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით? თუ, მაინც და მაინც, „პულიმიოტი“ უნდა მოიკიდონ ზურგზე, რომ ბოზებს დევნას შეეშვათ და მათ მიხედოთ?

ნიკორას და წიქარას ვინ ჩივის, ბანკი არ დარჩა საქართველოში, დღისით, მზისით რომ არ დაეყაჩაღებინათ და უკაცრავად, ბოზებისთვის გცხელათ? სანამ 250 ლარიდან 25-ზე არ ჩამოვლენ და 25 ლარის გულისთვის არ დაიწყებენ ჩვენ ხოცვას, მანამ ყურებს არ გამოიბარტყუნებთ? თუ ყველაფერ ამას მედია იგონებს? ან ამ ბოზების დევნის მასტერკლასი ვინ გაგატარათ, ირაკლი ოქრუაშვილმა, გორში რომ შეუვარდა ბოზებს? ან იმისმა შევარდნებმა რა სარგებელი მოგვიტანა, ან თქვენი შევარდნები რას მოგვიტანს, ამ უძველეს პროფესიაზე ვინმე ხელს აიღებს?

ანდა, უკაცრავად, ამ ქვეყანაში პროსტიტუცია ლეგალიზებულია და ისინი მაინც არალეგალობენ და ამიტომ უნდა დაისაჯონ? როგორ გგონიათ, იმ ბოზებს „ისკრის“ გამოცემა უნდათ არალეგალურად? ან ვინც დაიჭირეთ, რა ფართი გადასცა მაგათ? – დისკოკლუბებისა და სასტუმროების. ისე შემოიხიეთ ტანზე, გეგონება მამა-პაპათა საფიცარი წმინდა ადგილები შებილწა ვინმემ...

ან ასე გავეშებული რომ ებრძვით ბოზობას, იმ ბოზებს შესთავაზეთ იმ 134 ქარხანაში მუშაობა და უარი თქვეს, ბოზობა გვირჩევნიაო? მოკლედ, მაგათ დევნას იქნებ, ჯობდეს, იმას მიხედოთ, ადამიანს რომ ქუჩაში მანქანა ვეღარ დაუტოვებია, გაქურდული რომ არ დახვდეს?!

ბოზების დევნას ნამდვილად ჯობს ის სიახლე, რომელიც დააანონსეს ფარულ პატრულირებასთან დაკავშირებით. ერთი შეხედვით, მართლაც, რა აქვს დასაწუნი ამ ინიციატივას. მართლაც, ყველამ იცის, სად დგას კამერა და იქ ერიდება დარღვევას, ხედავს პატრულის ციმციმა ეკიპაჟს და ერიდება. სხვაგან? გიყვარდეს ისე არღვევს, როგორც დაგიბარებია... ჰოდა, დაარღვევს ამის მერეც... რა აქვს, იცით, ამ ინიციატივას დასაწუნი? – როგორც ადრე იტყოდნენ, „კაპიროვკითაა“ გადმოღებული და როგორც ახლა იტყვიან, „ქოპიპეისტით“. საიდან? – რუსეთიდან. მოსკოვში, წინა თვეში, შემოიღეს ეს სიახლე – ყოველდღიურად 30 ფარული ეკიპაჟი პატრულირებს მოსკოვში და მომავალ წელს კი, მთელი რუსეთის მასშტაბით აპირებენ ამ სიახლის დანერგვას.

ნარმანიას მილიონი ხისა არ იყოს, პირდაპირ რუსული პროექტი რომ იყო გადმოღებული, სულ ოდნავ მაინც არ გიქმნით ეს უხერხულობას? თუ ქვეყნის საგარეო ორიენტაციის ამბავში არა, პლაგიატის ამბავში მაინც? ახლა, ვერც იმას მეტყვით, რომ მოსკოვში ამ წამოწყებამ არნახულად გაამართლა და ამიტომაც გაიზიარეთ გამოცდილება. რომელ გამოცდილებაზეა ლაპარაკი, როცა ჯერ ერთი თვის დანერგილიც არაა ეს სიახლე იქ? ასეთი რა შედეგი დადეს ასე უცებ, რომ „ცამპა-ცუმპით“ გადმოღებაც მოასწარით, დაანონსებაც და ცხოვრებაში გატარებაც?

და კიდევ, რადარების აქეთ-იქით ტარებას რომ აპირებთ, აქაოდა, იციან და ერიდებიანო. ერთი კარგი რჩევა მაქვს და მინდა, გაგიზიაროთ: ეგება, ბანკებიც ბორბლებზე შესვათ და აქეთ-იქით ატაროთ?! ქურდებმა და მამაძაღლებმა რომ არ იცოდნენ, სადაა და ვეღარ დააყაჩაღონ?!

მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციას ხომ კრძალავთ, რაც მთავარია. მრეწველობამ ვერ გადაგვარჩინა და ეს გადაგვარჩენს. ხომ გვაყვედრით კიდეც, თქვენი გულისთვის, თქვენი უსაფრთხოებისთვისო... ზრდილობის გულისთვის მაინც დაგედოთ სტატისტიკა და ისე დაგებრახუნებინათ, რომ მარჯვენასაჭიანი მანქანა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. თუ მართო იმიტომ უნდა ვერიდოთ მარჯვენასაჭიანებს, რაკი, თალაკვაძემ არ იყიდა მაშინაც კი, როცა ფული არ ჰყოფნიდა? თალაკვაძე როდის აქეთ გახდა ყველასათვის მისაბაძი მაგალითი? მას შემდეგ, რაც ეს „რებუსი“ „გვდრუზა“: „უნდა ვუყიდოთ თუ არა ცოლებს, ქმრებს და შვილებს მარჯვენასაჭიანი ავტომობილი, როცა ჩვენ მარცხენასაჭიანს ვარჩევთ ჩვენთვის?“.

ვის ოჯახებში აგდებს „ჩორტებს“, რა გამოდის – ქმრები კარგს, ანუ მარცხენასაჭიანს ყიდულობენ თავისთვის და ცოლშვილისთვის – ცუდს, აი, ისეთს ერთ მშვენიერ დღეს რომ დაგვაქვრივებს და უშვილძირად დაგვტოვებს? თუ მე გავიგე რამე არასწორად? მომავალზე საუბრობს, ანუ? და რა იცის, რომ ვინმე თავისთვის მარცხენასაჭიანს ყიდულობს, ან იყიდის და არა – მარჯვენასაჭიანს? რა სტატისტიკას ეფუძნება ამათი დასკვნები? და მთავარი: თუ ეს მარჯვენასაჭიანი ავტომობილები ასეთი მავნეა, რატომ კრძალავენ მარტო რეგისტრაციას და რატომ არ ეხებიან მათ, ვისაც უკვე ჰყავთ ასეთი მანქანები? მათი გული და მათი უსაფრთხოება საჭეზე „ბრელოკად“ ჰკიდიათ?

პრობლემა რამე სიახლეში, ან რამე აკრძალვაში კი არაა, პრობლემა იმაშია, რომ ხელისუფლება ხალხისთვის ცხოვრების გაიოლების ნაცვლად, გართულებას რომ ცდილობს, თანაც მაშინ, როცა უნიათობის გამო, ხალხს რომ ისედაც სული გაძრომაზე აქვს და თავის რჩენა თავის ტკივილად აქვს ნაქცევი. ნოემბრის თვეში ინფლაციამ რეკორდულ მაჩვენებელს – 6,3%-ს მიაღწია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინფორმაციით, 2016 წლის დასაწყისში ინფლაცია პიკს – 7%-ს მიაღწევს და კიდევ უფრო გაიზრდება ისედაც გაზრდილი ფასები სამომხმარებლო პროდუქტზე. ნოემბრის მონაცემებით, ჯანდაცვა 11,5%-ითაა გაძვირებული, სამედიცინო პროდუქცია – 28%-ით, იტყვი ამას და გუგულა ძალო გეტყვის, რა დროს ავადმყოფობაა, ჯანზე უნდა იყოო. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი 1,8%-ითაა გაძვირებული, მაგრამ რა გინდა, გუგულა ძალო გეტყვის, გადაქექეთ გარდერობი, რა დროს ახლის შეძენააო, სურსათი და უალკოჰოლო სასმელები 5,2%-ითაა გაძვირებული, გუგულა ძალო გეტყვის, მერე რა, სალათის ფოთოლი იაფია და ამ ბაზარში როდის უნდა იაროთ, რითი ვერ ისწავლეთო? ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო 13,4%-ითაა გაძვირებული და გუგულა ძალო მოგაწყევლის, ძაანაც კარგი, თუ არ იყიდით, ვეღარ მოსწევთ, მავნეაო.

გუგულა ძალოს მინდა, ვკითხო: აი, სალათის ფოთოლი ყოფილა ძალიან იაფი – კონა 10 თეთრი და სალათის ფოთოლი რომ მოვწიოთ, თამბაქოს ფოთლის მაგიერ? გვარგებს? ავეჯი, საოჯახო ნივთები და სახლის მოვლა 12,9%-ითაა გაძვირებული და რა ვქნათ, გუგულა ძალო, ძველი „სტენკა“ გადავდგათ? თვალი მოვატყუოთ? ეგ კარგი, მაგრამ მუცელი რითი მოვატყუოთ? ისევ სალათის ფურცლებით? აი, ახალი წლის სუფრაზე როგორ მოვიქცეთ, გოჭის მაგიერ ჩვენ ჩავიდოთ ბოლოკი პირში? ეგ არაფერი, რაც მთავარია თქვენ ხომ გვეყოლებით მაძღრისად? ჩვენ ეგეც გვეყოფა. გავიხსენებთ, რომ ხადური ქონდრიან ციკანს აგლეჯს ბარკალს, თქვენ ბაზარში იაფობაზე ნაყიდ ინდაურს მიირთმევთ ბაჟეში ჩადებულს, გავიხსენებთ და დავნაყრდებით. ამომრჩეველს ის ჰიპოთეტიური ბარკალიც ეყოფა, აი, მიშა რომ აგლეჯდა ყოველ დედალს და 2012 წლის შემდეგ რომ კუთვნილ პატრონს – მოსახლეობას დაუბრუნდა...

ინფლაცია გვხრავს, მეჭიაური კი, დამდგარა და ხელს ეროვნული ბანკისკენ იშვერს, ინფლაციაზე პასუხისმგებელი ეროვნული ბანკიაო. ეს მეჭიაური ყველაფერზე ხელს ეროვნული ბანკისკენ და გიორგი ქადაგიძისკენ იშვერს და ბარემ, თავისუფლების მოედანზე, იქ სადაც ოდესღაც ხელგაშვერილი ლენინის ძეგლი იდგა, მეჭიაურის ძეგლი დავდგათ და ლენინივით ხელი ეროვნული ბანკისკენ გავაშვერინოთ...

გუგულა ძალოს ძეგლი კი, ფილარმონიასთან უნდა დაიდგას, მუზის ადგილას, იგივე კომპოზიციით. თუ ბიუჯეტს უჭირს, არსებული ძეგლის გადაკეთებაც შეიძლება, ამ ძეგლის მთავარი ფუნქცია უნდა იყოს: გვამცნოს, როდის უნდა წავიდეთ ბაზარში, აი, ზუსტად ისე, როგორც მიშა ცაგარელი გვამცნობს ხოლმე, როდისაა პოზიტიური და როდის ნეგატიური დღე....

„ᲑᲝᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲯᲝᲑᲡ ᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲐᲐᲜᲝᲜᲡᲔᲡ ᲤᲐᲠᲣᲚ ᲞᲐᲢᲠᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ. ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲣᲜᲘ ᲐᲛ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ, ᲡᲐᲓ ᲓᲒᲐᲡ ᲙᲐᲛᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲥ ᲔᲠᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲡ, ᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲞᲐᲢᲠᲣᲚᲘᲡ ᲪᲘᲛᲪᲘᲛᲐ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲘᲓᲔᲑᲐ. ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ? ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲘᲡᲔ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲒᲘᲑᲐᲠᲔᲑᲘᲐ... ᲰᲝᲓᲐ, ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲪ... ᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲘᲪᲘᲗ, ᲐᲛ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲣᲜᲘ? – ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲘᲢᲧᲝᲓᲜᲔᲜ, „ᲙᲐᲞᲘᲠᲝᲕᲙᲘᲗᲐᲐ“ ᲒᲐᲓᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ, „ᲥᲝᲞᲘᲞᲔᲘᲡᲢᲘᲗ“. ᲡᲐᲘᲓᲐᲜ? – ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲬᲘᲜᲐ ᲗᲕᲔᲨᲘ, ᲨᲔᲛᲝᲘᲦᲔᲡ ᲔᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ – ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ 30 ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘ ᲞᲐᲢᲠᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲙᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲡᲘᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ.“

ᲠᲔᲖᲝ ᲨᲐᲢᲐᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

9 – 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 48 (312)

17

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲝᲗᲔᲚᲝ

ჯერ კიდევ 1925 წელს გაისმა რუსთაველის თეატრის სცენიდან: „ცუდ ამბებს ვხედავ, კვლავაც უნდა ცუდს მოველოდეთ“... ჰამლეტის ავბედითი წინასწარმეტყველება ახდა – ქვეყანა ტერორში ჩაიძირა: ახმეტელი დახვრიტეს, მისი ბოლო სპექტაკლი რუსთაველის თეატრში 1934 წელს წარმოდგენილი შკვარინის „ნაბიჭვარი“ იყო, ქვეყანა ნაბიჭვრებს დარჩათ – სისხლისმსმელ ბოლშევიკებს. თეატრი ახმეტელის გარეშე აგრძელებდა ცხოვრებას. სწორედ იმ სისხლიანი 1937 წლის 1 ოქტომბერს შედგა პრემიერა სპექტაკლისა, რომელმაც ახმეტელის სახელგანთქმული სპექტაკლების შემდეგ, ყველაზე დიდი წარმატება მოუტანა არა მარტო რუსთაველის თეატრს, საერთოდ, ქართულ თეატრალურ ხელოვნებას და სწორედ ამ სპექტაკლმა აქცია მანამდე დიდ მსახიობებად აღიარებული ხორავა და ვასაძე გენიალურ მსახიობებად. ორივე აკაკის – ხორავასაც და ვასაძესაც მანამდეც და მას შემდეგაც არაერთი ბრწყინვალე როლი აქვს განსახიერებული, მაგრამ მათ თავიანთი შემოქმედების მწვერვალს სწორედ აქ, ამ სპექტაკლში, „ოტელოში“ მიაღწიეს: ხორავამ ოტელოს და ვასაძემ იაგოს განსახიერებით.

როგორც ქართული თეატრის ჟამთაღმწერელი ვასილ კიკნაძე დაწერს, „ოტელოში“ მიღწეულ იქნა ისეთი დონე, რომელმაც ერთგვარი სტაბილური ხასიათი შესძინა თეატრის წარმატებებს: „უფრო სწორედ, თეატრს ჩავარდნებსაც პატიობდნენ. იმდენად იმძლავრა თეატრის პოლიტიკურმა ავტორიტეტმა, რომ იგი არსებითად კრიტიკის გარეშე დარჩა. რუსთაველის თეატრის სპექტაკლებზე 50-იან წლებამდე კრიტიკულ წერილებს აღარავინ წერდა...“

თუმცა, როგორც ირკვევა, ეს ტრიუმფი პრემიერისთანავე არ მოსულა, სპექტაკლმა თანდათანობით გაიარა სრულყოფის გრძელი გზა. როგორც აკაკი ვასაძის მოგონებებიდან ირკვევა, სპექტაკლი, პრემიერის შემდეგ, წლების განმავლობაში, განიცდიდა ცვლილებებს, სწორდებოდა და იცვლებოდა ცალკეული დეტალები მსახიობთა შესრულებაში, იხვეწებოდა მიზანსცენები, როლები, მთლიანად სპექტაკლი...

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი შოთა აღსაბაძე იყო, მისი კონცეფციით, „ოტელო“ უნდა განესახიერებინათ არა როგორც ეჭვიანობის, არამედ, როგორც გაცრუებული ნდობის ტრაგედია. რეჟისორის მტკიცებით, ეჭვიანობა და უნდობლობა მხოლოდ იაგოს ახასიათებს, ოტელო კი, თავისი ბუნებით, არა ეჭვიანი, არამედ, პირიქით, მიმნდობია, მისი ადამიანებისადმი ნდობა გულუბრყვილობისგან კი არ მომდინარეობს, არამედ, ოცნებიანი დამოკიდებულებისგან.

ასეთი იყო რეჟისორის პოზიცია სპექტაკლზე მუშაობის დაწყებისას და რეჟისორის ამ კონცეფციაში ახალი და მოულოდნელი არაფერი იყო. პუშკინის მიერ „თაბლეთალკ“-ში გამოთქმული შენიშვნა – **«Отелло от природы не ревнив, он доверчив»** – ოტელოს სახის ინტერპრეტაციისას სახელმძღვანელო დებულებად იქცა რუსი შექსპიროლოგების, რეჟისორებისა და მსახიობებისათვის. როგორც ნოდარ გურაბანიძე აღნიშნავს, პუშკინის მოსაზრების ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად აღიარებას დიდად შეუწყო ხელი დოსტოევსკის პოზიციამაც, რომელმაც პუშკინის სწორედ ამ შენიშვნაზე განაცხადა: „მხოლოდ ერთი შენიშვნაც ადასტურებს ჩვენი დიდი პოეტის გონების სიღრმეს“.

მოკლედ, თქვა პუშკინმა შენიშვნა, გაიზიარა დოსტოევსკიმ და „დადგინდა“, რომ ოტელო ეჭვიანი კი არა, მიმნდობია...

„რასაკვირველია, პუშკინის ეს მოსაზრება არაა მოკლებული ჭეშმარიტებას, მაგრამ თუ კრიტიკულად შევხედავთ პოეტის (ან მის კვალად, ჩვენი რეჟისორის) მოსაზრებას, აღმოჩნდება, რომ ნდობა და ეჭვი ამ გმირის ხასიათში თანაბრად ერწყმის“, – აღნიშნავს ნოდარ გურაბანიძე. ცნობილი შესქპიროლოგი ა. ბარტოშევიჩიც წერდა, რომ რუსი მსახიობები ყოველთვის იმდენად დაბრმავებულნი და შთაგონებულნი იყვნენ პუშკინის ფორმულით – „ოტელო ეჭვიანი კი არაა, არამედ, მიმნდობია“, რომ ვერ ამჩნევდნენ პიესის ტექსტის აბსურდულობას. „მათი ოტელო ლამაზად და მაღალფარდოვნად უნდა იტანჯებოდეს, ტექსტი კი ბოდვაა აღგზნებული წარმოსახვისა: „უნდა გამოტყდეს და ამის სამაგიეროდ ჩამოახრჩოს... ჯერ ჩამოახრჩოს და მერე გამოტყდეს...“ – ეს სისხლიანი ფარსია, პირქუში გროტესკია“... ნოდარ გურაბანიძეც ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დოსტოევსკისთვის წარმოუდგენელია წმინდა, ამაღლებული გრძნობის ადამიანი, თავდავიწყებით შეყვარებული მალვით უთვალთვალებდეს საყვარელ ადამიანს, მაგიდის ქვეშ მიმალული უსმენდეს მის ლაპარაკს, მაგრამ... „დავუშვათ, რომ ეს ასეა, მაშინ რა ვუყოთ ამ ტრაგედიის დამდგმელთათვის მარადიულ პრობლემად ქცეულ იმ სცენას, როცა დამალული ოტელო უსმენს იაგოსა და კასიოს საუბარს, რომელიც დეზდემონას ეხება? ეს სცენა ხომ სავსებით შეუფერებელია „მაღალი ტრაგედიისთვის“ და უფრო ბუნებრივია ფარსულ-კომიკური ჟანრის ნაწარმოებისათვის“, – წერს გურაბანიძე...

აკაკი ხორავამ და აკაკი ვასაძემ გაიზიარეს რეჟისორის კონცეფცია, მაგრამ მუშაობის პროცესში ეს კონცეფცია იმდენი ნიუანსითა და დეტალით გამდიდრდა, იმდენი ქვეტექსტით, მინიშნებით, მეტაფორით შეივსო, რომ მთლიანად მოიცვა ტრაგედიის სამყარო.

როგორც აკაკი ვასაძე წერს, „აკაკი ხორავას კონცეფციის მიხედვით, ოტელო მავრი იყო წარმოშობით, მაგრამ სულიერად უკვე შერწყმული მისი დროის ევროპულ ცივილიზაციას და კულტურას, არაფერი ეგზოტიკური არ უნდა ყოფილიყო აკაკი ხორავას ოტელოს სახეში, ერთადერთი, რაც მას აკავშირებს წარსულთან, ეს არის დედის სახსოვარი ნაქარგი ხელსახოცი, რომელიც მისთვის ოჯახურ რელიქვიას წარმოადგენს და თვალისჩინივით უფრთხილდება“.

როგორც ნოდარ გურაბანიძე აღნიშნავს, ოტელოს ჩაცმულობაც დიდი გემოვნებით გამოირჩეოდა და ცივილიზაციის ნიშნით იყო აღბეჭდილი, არაფერი იყო მის ჩაცმულობაში მავრიტანული, ან ეგზოტიკური, განსხვავებით ლოურენს ოლივიეს ოტელოსგან, რომელსაც შიშველ ტანზე თეთრი კვართი ჰქონდა მოსხმული და ფეხშიშველა გამოდიოდა სცენაზე – იგი მავრი, ანუ ძველი და ორიგინალური კულტურის წიაღში აღზრდილი კი არ იყო, არამედ, ზანგი, ანუ ნახევრად ველური ტომის შვილი, ამიტომ უფრო მონოლითური და გაუბზარავი...

თავად აკაკი ვასაძე იაგოს სახის გააზრებისას და განსხეულებისას ცდილობდა არ განესახიერებინა იაგო, როგორც მხოლოდ აბსოლუტურად ბოროტების ნიღაბი, რომელსაც ადამიანის არა სცხია რა: „პირიქით, მე იაგოს მრავალი ადამიანური ფერი დავუტოვე და დავუმატე კიდეც ისეთი, რომელიც დრამატურგს არ მოუცია. ასეთი იყო ჩემი „სიმღერა კასრებთან მონოლოგის შემდეგ...“

რეჟისორისა და ამ ორი გენიალური მსახიობის კონცეფცია არსებითად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, თავს იყრიდა ძირითადი კონფლიქტის ირგვლივ და გახდა საწინდარი დიდი წარმატების.

შთაბეჭდილება მაყურებელზე, როგორც თანამედროვენი იხსენებენ, იყო თავზარდამცემი...

„როცა ხორავა იტყოდა: „ის მირჩევნია, ჯოჯო ვიყო და დავფოფხავდე ბნელის ჯურღმულში, ვიდრე მცირედი წილი ჩაუდო ჩემ საყვარელ საგანში ვისმეს“, – ნამდვილი ვეფხვის მძვინვარება იპყრობდა. ისეთი ხმით წარმოთქვამდა, რომ შეუძლებელია, უნებლიე შიში და ძრწოლა არ გაგჯდომოდა ძვალ-რბილში“, – იგონებდა აკაკი ვასაძე...

აკაკი ხორავასთვის ეს პირველი შეხვედრა არ იყო შექსპირის ოტელოსთან, 1923 წელს დადგმულ „ოტელოში“ ჯერ კვიპროსელი ოფიცრის როლს ანსახიერებდა, შემდეგ – პირველი სენატორისას. „მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ის პირხმელი, მაღალი ოფიცერი თუ სენატორი, 14 წლის შემდეგ მსოფლიო შექსპირიანის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ოტელო იქნებოდა“, – წერს ვასილ კიკნაძე.

1956 წელს, რუსთაველის თეატრში „ოტელოს“ მეოთხასე წარმოდგენა იდღესასწაულეს, 1937-დან 1956 წლამდე 400-ჯერ წარმოადგინეს „ოტელო“ რუსთაველის თეატრის სცენაზე...

სპექტაკლი 10 წლის განმავლობაში იხვეწებოდა და მოსკოვში გასტროლების დროს, მართლაც, მიაღწია მწვერვალს...

როგორც დიდი მაესტრო თუმანიშვილი გაიხსენებს, პირველი და მეორე მოქმედება საკმაოდ უფერულად და მოსაწყენად წარმართულა, მაყურებელი ზრდილობის გულისთვის უკრავდა ტაშს.

„და უეცრად, მესამე მოქმედებაში, იაგოსა და ოტელოს დიალოგის დროს, სპექტაკლში რაღაც მოხდა. თეატრის უზარმაზარი დარბაზი დაიძაბა, გაირინდა, ერთ მთლიან, ასთვალიან, ასყურიან, ასსულიან არსებად იქცა. მაყურებელი იწოვდა, ნთქავდა ყოველივეს, რაც სცენაზე ორი მსახიობის ორთაბრძოლაში ხდებოდა. სცენაზე კი, ამ დროს სასწაული მოხდა! აქტიორული შემოქმედების მომნუსხველი, მომაჯადოებელი, დამატყვევებელი სასწაული! სცენაზე წარმოიშვა ვნებები, დაიძრა გაოგნებული დარბაზისკენ და წალეკა იგი. მეხუთე მოქმედებაში, როცა ბედკრული მავრი დარწმუნდა, თუ რა გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა, ხორავას თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ დასამახსოვრებელი დღის შემდეგ, ბევრი კარგი სპექტაკლი, ბევრი დიდებული მსახიობი მინახავს, მაგრამ მსგავსი არაფერი. მავრის დაკოდილი სულისა და სხეულის სიღრმიდან აღმომხდარი, ძლივს გასაგონი სუსტი ხმა თანდათან მატულობდა, ძალას იკრებდა, გოდებად იქცეოდა. ამ გოდებაში გმირის განწირულება, მისი ტკივილის უსასრულობა ჟღერდა. შემდეგ, უეცრად, ლომის ღრიალად იქცეოდა, მაღლა იჭრებოდა და მაყურებელს შმაგი ვნებით თავს ატყდებოდა. ეს იყო არაადამიანური ტკივილით გამოწვეული ბღავილი. თითქოს უზარმაზარი ჭერი ჩამოინგრაო, აფეთქდა მთელი თეატრი, სადღაც გაქრა ქცევის ნორმები, ადამიანს რომ აკავებს ხოლმე, გაოგნებულმა დარბაზმაც იბღავლა, მსახიობების გამოძახებას დასასრული არ ჰქონდა...“

ეს იყო თეატრში, თეატრის წინ კი, ყველა არტისტის გამოსვლას ელოდა, თეატრიდან გამოსული ხორავა ხელში აიტაცეს და ხელში აყვანილი წაიყვანეს სასტუმროსკენ, ხეებსა და ბოძებზე ასული ახალგაზრდები

საკუთარ ლექსებს უკითხავდნენ, მოსძახოდნენ: „ჩამოდით, გვასწავლეთ მსახიობის ხელოვნება!“

როგორც თუმანიშვილი იტყვის, ეს იყო მსახიობის ხელოვნების ტრიუმფი, ეს იყო სცენის ფიცარნაგზე წარმოქმნილი სასწაული, დიდი ჯადოქრის გრძნეულება...

სცენის ჯადოქარი ოტელოს მოსკოვში გამოეთხოვა, უარი თქვა აქ, თბილისში გამოთხოვებაზე იმ მოტივით, რომ აქ ლეგენდები იყო შექმნილი მის ოტელოზე და არ სურდა ახალი თაობის გაწბილება. ერჩია, სხვაგან გამოთხოვებოდა ოტელოს... სცენაზე იდგა 65 წლის აკაკი ხორავა, როგორც ვასილ კიკნაძე ბრძანებს, ხორავას თითქმის აღარ ჰქონდა მრისხანება, ტონიც დარბილებული იყო, უფრო რბილი ინტონაციები სჭარბობდა, ტიროდა მთელი დარბაზი, ცრემლს ვერ იკავებდნენ თეატრის თანამშრომლებიც: „ადვილი არ იყო ხორავას ოტელოსთან გამოთხოვება, მიდიოდა მთელი ეპოქა, თეატრალური ეპოქა...“

რეზო შატაკიშვილი,
თეატრალური ხელოვნების მაგისტრი

18 № 48 (312) 9 - 15 დეკემბერი 2015

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲔᲡᲢᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ. ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ. ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲘᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲐ-ᲑᲐᲜᲐ

ᲐᲗᲔᲠᲝᲡᲙᲚᲔᲠᲝᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲡᲣᲚᲢᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ

ეს გვერდი თქვენი ჯანმრთელობის, თქვენი დღეგრძელობის, თქვენი გარეგნული მომხიბვლელობისა და ხალისიანი ცხოვრების ხელშეწყობისთვისაა. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი ყველა იმ შეკითხვას, რაც ადამიანს საკუთარი თავის მოვლისთვის სჭირდება ყოველდღე და ყოველ საათს. ვეცდებით, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით, პოპულარულად გადმოგცეთ სპეციალისტთა რჩევა-დარიგებები ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან მის აღსადგენად და ისეთი ხერხები შემოგთავაზოთ საამისოდ, რაც იოლად, იაფად და სახალისოდაც კი მასაღწევია. თითოეული თქვენგანი აუცილებლად ნახავს მისთვის საინტერესო მასალებს ჩვენს რუბრიკებში: „მამაკაცის ჯანმრთელობა“, „ქალის ჯანმრთელობა“, „ბავშვის ჯანმრთელობა“, „დღეგრძელობის საიდუმლო“, „კოსმეტიკა“, „დაავადებათა ანატომია“, „ხალხური მედიცინა“, „ჯანსაღი კვება“, „ჯანსაღი ცხოვრება“, „კულინარია“, „საყოველდღეო რჩევები“ და ა.შ. დაველოდებით თქვენს შენიშვნებს, სურვილებს, გამოხმაურებებს სხვადასხვა საკითხებზე. გმადლობთ, რომ ჩვენი მეგობარი გახდებით.

ᲐᲗᲔᲠᲝᲡᲙᲚᲔᲠᲝᲖᲘ

ეს ქრონიკული დაავადებაა, რომელიც არტერიის კედლების გასქელებითა და გამკვრივებით ხასიათდება. ათეროსკლეროზი არტერიოსკლეროზის მრავალი მიზეზის შედეგად განვითარებული არტერიის პათოლოგიური სკლეროზის შედარებით უფრო გავრცელებული ფორმაა. ათეროსკლეროზის დროს საშუალო და მსხვილი ზომის არტერიები ზიანდება.

გთავაზობთ ხალხური მედიცინის რეცეპტებს ამ დაავადების სამკურნალოდ.

სისხლძარღვების სპაზმებთან, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლასთან, კუნთების ატროფიასთან (დამბლა, გაფანტული სკლეროზი, შიდაქალის წნევა, ჰიპერტონია და სხვ.) დაკავშირებული დაავადებების დროს:

• გახეხეთ ხახვი და გაწურეთ. 1 ჭიქა ხახვის წვენი და 1 ჭიქა თაფლი ერთმანეთს შეურიეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზი ჭამამდე ერთი საათით ადრე.

ათეროსკლეროზისა და მაღალი წნევის დროს რეკომენდირებულია:

• ერთმანეთს შეურიეთ 10-10 გრამი კუნელის ყვავილის, მინდვრის შვიტას, თეთრი ფითრის და გველის სუროს ნაყენები. 1 ს/კ ეს ნაზავი ჩაასხით 1 ჭ ცივ წყალში და გააჩერეთ 3 სთ. შემდეგ 5 წუთით წამოადუღეთ, გააჩერეთ 20 წთ. გაწურეთ და სვით 2 დღე ჭამის წინ თითო სუფრის კოვზი.

ათეროსკლეროზის დროს მნიშვნელოვნად მსუბუქდება ავადმყოფის მდგომარეობა ამ წამლის მიღების შემდეგ:

• გარეცხეთ ნახევარი ჭიქა სელის თესლი, იმდენი წყალი დაასხით, რომ მხოლოდ დაიფაროს. გააჩერეთ ნახევარი საათი. შემდეგ ეს წყალი გადაასხით და თესლს 300 გრამი მდუღარე წყალი დაასხით. გააჩერეთ 2 საათი. ამასობაში აუცილებლად მოამზადეთ კალენდულას ნაყენი: 1 ჭიქა კალენდულას ყვავილს დაასხით 400 მლ მდუღარე წყალი და საათნახევარი გააჩერეთ. შემდეგ გაწურეთ და სელის თესლის ნაყენს დაასხით. კარგად მოურიეთ და მთელი ღამე გააჩერეთ. დილისთვის მზად იქნება. მიიღეთ ყოველდღე ყოველი საუზმისა და ვახშმის წინ 3-3 სუფრის კოვზი. შეინახეთ მაცივარში. მკურნალობის კურსი 21 დღეა.

• 5 სუფრის კოვზი წიწვი (ნებისმიერი) და 2 ს/კ ასკილის ნაყოფი დანაყეთ, დაასხით 2 ლ წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე და ადუღეთ 3 წთ. ნახარში 3 სთ დადგით თბილ ადგილზე. გაწურეთ. მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა დღეში 3-ჯერ.

ᲣᲒᲠᲐᲚᲝ ᲜᲔᲛᲡᲘ ᲘᲜᲡᲣᲚᲢᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲒᲘᲪᲐᲕᲗ, ᲐᲜᲣ ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ

როდესაც ინსულტი ემართება ადამიანს, თავის ტვინის კაპილარები ნელ-ნელა იწყებს დასკდომას. ამ დროს სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოთ. იმისგან დამოუკიდებლად, თუ სად იმყოფება ავადმყოფი, არ გაანძრიოთ, რადგან კაპილარები უცბად დასკდება. დაეხმარეთ ავადმყოფს, მყარად დაჯდეს და შეუდექით სისხლის გამოშვებას. ყველაზე კარგია, თუ ხელთ საინექციო სამედიცინო ნემსი გექნებათ, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება, საკერავი ნემსი, ან „ბულავკა“ გამოიყენოთ.

1. ნემსი გამოწვით ცეცხლზე და ისე გამოიყენეთ – ავადმყოფს ათივე თითის წვეროებზე უჩხვლიტეთ.

2. საამისოდ კონკრეტული აკუპუნქტურული წერტილები არ არსებობს. უბრალოდ, უჩხვლიტეთ ფრჩხილიდან ერთი მილიმეტრის დაშორებით.

3. ისე უჩხვლიტეთ, რომ ყოველი თითიდან პილპილის პატარა მარცვლისოდენა სისხლის წვეთი გამოუვიდეს.

4. თუ სისხლი არ გამოდის, თითს მოუჭირეთ და ძალით გამოიყვანეთ.

5. როდესაც ათივე თითიდან გამოიყვანთ სისხლს, რამდენიმე წუთი მოიცადეთ, ავადმყოფი გონზე მალე მოვა.

6. თუ პირი მოეღრიცა, ყურები მანამდე უზილეთ, ვიდრე არ გაუწითლდება.

7. თითოეულ ყურის ბიბილოზე ორ-ორჯერ უჩხვლიტეთ ნემსი, რათა ორ-ორი წვეთი სისხლი გამოუვიდეს. რამდენიმე წუთში ავადმყოფი გონზე უნდა მოვიდეს.

დაელოდეთ, ვიდრე ავადმყოფი ნორმალურად არ გახდება, რაიმე საეჭვო სიმპტომების გარეშე და შემდეგ გადაიყვანეთ საავადმყოფოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასწრაფო დახმარების მანქანაში, სიჩქარის გამო, შეიძლება თავის ტვინში კაპილარები დაუსკდეს და სისხლჩაქცევა მოხდეს.

სისხლის გამოშვება ხსნის სისხლძარღვებზე დაწოლას და მინიმუმამდე დაჰყავს თავის ტვინის დაზიანება. ამ პროცედურების შემდეგ საჭიროა ავადმყოფმა სასწრაფოდ მიიღოს ექიმის მიერ რეკომენდირებული თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებელი პრეპარატები. აი, ამის მერე კი, ნადვილად არსებობს დამბლის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა.

ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲢᲝᲞᲙᲐᲓᲠᲘ

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ: „ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲗᲛᲔᲕᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ!“

„შეწყალების კომისია ძალიან კარგად ართმევს თავს საქმეს და ამომწურავ ინფორმაციას აწვდის პრეზიდენტს,“ – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ განუცხადა.

მისივე შეფასებით, პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც ყოველთვის ჰუმანური და რაციონალურია.

ამასთან, ქორიძე შეწყალების კომისიის ყოფილი თავჯდომარის, საკრებულოს დეპუტატ ალექსანდრე ელისაშვილის განცხადებასაც გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ პოლიტიკოსს შეწყალების კომისიაში ფულის კეთების არხი გადაკეტილი აქვს და პატრიარქის ინიციატივას ამოფარებული ცდილობს, როგორმე გააცოცხლოს ძველი საქმიანობა. როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მიუღებელია შეწყალების მექანიზმის გაიგივება ფულის ჩარხთან და იმასთან, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული მერკანტილური ინტერესებით შეიძლება იქნას გადაწყვეტილება მიღებული. „არ ვიცი, იყო თუ არა ოდესმე ეს პრაქტიკა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ, როდესაც ბატონი ალეკო ხელმძღვანელობდა კომისიას და ახლა როდესაც მე ვხელმძღვანელობ, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. ვერც ერთი მსჯავრდებული, რომელიც იქნა გათავისუფლებული, ვერ იტყვის, რომ რაიმე ანგარებითი ნიშნით გათავისუფლდა,“ – განაცხადა ქორიძემ და განმარტა, რომ ასეთი ცნობიერება დამღუპველია საზოგადობისთვის.

აღნიშნულ თემაზე საუბრის კონტექსტში მან დასძინა, რომ კითხვებს აჩენს, როდესაც კონკრეტული მსჯავრდებულის „გინდა თუ არა შეწყალებასთან“ დაკავშირებით რიგი პოლიტიკოსი „არაჯანსაღი ინტერესით“ გამოირჩევა.

„როდესაც ცალკეული დეპუტატისგან, პოლიტიკოსისგან, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლისგან კონკრეტული წერილები მოგვდის, ეს ნორმალურად მიგვაჩნია იმიტომ, რომ მსჯავრდებულები მათაც მიმართავენ და ისინი წერილებს ჩვენთან ამისამართებენ, თუმცა ხშირად გაუგებარი რჩება განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტული მსჯავრდებულის საქმე განსახილველია იმიტომ, რომ იგი უსამართლოდ იმყოფება საპატიმრო დაწესებულებაში – ჩვენ სამართლიანობის აღდგენის მექანიზმი არ ვართ, ჩვენ ვართ შეწყალების მექანიზმი. ასევე, არის ცალკეული შემთხვევა, როდესაც საკმაოდ არაჯანსაღი ინტერესი არსებობს ამა თუ იმ მსჯავრდებულის მიმართ. ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ არაჯანსაღი დაინტერესება კონკრეტული მსაჯავრდებულის „გინდა თუ არა შეწყალებასთან“ დაკავშირებით, აღძრავს დამატებით კითხვებს, ეჭვებს და ამაზე აუცილებლად უნდა იყოს საზოგადოებაც ინფორმირებული იმიტომ, რომ არ შეიძლება დაჟინებით ერთი და იმავე მსჯავრდებულების თემით იყოს დაინტერესებული პოლიტიკოსი ამდენი წლის განმავლობაში,“ – აღნიშნა ქორიძემ, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რომელი პოლიტიკოსები იჩენენ კონკრეტული მსჯავრდებულების შეწყალების მიმართ „არაჯანსაღ დაინტერესებას“.

შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ფიქრობს, რომ აუცილებელია სამართალდამცავები დაინტერესდნენ მაშინ, როცა „კითხვები ჩნდება“, თუმცა მისივე განმარტებით, „ასე იშვიათად ხდება“.

„თავს შევიკავებ კონკრეტული პოლიტიკოსების და ბრალდებულების დასახელებისგან, თუმცა არაერთხელ გამიკეთებია მინიშნება ცალკეული უწყების მიმართ, რომ როდესაც კითხვის ნიშნები ჩნდება, აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოები დაინტერსდნენ. ყოველთვის ვარწმუნებ მსჯავრდებულებს და მათი ოჯახის წევრებს, რომ შეწყალების მექანიზმი არის ღია, ვიხილავთ ყველა საკითხს, დოკუმენტს. მათ ყოველთვის ვურჩევ, რომ ნუ ენდობიან ადვოკატთა ცრუ და პოლიტიკოსთა არაჯეროვან დაპირებებს და იმას, რომ შეიძლება, ვიღაცამ ზედმეტი ინტერესი გამოიჩინოს მათი საქმის მიმართ და მიაღწიოს, რომ მსჯავრდებული გათავისუფლდეს საპატიმრო სასჯელისგან.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

9 - 15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 2015

№ 48 (312)

19

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲒᲐᲐᲗᲮᲝᲕᲔᲑᲔᲜ, ᲓᲐᲘᲡᲯᲔᲑᲘᲐᲜ!

„ნუ გაათხოვებ!“ „ადრეული ქორწინება გოგონებზე ძალადობაა!“ „მიეცით გოგონებს ის, რაც ეკუთვნით — საკუთარი ცხოვრება, არჩევანი, სწავლა, დამოუკიდებლობა!“ — ამ ლოზუნგით ცდილობს ქალთა მოძრაობა გააპროტესტოს ის ტენდენცია, რასაც ადრეული ქორწინება ჰქვია. როგორც ამ ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, 16 წლამდე გოგონებთან სრულწლოვანი ქმრების სექსუალური კავშირი სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელზეც სახელმწიფო თვალს ხუჭავს. მათივე განცხადებით, ადრეულ ქორწინებას თან ახლავს არასრულწლოვანთა ორსულობა და მშობიარობა, რომელიც საფრთხეს უქმნის გოგონების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს... ქალთა მოძრაობის ინფორმაციით, საქართველოში ყოველდღე 12 არასრულწლოვან გოგონას ათხოვებენ, რომლებიც წყვეტენ სწავლას და ვერ ეუფლებიან პროფესიას. ამ ორგანიზაციის მონაცემებითვე, საქართველოში, ყოველდღე, 4 არასრულწლოვანი გოგონა ხდება დედა. ამ ასაკში მშობიარობისას კი, მაღალია სიკვდილიანობა. ქალთა მოძრაობის განცხადებით, საგანგაშოა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, 2011-დან 2013 წლის იანვრამდე 7367-მა გოგონამ განათლების მიღება მე-7-მე-9 კლასში შეწყვიტა, დიდწილად, ადრეული ქორწინების და მასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. „საქართველოს კანონმდებლობით 18 წელი არის ქორწინებისთვის დასაშვები ასაკი. სიტყვა „ქორწინება“ შეუფერებელია იმ არასრულწლოვანი გოგონების მდგომარეობის აღსანიშნავად, რომლებიც მშობლებმა ეკონომიკური გაჭირვების თუ ტრადიციების გამო, პრაქტიკულად, სახლიდან გააგდეს, გაათხოვეს და ნივთივით გაასხვისეს“, — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა მოძრაობაში... არასრულწლოვანი ანა სწორედ მშობელთა მხრიდან გახდა ძალადობის მსხვერპლი — მეცხრე კლასიდან გამოიყვანეს და ძალით გაათხოვეს. ანა ინტერვიუზე მხოლოდ იმ პირობით დამთანხმდა, თუ მის ნამდვილ ვინაობას არ გავამჟღავნებდი.

— ანა, მიამბე, ყველაფერი როგორ დაიწყო?

— თავიდან ყველაფერი ჩვეულებრივ იყო — მშობლებსა და უმცროს დასთან ერთად ვიზრდებოდი, დავდიოდი ერთ-ერთი სოფლის საჯარო სკოლაში. ჩვენს ოჯახს ძალიან უჭირდა, რადგან მშობლები არ მუშაობდნენ. ხანდახან ბიძა გვეხმარებოდა, რომელიც თბილისში ცხოვრობს. მოკლედ, ჩვენს სოფელში ერთი გავლენიანი ოჯახი იყო, რომელზეც ყველა ლაპარაკობდა — სამსართულიანი სახლი, უახლესი მოდელის ავტომანქანები და დიდი ქონება ჰქონდა. თურმე, ამ ოჯახის დიასახლისს თავისი ერთადერთი შვილისთვის მოვეწონე და დედაჩემთან მოვიდა დასალაპარაკებლად.

— ამ დროს შენ რამხელა იყავი?

— 14-ის — მეცხრე კლასში ვსწავლობდი.

— როცა სადედამთილო დედაშენთან დასალაპარაკებლად მოვიდა, დედამ რა უპასუხა და, საერთოდ, როდის გაიგე, საქმე რაში იყო?

— როცა სადედამთილო ჩვენთან მოვიდა, დედაჩემმა მისაღებში გაიყვანა, მე კი დამავალა, ყავა მომედუღებინა. აზრადაც არ მომსვლია, რისთვის შეიძლება მოსულიყო. ვიფიქრე, დედაჩემთან, ალბათ, საქმე აქვს-მეთქი. რას ვიფიქრებდი, თუ იმ დღეს ჩემი გათხოვების საქმე წყდებოდა.

— როდის გაიგე ან ვინ გითხრა, რომ გათხოვებას გიპირებდნენ?

— როცა სადედამთილო წავიდა, დედამ დამსვა და ლაპარაკი დამიწყო.

— რას გეუბნებოდა? როგორ დაგარწმუნა, რომ იმ ბიჭს უნდა გაჰყოლოდი?

— მითხრა, რომ ძალიან გვიჭირდა და საჭმლის ფულიც არ გვქონდა. მიხსნიდა, რომ არც თვითონ და არც მამა არ მუშაობდა და თუ ასე გაგრძელდებოდა, შიმშილით დავიხოცებოდით. შემდეგ კი მკითხა, საქმრო მომწონდა თუ არა. მივუგე, რომ არავინ მომწონდა და არც გათხოვება მინდოდა. კარგად ვსწავლობდი და სწავლის გარდა, მართლაც, არაფერზე ვფიქრობდი.

— წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალით გაგათხოვეს?

— დედაჩემმა მამას უთხრა, რაზეც მისგანაც თანხმობა მიიღო. შემდეგ, ჩემი მშობლები მომავალ მოყვრებთან მივიდნენ და ყველაფერი დაგეგმეს, მათ შორის, ქორწილის თარიღიც. მე, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი ვიყავი, ვტიროდი, მშობლებს ვთხოვდი, არ გავეთხოვებინე, მაგრამ არც მისმენდნენ.

— შენი მომავალი საქმრო ამ ქორწინების თანახმა იყო, ან მასთან დალაპარაკება სცადე?

— როგორც შემდეგ გავიგე, მასაც მოვწონებივარ. დედამისმა იმდენი ეჩიჩინა, ჩემი თავი შეაყვარა. სოციალურ ქსელში მივწერე, მაგრამ ასე მითხრა, ძალიან მიყვარხარ და ქორწილს ვერ ჩავშლი, აუცილებლად ჩემი ცოლი უნდა გახდეო.

— ამის შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდა?

— ჩემი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, დავქორწინდით, თუმცა რთულია ისეთ ადამიანთან ცხოვრება, რომელიც არ გიყვარს. შემდეგ, შვილი შეგვეძინა, რომელსაც დედამთილის საპატივსაცემოდ, ქეთევანი დავარქვით. მოკლედ, წელიწადნახევრიანი თანაცხოვრების შემდეგ, ჩემს შვილს ხელი მოვკიდე და თბილისში წამოვედი. მას შემდეგ გლდანის პანსიონატში ვცხოვრობ.

— სახლიდან რომ გამოიქეცი, ქმარს რა რეაქცია ჰქონდა, ძებნა არ დაგიწყო?

— ძალიან გაბრაზდა და როგორც კი გაიგო, სად ვიყავი, მაშინვე თბილისში წამოვიდა, თან ჩემი უმცროსი და წამოიყვანა. მემუქრებოდა, მაშინებდა, სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდა, თუმცა პანსიონატის დაცვამ გააძევა. მას შემდეგ აღარ მოსულა. არ ვიცი, ახლა სად და როგორაა.

სხვათა შორის, ახლახან, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი, რომელიც 16 წელს მიღწეულ გოგონათა ქორწინებას ეხება.

სიახლის მიხედვით, ქორწინებაზე თანხმობის გაცემის უფლება აღარ ექნებათ მშობლებს და ეს საკითხი მხოლოდ სასამართლოს კომპეტენცია ხდება.

ინიციატივის ავტორის, თამარ კორძაიას თქმით, მომავალში საქართველოში 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება საერთოდ აიკრძალება.

„ქორწინების უფლება, რომელიც არსებობდა 16-დან 18 წლამდე, შეიზღუდება და იარსებებს გარკვეული წესები, ისიც გარკვეული ვადით. ცოტა ხნის შემდეგ კი, საქართველოში 18 წლამდე არასრულწლოვანთა ქორწინება საერთოდ აიკრძალება, რასაც ითვალისწინებს ბავშვის უფლებების კონვენცია, საქართველოს პარლამენტმა, არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა“, — აღნიშნა თამარ კორძაიამ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲛᲖᲘᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲐᲢᲝᲛᲘᲐ

მზითვის ტრადიცია საქართველოში ადრეულ საუკუნეებშივე დამკვიდრდა და იმ პირად საკუთრებას გულისხმობდა, რომელსაც ქალს გათხოვებისას ატანდნენ. ისე, მზითვი მხოლოდ ქართული კულტურის ნაწილი არაა. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობა დრინდელ ფეოდალურ ხანაში გოგონას მზითვად მიწასაც კი ატანდნენ, რაც ვაჟისა და ქალის თანაბარუფლებიანობაზე მიანიშნებს... სხვადასხვა კუთხეში გოგონას სხვაგვარად ამზითვებდნენ, მაგალითად, რაჭაში ყველაზე მდიდრულ და საუკეთესო მზითვად ძროხა და ხარი ითვლებოდა.

მე-18 საუკუნიდან, ვაჭართა და თავადთა წრეში, „მზითვის წიგნი“ გამოჩნდა, სადაც წერდნენ და აღრიცხავდნენ, თუ რა ქონებას ატანდნენ ოჯახები საკუთარ შვილებს. თბილისში სცოდნიათ მზითვის საჯაროდ გადატანა, რისთვისაც საგანგებოდ ქირაობდნენ წამღებს.

დღეს მზითვის მიმართ დამოკიდებულება შეცვლილია. **ახალგაზრდების აზრით,** შვილებს მზითვის შეგროვებას დაბადებისთანავე არ დაუწყებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ როცა ბავშვი გაიზრდება და დასაქმდება, მომავლისათვის შესაბამის პირობებს თვითონ შეიქმნის, რაშიც თავადაც დაეხმარებიან. ამასთან, ახალგაზრდების ნაწილი თვლის, რომ ზოგ ოჯახს მზითვით სურს, ხაზი საკუთარ ფუფუნებას გაუსვას.

გარდა ამისა, „ქართული სიტყვის“ გამოკითხვით, გამოიკვეთა მეორე მხარე, კერძოდ, მზითვი უაზრო ტრადიციაა.

„შეიძლება, თავის დროზე მნიშვნელოვანი და საჭირო იყო, მაგრამ ჩვენს დროში მისაღები აღარაა“, — ამბობენ მოზარდები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ყველაფერი ისე უნდა მოაწყონ, როგორც სურთ და თუ მშობელს ემეტება, ფული მისცეს და არჩევანის უფლებაც.

სოციოლოგებიც ფიქრობენ, რომ ამ დროისთვის მზითვს ის სიმბოლური დატვირთვა აღარ აქვს, რაც ადრე ჰქონდა — მართალია, ოჯახები ერთმანეთის მატერიალური მდგომარეობით ინტერესდებიან, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს...

უფროსი თაობის ნაწილი მზითვის ტრადიციის მომხრეა, განსაკუთრებით, რაიონებსა და სოფლებში, სადაც ისევ აქტუალურია, თუ რა შეაქვს რძალს ოჯახში.

ᲐᲜᲐ ᲧᲐᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ხრიდოლის მებრძოლებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს

2015 წლის **20-22** ნოემბერს, უკრაინის ქალაქ ხარკოვში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი საბრძოლო მრავალჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღო ხრიდოლის ფედერაციის მიერ წარგზავნილმა ორმა მებრძოლმა – პაპუნა ნეფარიძემ და ვაჟა წიპტაურმა.

ჩემპიონატი ორ სახეობაში – სროლასა და ხელჩართულ ბრძოლაში გაიმართა. სრულყოფილი ინფორმაციის არქონის გამო, ქართველმა ხრიდოლიონებმა ვერ შეძლეს სათანადოდ მომზადება და სასურველი შედეგის ჩვენება თოფით სროლაში. სამაგიეროდ, ძალიან წარმატებული გამოდგა მათი გამოსვლა ხელჩართულ ბრძოლაში, სადაც ორივე მებრძოლმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ოთხი შეხვედრის ჩატარება მოუწია პაპუნა ნეფარიძეს, აქედან, ორ ბრძოლაში მტკივნეული ილეთით გაიმარჯვა, ორში კი, ქულებით დაჯაბნა მეტოქე.

სამი შეხვედრა ჩაატარა ვაჟა წიპტაურმა, აქედან, ერთი ნოკაუტით, ერთი მტკივნეულით და ერთი შეხვედრა ქულების აშკარა უპირატესობით მოიგო.

აღსანიშნავია, რომ ორივე მებრძოლმა შერეულ ორთაბრძოლებშიც წარმატებით იასპარეზა მსოფლიო თასზე და მსოფლიო თასის მფლობელის ტიტული მოიპოვა.

გარდა ამისა, ვაჟა წიპტაური კავკასიის მრავალგზის ჩემპიონია შერეულ ორთაბრძოლებში, პაპუნა ნეფარიძემ კი, თავისუფალ ორთაბრძოლებში, სტამბულის საბძოლო ხელოვნებათა ევრაზიის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

„ქართული სიტყვა“ ხრიდოლის მებრძოლებს მომავალ საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებას უსურვებს.

ჯანსუღის სიცილნათელები

კახური
ყველაფერი არის ცის,
მაგრამ ბევრმა არ იცის,
ჩვენთან ვინ რა იცის? –
მხოლოდ ვირმა იცის.
ვთქვათ, ყველაფერს მოეშვი,
ვთქვათ, კატადაც ვერ გთვლიან,
ამდენ პროფესორებში
ვირი პროფეს-ერთია.

გაიხარეთ!
აღარ არის რეპრესია,
არცა კიდე – დეპრესია,
გაიხარეთ, ათი ლარი
მიუმატეს დღეს პენსიას.
არის ათი ლარის ქება,
ქება-ქებით ვამტვრევთ ბევრს,
ნეტავი, ხვალ რა იქნება,
ხუთ ლარს დაუმატებენ?

„აცეცე“
სერიალის სპონსორია
„აცეცე“,
ჩვენ გვიყურეთ,
სხვაგან თვალს ნუ აცეცებთ.

ბოროტების ქვეყანა
ამდენ ბოზთან, ნაბიჭვართან,
რა ეშმაკმა შეგვყარა?
ვინ დაარქვა საქართველოს
ბოროტების ქვეყანა?

„ნაცებო“!
ეჰ, ვინ რა იცის,
სიძულვილის რა სუნი გიყართ,
თქვენ გძულთ სტალინი
იმიტომ, რომ ჰიტლერი გიყვართ.

მკვლელთა მიწაზე
ეს კი ნამდვილად ვიწამე,
თქვენს მეტი სხვა ჩირქს ვინ მომცხებს,
ილიას მკვლელთა მიწაზე
ნაღდად არა ღირს სიცოცხლე.

ასთმა
აი, ნესტანი, აი, თამარი,
გემღერებოდეს, არის მთავარი
და თუ ასთმა გაქვს
ბრონხიალური,
დაკარგულია დრო მხიარული.

სტალინი ჰიტლერი არ არის
რომ გახედავ შორიდან,
თითქოს მშვიდი მხარეა,
საქართველო გორიდან
უსტვენს დიდი ხანია.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი, არმაზ სანებლიძე.

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე, ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი: ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com
გაზეთი მოძველებს თავისუფალი პრესის პრინციპით